

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი**

აჭარის მთიანი რაიონების ზვავსაშიშროება

**AVALANCHE HAZARD OF ADJARA MOUNTAINOUS
REGIONS**

ЛАВИНООПАСНОСТЬ ГОРНЫХ РАЙОНОВ АДЖАРИИ

თ ბ ი ლ ი ს ი

2020

მანანა სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, გეოგრაფიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

Manana Salukvadze

Academic Dr.Sci. in Geography

Манана Салуквадзе

Академический доктор
Географических наук

მთავარი რედაქტორი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი **თენგიზ ცინცაძე**

Editor in Chief : T.Tsintsadze

Главный редактор: Т. Н. Цинцадзе

რედ. კოლეგია: გ. მელაძე, ე.ელიზბარაშვილი, ლ. ინჭკირველი, მ.ტატიშვილი, გ. გრიგოლია.

Editorial Board: G. Meladze, E. ElizbaraSvili, L. intskirveli, M. Tatishvili, G. Grigolia

Редакционная коллегия: Г. Меладзе, Е. Елизбарашвили, Л. Инцкирвели, М. Татишвили, Г. Григолия

რეცენზენტები: ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილ ამირანაშვილი, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ვიქტორ ჩიხლაძე, ტექნიკურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი გიორგი ხერხეულიძე

Rtviewer:

Dr.Sci in in fiz.-mat **A.Amiranashvili,**

Academic Dr.Sci in fiz.-mat **V. Chixladze,**

Academic Dr.of Technical Scienes **G.Kherkheulidze**

Рецензенты:

Доктор физ.- мат. Наук **А.Амиранашвили,**

Академический доктор физ.-мат. Наук **В.Чихладзе**

Академический доктор технических наук **Г. Херхеулидзе**

კორექტორი: ნ. ზოტიკიშვილი

Korrector: N. Zotikishvili

Корректор Н. Зотикишвили

©	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტი Institute of Hydrometeorology of the Georgian Technical University Институт Гидрометеорологии Технического Университета Грузии	2020
---	---	------

წარმოდგენილია აჭარის ტერიტორიის გეოგრაფიული პირობების (ოროგრაფია, ჰიფსომეტრია, ფერდობების დახრილობა) დახასიათება. კლიმატის ელემენტების ანალიზი. განხილულია ზვავსაშიშროების რაოდენობრივი (აჭარის ტერიტორიის ზვავაქტიურობა, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე, ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა) მახასიათებლები და შედგენილია შესაბამისი რუკები; ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით აჭარის ტერიტორიაზე გამოიყო განსაკუთრებით ძლიერი, ძლიერი, საშუალო და სუსტი ზვავსაშიში უბნები და შედგენილია შესაბამისი რუკა. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო-მლაშეს მონაკვეთის 32 ზვავშემკრებისთვის, შედგენილია ზვავსაშიშროების სქემატური რუკა, ასევე, აჭარის მთიანი რაიონის 161 და საავტომობილო გზაზე არსებული 32 ზვავისთვის გამოთვლილია ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები, შედგენილია ზვავსაშიში დასახლებული პუნქტების რუკა. შემუშავებულია ზვავსაშიშროების შერბილების რეკომენდაციები.

UDC

Presented the characteristics of geographical conditions (orography, gypsum, and angle of slopes) of Adjara territory. Analysis of climatic elements. The quantitative indicators of avalanches (avalanche activity of Adjara territory, avalanche collectors, frequency of avalanches, duration of avalanche hazards period) are considered and corresponding maps are drawn up. The degree of avalanche hazard in Adjara is marked by particularly strong, less strong, medium and weak raions and the corresponding map is made. For 32 Avalanches of Hullo-Mlashe, Batumi-Akhaltzikhe Road, a schematic map of avalanche hazard, as well as for 161 avalanches of mountainous regions of Adjara and 32 avalanches, which converge on the automobile road, are computed morphometric and dynamic Indicators. The map of avalanche-dangerous settlements is made. Recommendations on mitigation of avalanche hazard have been developed.

УДК

Представлена характеристика географических условий (орография, гипсометрия и уклоны склонов) территории Аджарии. Анализ климатических элементов. Рассмотрены количественные показатели лавин (лавиноактивность территории Аджарии, частота распространения лавиносборов, частота схода лавин, продолжительность лавиноопасного периода) и составлены соответствующие карты. По степени лавиноопасности на территории Аджарии выделены особо сильные, сильные, средние и слабые районы и составлена соответствующая карта. Для 32 лавиносборов участка Хуло-Млаше, Батуми-Ахалцихской автодороги, составлена схематическая карта лавиноопасности, а также для 161 лавин горных районов Аджарии и 32 лавин, сходящих на автомобильные дороги, вычислены морфометрические и динамические показатели. Составлена карта лавиноопасных населенных пунктов. Разработаны рекомендации по смягчению лавиноопасности.

ნაშრომში გამოყენებული სპეციალური ტერმინების განმარტებები

ზევაქტიური (ზეავსაშიში) ფერდობი – მთის ფერდობი, საიდანაც ზეავის ჩამოსვლაა შესაძლებელი.

ზეავის გამოტანის კონუსი – ზეავის გაჩერების და გამოტანილი თოვლის დაგროვების ადგილი, რომელიც შესაძლებელია ხეობის ძირში, საავტომობილო გზაზე ან მოპირდაპირე ფერდობზეც აღმოჩნდეს.

ზეავის კერა – ზეავის წარმოქმნის ადგილი. ზეავშემკრების ზედა, ფერდობის ჩაღრმავებული და გაფართოებული ნაწილი, საიდანაც ზეავის ჩამოსვლა იწყება.

ზეავსაშიში პერიოდი – დროის ინტერვალი, რა დროსაც თოვლდაგროვების პირობები და ფერდობზე თოვლის მექანიკური მდგრადობა ხელსაყრელი ხდება ზეავის ჩამოსვლისთვის.

ზეავსაშიში სიტუაცია – ზეავსაშიში პერიოდის დროს ზეაგების წარმოქმნის პირობები.

ზეავშემკრები – მთიანი ფერდობისა და ხეობის მონაკვეთი, სადაც წარმოიქმნება, გადაადგილდება და ჩერდება ზეავი. ზეავშემკრები შეიძლება იყოს როგორც მარტივი, ასევე რთულიც, რთულ ზეავშემკრებს გააჩნია რამდენიმე ზონა.

თოვლის ზეავი – ფერდობიდან სიძვირის ძალის გავლენით მოწყვეტილი, გარკვეული მოცულობისა და სიჩქარის თოვლის მასა.

თოვლის ზეაგების კადასტრი – ზეაგების გავრცელებაზე, რეჟიმზე, ზეაგების ჩამოსვლის ადგილსა და დროზე საცნობარო მასალის სისტემატიზაცია.

კატასტროფული ზეავი – სპორადული ან სისტემატური ზეავი, რომელიც სცილდება თავის ჩვეულ საზღვრებს. მისთვის დამახასიათებელია ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლი.

სისტემატური ზეავი – ყოველწლიურად ჩამოსული ზეავი.

სპორადული ზეავი – იშვიათი განმეორადობის ზეავი, რომელიც შესაძლებელია 2-3 წელიწადში, ათეულ ან ასეულ წელიწადში ერთხელ ჩამოვიდეს.

შემოკლებები

ა	აღმოსავლეთი	რ-ბა	რაოდენობა
გრად.	გრადუსი	ს	სამხრეთი
დ	დასავლეთი	სა	სამხრეთ-აღმოსავლეთი
კურ.	კურორტი	სდ	სამხრეთ-დასავლეთი
კმ ²	კვადრატული კილომეტრი	სმ	სანტიმეტრი
მდ.	მდინარე	სოფ.	სოფელი
მს	მეტეოროლოგიური სადგური	სურ.	სურათი
მწვ.	მწვერვალი	ჩ	ჩრდილოეთი
მ.	მეტრი	ჩა	ჩრდილო-აღმოსავლეთი
ნახ.	ნახატი	ჩდ	ჩრდილო-დასავლეთი
რ-ნი	რაიონი	ჰა	ჰექტარი

შინაარსი		გვ.
შესავალი		8
I თავი აჭარის ტერიტორიის გეობრაფიული პირობებისა და კლიმატის დახასიათება		11
1.1	ოროგრაფია	11
1.2	ჰიფსომეტრია	14
1.3	ფერდობების დახრილობა	16
1.4	მცენარეული საფარი	18
1.5	კლიმატი	22
1.5.1	ჰაერის ტემპერატურა	23
1.5.2	ატმოსფერული ნალექები	23
1.5.3	თოვლის საფარი	25
II თავი ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები		35
2.1.	აჭარის ტერიტორიის ზვავაქტიურობა	36
2.2	ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე	39
2.3	ზვავების ჩამოსვლის სიხშირე	42
2.4	ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა	48
III თავი აჭარის ტერიტორიის დარაიონება ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით		53
3.1	განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიში რაიონი	54
3.2	ძლიერი ზვავსაშიში რაიონი	54
3.3	საშუალო ზვავსაშიში რაიონი	56
3.4	სუსტი ზვავსაშიში რაიონი	57
3.5	არაზვავსაშიში რაიონი	57
IV თავი ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლების თავისებურებანი		57
V თავი ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო-მლაშეს მონაკვეთის, ზვავსაშიშროება		59
5.1	ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესები ხულო-მლაშეს მონაკვეთზე	60
5.2	ქარი	60
5.3	ჰაერის ტემპერატურა	60
5.4	ატმოსფერული ნალექები	61
5.5	თოვლის საფარი	62
5.6	თოვლის ზვავები საავტომობილო გზაზე	63
VI თავი ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები აჭარის ტერიტორიაზე		65
VII თავი ზვავსაშიშროების შერბილების რეკომენდაციები აჭარის მთიანი რაიონებისათვის		73
ლიტერატურა		83
დანართის 1 ცხრილი 1. აჭარის მთიანი რაიონების ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები		86
დანართის 2 ცხრილი 2. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო-მლაშეს მონაკვეთის, ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები		119

შ ე ს ა მ ა ლ ი

მთიანი რეგიონების მოსახლეობის უსაფრთხოებისათვის აუცილებელია სტიქიურ-დამანგრეველი პროცესების შეფასება, ამ მოვლენების წინასწარმეტყველება და რისკის ზონების განსაზღვრა. ბუნების ერთ-ერთი სტიქიურ უბედურებათა გამოვლენაა თოვლის ზვავი, რომელიც უდიდეს ზიანს აყენებს დასახლებულ პუნქტებს, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტებს, იწვევს ადამიანთა მსხვერპლს, აძნელებს მთის მოსახლეობის ისედაც რთულ ყოფას. ზვავების რეჟიმისა და გავრცელების თავისებურებების გამოვლენას, ზვავსაშიშროების შეფასებას და წინასწარმეტყველებას დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი მთიანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, სადაც ზვავსაშიშროება ტერიტორიის ნახევარზე მეტი (56%). საქართველოს არაერთი მთიანი რეგიონი (აფხაზეთი, სვანეთი, რაჭა-ლეჩხუმი, გურიის მთიანი ნაწილი, მთიულეთ-გუდამაყარი, ხევსურეთი, თუშეთი, შიდა ქართლის ნაწილი, სამცხე-ჯავახეთი), მათ შორის აჭარის მაღალმთიანი ნაწილი გამოირჩევა ზვავსაშიშროებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია სტიქიური პროცესების განვითარების მასშტაბებით და მათგან მიყენებული ზარალით საქართველოს ერთ-ერთ ურთულეს მხარეს წარმოადგენს. ამ მხრივ გამოირჩევა 1924, 1957, 1967/68, 1970/71, 1974/75, 1982, 1985, 1987-89, 1991/92, 1996-98, 2000-02, 2004/05, 2008, 2014, 2016/17 წ.წ. ამ წლებში სტიქიამ ათეულობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ათასობით ადამიანი ეკომიგრანტი გახდა. აჭარის ტერიტორიის ეკომიგრანტების პრობლემების საკოორდინაციო ჯგუფის ოფიციალური მონაცემებით, ბუნებრივი სტიქიური მოვლენების: მეწყერის, ღვარცოვის, მათ შორის თოვლის ზვავების ზემოქმედების არეალში 4144 ოჯახია, მოსახლეობის 60%-ზე მეტი გეოეკოლოგიურად კრიზისულ ტერიტორიაზე ცხოვრობს.

მრავალწლიური ექსპედიციური სამუშაოების ჩატარების შედეგად დავადგინეთ, რომ აჭარის (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) მთიან ნაწილში 161 ზვავშემკრები, რომელიც მაღალმთიანი აჭარის 92 დასახლებულ პუნქტს ემუქრება. წლების მანძილზე ზვავების ჩამოსვლის არაერთ შემთხვევა დაფიქსირდა, რომლის შედეგი დანგრეული სახლები და დაზიანებული დამხმარე ნაგებობებია, რაც მთავარია დაღუპული ადამიანებია. მაღალმთიან აჭარაში ადგილი ჰქონდა როგორც სისტემატური, ისე სპორადული, იშვიათი განმეორადობის, ზვავის ჩამოსვლას. ასე მაგალითად, სპორადული ზვავის ჩამოსვლის უიშვიათესი შემთხვევაა 1971 წლის 11 თებერვლის 21⁰⁰ სთ-ზე ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. ღურტაში ჩამოსული ზვავი, რომელმაც ზიანი მიაყენა სოფლის 15 კომლს, 90 ადამიანიდან 68 ადამიანი გადარჩა, ხოლო 22 დაიღუპა. ზვავმა 45 ნაგებობა დაანგრია, მათ შორის 11 საცხოვრებელი სახლი, სოფლის რვაწლიანი სკოლა, მაშინდელი კოლმეურნეობის შენობა, პურის საცხობი, სასადილო, თუთუნის საშრობები, ორი ავტომანქანა დააზიანა, დაიხოცა 120 სული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. სოფლის ერთ-ერთი მაცხოვრებლის ნაამბობით, მის ბაბუას, რომელიც 110 წლის ასაკში გარდაიცვალა ახსოვდა, რომ XIX საუკუნის 70-იან წლებში ამ ადგილას ჩამოსულმა ზვავმა დაანგრია საცხოვრებელი სახლები და დამხმარე ნაგებობები, იყო მსხვერპლი. ზვავი იმდენად დიდი ყოფილა, რომ მდინარის ხეობაც ჩაუხერგავს. წლების მანძილზე ეს ადგილი აუთვისებელი იყო. უხუცესებს ახსოვდათ რა ამ ადგილას დატრიალებული ტრაგედია, ეწინააღმდეგებოდნენ ამ ტერიტორიაზე დასახლებას, მაგრამ რადგან მაღალმთიანი აჭარა ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებულია და გამოირჩევა მაღალი შობადობით მაინც მოხდა ამ ტერიტორიის ათვისება, და სწორედ 100 წლის შემდეგ განმეორებულმა სპორადულმა ზვავმა გამოიწვია სოფელ ღურტაში საშინელი ტრაგედია. 1971 წელს დანგრეული სახლები ახლადაშენებული იყო. საოცარი თავდადება გამოიჩინა სოფლის მაცხოვრებლებმა, მათ შორის ქალებმა, რომლებიც ლამპრების საშუალებით დილის 6 საათამდე ეძებდნენ ზვავში ჩამარხულებს და არაერთი ადამიანის გადარჩენა შეძლეს, თორემ მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა.

ამავე დროს, სკოლის საერთო საცხოვრებელში მყოფი ერთ-ერთი მობინადრე ცოლთან, სამ შვილთან და სტუმართან ერთად დაფარა ზვავმა. სამი შვილიდან გადარჩენილი პირველკლასელი ბავშვი ხელებით თხრიდა თოვლს და ისე ეძებდა ნანგრევებსა და ზვავში მოყოლილებს. მეზობლების დახმარებით სამი ადამიანი დროზე ამოიყვანეს, ხოლო ორი დაღუპული ძმის პოვნა სამი დღის შემდეგ გახდა შესაძლებელი, საკმაოდ შორ მანძილზე - მდინარის ნაპირთან.

1971 წლის, უხვთოვლიანი ზამთრის, 11 თებერვალს, 19⁰⁰ სთ-ზე ზვავი ჩამოვიდა მდ. ღორჯომის ხეობის სოფ. აგარაში, სადაც დაიღუპა დედა ორი შვილით. ზვავმა დაანგრია ორი საცხოვრებელი სახლი, სკოლა ინტერნატის შენობის ნაწილი, გაანადგურა ნაძვისა და წიფლის ხეები, არაერთი საცხოვრებელი სახლი დაინგრა, დაიხოცა მსხვილფეხა თუ წვრილფე-

სა საქონელი. ასევე ზვავში დაიღუპა დედა სამი შვილით და მრავალი ნაგებობა დაინგრა შუახევის რაიონის სოფელ ქიძინიძეებში, ოლადაურში, ბარათაულში. შუახევის რაიონის სოფ. ჯაბნიძეებში დაინგრა ოთხი საცხოვრებელი სახლი და დაიღუპა ექვსი ადამიანი, ფერმაში დაიხოცა მსხვილფეხა საქონლის 70%. ხულოს რაიონის სოფ. კურცხლებში, მდ. უჩხოს ხეობაში, უტყეო, ბუჩქნარით დაფარული, ფერდობიდან ჩამოსულმა ზვავმა დაანგრია სამი სახლი და მაღაზია, ერთ-ერთი საცხოვრებელი სახლი ზვავმა ორმოცდაათი მეტრით გადაადგილა და დააზიანა, საბედნიეროდ სახლში არავინ იყო. სოფელ სოლგომანში 1971 წლის 11 თებერვლის დღის ოთხ საათზე, საცხოვრებელი სახლი ზვავმა მდინარემდე ჩაიტანა. დაიღუპა ცოლ-ქმარი ორი შვილით, ხოლო მათი ორი ვაჟი სახლიდან 250-300 მეტრში იპოვეს ცოცხლები. ამ განსაკუთრებით უხვთოვლიანობით გამორჩეული 1971 წლის გარდა სხვადასხვა წლებში არაერთი ასეთი ტრაგიკული შემთხვევაა დაფიქსირებული აჭარის მთიან ნაწილში.

მსგავსი შემთხვევები სხვადასხვა წლებშიც განმეორდა. მაგალითად 1975 წელს სოფ. ბარათაულში, ვანის დელის მარჯვენა ფერდობის ზვავშემკრებიდან ჩამოსულმა ზვავმა დაანგრია საცხოვრებელი სახლი, სადაც მოხუცი ცოლ-ქმარი დაიღუპა, ხოლო ოჯახის მამა სამი დღის შემდეგ ცოცხლად ამოიყვანეს ნაზვავი თოვლიდან, ზვავმა სახლი ნახევარი მეტრით დააშორა ადრინდელ კერას. სოფელ თაგოში დაინგრა სამი საცხოვრებელი სახლი და დაიღუპა ოთხი ადამიანი. 1987 წლის 31 დეკემბრიდან 1988 წლის 31 იანვრამდე, ერთ თვეში, ზვავებმა დაანგრია 41 საცხოვრებელი სახლი და სხვადასხვა დამხმარე ნაგებობა ხულოს რაიონში. განადგურდა კაკლის ხეები, ციტრუსის ბაღები, დიდი ზარალი განიცადა ხულოს რაიონის სატყეო მეურნეობამ.

მრავალწლიანმა ექსპედიციებმა, მოსახლეობიდან მიღებულმა ინფორმაციამ, ჩვენმა კვლევებმა და ზვავების ჩამოსვლის გამოწვეულმა ტრაგიკულმა შემთხვევებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის აჭარის მაღალმთიან ნაწილში განაპირობა ამ ნაშრომის წარგენა. იმედია წარმოდგენილი მასალა, განსაკუთრებით კი ზვავის ადგილმდებარეობა და მისი გაჩერების ადგილი, დასახლებული პუნქტი, ზვავშემკრების მორფომეტრიული (დასაწყისისა და დასასრულის სიმაღლე, სიგრძე, კერის ფართობი, ზედაპირის დახრილობა) და ზვავის დინამიკური მახასიათებლები (ზვავის გადაადგილების მაქსიმალური სიჩქარე და დარტყმის ძალა, ზვავის კონუსის მოცულობა და მოძრავი ზვავის მაქსიმალური სიმაღლე) შეამცირებს კატასტროფების რისკს. ჩვენი მიზანი და სურვილია, მონოგრაფიაში წარმოდგენილი მონაცემები გაითვალისწინონ ახალი ტერიტორიების ათვისების დროს.

ნაშრომში ჩვენს მიერ (დ.ქაღდანის, მ.სალუქვაძე) შედგენილი თოვლიანობისა და ზვავსაშიშროების რუკების ელექტრონული ვერსია წარმოვადგინეთ გეოგრაფიის მეცნიერებათა აკადემიურმა დოქტორის, ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის წყლის რესურსებისა და ჰიდროლოგიური პროგნოზების განყოფილების გამგის სოფიო გორგიჯანიძის დახმარებით, საველე მასალის დამუშავებაში მეცნიერ თანამშრომელი ნათელა კობახიძე მუხმარებოდა, რისთვისაც მათ მადლობას მოვასხენებ. აჭარის ტერიტორიაზე ექსპედიციებში, წლების მანძილზე გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატთან, გლაციოლოგიის ლაბორატორიის უფროსთან, ბატონ კონსტანტინე აბდუშელიშვილთან, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორთან ლადო ქაღდანთან და ლაბორატორიის უფროს ინჟინერთან ზურაბ ქურდოვანიძესთან ერთად ვმონაწილეობდი. ნაშრომში და ასევე გარეკანზე წარმოდგენილი სურათები ინტერნეტით არის მოპოვებული.

განსაკუთრებული მადლობა ჰიდრომეტეოროლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიურ დოქტორს, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს, ბატონ თენგიზ ცინცაძეს და დირექტორის თანაშემწეს ქლბატონ ნარინე არუთინიანს რომელთა უშუალო გვერდში დგომით და ხელშეწყობით მოხდა მონოგრაფიის წარდგენა.

თაზი I. აჭარის ტერიტორიის გეოგრაფიული პირობებისა და კლიმატის ღახასიათება

აჭარის ტერიტორიას განვიხილავთ როგორც ერთიანი გეოგრაფიული ერთეულის - აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის ნაწილს, რომლის მკვეთრად გამოკვეთილი გეოგრაფიული საზღვრებია: დასავლეთით - შავი ზღვა, ჩრდილოეთით - კოლხეთის დაბლობი და მდინარეების ყვირილასა და ჩხერიმელას ხეობები, აღმოსავლეთით - მდ. მტკვრის ხეობა, ხოლო სამხრეთით შავშეთის ქედი

მთიანი რაიონის ზეგანაშიშროება ბუნებრივი კომპონენტების, ძირითადად, რელიეფზე, კლიმატზე და მცენარეულ საფარის სახეობაზეა დამოკიდებული. მთელი ამ კომპლექსის შეფასება საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ როგორც ზეგანების წარმოქმნის, რეჟიმისა და გავრცელების თავისებურება, ასევე შევადგინოთ მთიანი რაიონების ზეგანაშიშროების ხარისხი.

ერთ-ერთ ზეგანაშიშროებულ ფაქტორს წარმოადგენს რელიეფი, ხოლო მისი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც განაპირობებს ზეგანების ჩამოსვლის შესაძლებლობას, არის ფერდობების დახრილობა, რომელზედაც დამოკიდებულია: ტერიტორიის ზეგანაშიშროება, ზეგანაშიშროების გავრცელებისა და ზეგანების ჩამოსვლის სიხშირე, ზეგანაშიშროების ხანგრძლივობა, თოვლის საფარის კრიტიკული სიმაღლე, ზეგანაშიშროების მორფომეტრიული და ზეგანების დინამიკური მახასიათებლები. ოროგრაფია - ნოტიო ჰაერის მასების მიმართ ფერდობების ორიენტაციასა და ექსპოზიციას განსაზღვრავს და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თოვლის საფარის გავრცელების თავისებურებებზე, რაც თავისთავად განაპირობებს ზეგანების ჩამოსვლის სიხშირეს და ზეგანაშიშროების ხანგრძლივობას. ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად მცირდება ტყით დაფარული ფარდობები, იზრდება რელიეფის დანაწევრება და თოვლიანობა.

რელიეფთან ერთად ზეგანების წარმოქმნასა და ზეგანაშიშროების ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს კლიმატური პირობებიც, კერძოდ მყარი ატმოსფერული ნალექი, თოვლის საფარი და წლის ცივი პერიოდის ტემპერატურული რეჟიმი. ატმოსფერული ნალექების რაოდენობასა და ტემპერატურულ რეჟიმზეა დამოკიდებული თოვლის საფარის არსებობის ხანგრძლივობა, მისი მატებისა და დაჯდომის სიდიდე, რაც ასევე ზეგანების რეჟიმზე ახდენს გავლენას.

მცენარეული საფარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ზეგანების წარმოქმნასა და ტერიტორიალურ განაწილებაზე. ტყის გავლენა ზეგანების ფორმირებაზე დამოკიდებულია მათ ჯიშზეც - ფოთლოვანი ტყით დაფარული ფერდობები ორჯერ უფრო ზეგანაშიშროა, ვიდრე წიწვოვანი ტყით დაფარული. მცენარეული საფარი ხელს უწყობს ზეგანების წარმოქმნასაც; ასე მაგალითად, მარადმწვანე ქვეტყე, სუბალპური და ალპური ბალახოვანი საფარი ფერდობებზე თოვლის მოცურებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

განვიხილავთ რელიეფის, კლიმატისა და მცენარეული საფარის იმ ძირითადი ელემენტების თავისებურებებს, რომლებიც განაპირობებენ ზეგანების რაოდენობრივი მახასიათებლებს საკვლევ ტერიტორიაზე.

1.1. ოროგრაფია.

აჭარა-იმერეთის ქედი 140 კმ-ზეა გადაჭიმული შავი ზღვის სანაპიროდან (ბათუმი-ქობულეთიდან) ბორჯომის ხეობამდე. ჩრდილოეთიდან და დასავლეთიდან ესაზღვრება იმერეთის პლატო, სამხრეთ იმერეთისა და აჭარა-გურიის მთისწინა რაიონებით, სამხრეთიდან კი აჭარისა და ახალციხის (მესხეთის) ქვაბული.

აჭარა-იმერეთის ქედის მთავარი წყალგამყოფი თხემი მთა ჩაქვისთავიდან ჯერ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიემართება მთა ხინოსკენ (ეს მონაკვეთი მდინარეების ჩაქვისწყლისა და აჭარისწყლის წყალგამყოფი - ჩაქვის ქედია), შემდეგ კი განედურ მიმართულებას იღებს. აქ მრავალი მთა და მწვერვალია, რომელთა სიმაღლე 2400-2850 მ-მდე (ზღვის დონიდან) აღწევს, მაგ. მთა ჭინკა (1309 მ), დიდი მტირალა და ჩაქვისთავი (1552 მ), მორცილი (1728 მ), კალვა (1766 მ), პერანგა (2235 მ), ხინო (2580 მ), თავინაური (2699 მ), საყორნია (2756 მ), ზოტისმთა (2676 მ), გომისციხე (2380 მ), ჯებირი (2610 მ), სანისლია (2665 მ), მეფისწყარო (2850 მ), ხოროსდადი (2390 მ), დიდმაღალი (2587 მ), ნაგები (2618 მ), წყალწითელა (2518 მ), მეღვრიკი (2482 მ) და ლომისმთა (2201 მ). უღელტეხილები - ბადიში და ზეკარი ანუ რკინისჯვარი (2180 მ).

აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემა შედგება შემდეგი მსხვილი ოროგრაფიული ერთეულებისაგან: მესხეთის, შავშეთისა და არსიანის ქედები, მდ. აჭარისწყლის ხეობა და ახალციხის ქვაბულის დასავლეთი ნაწილი.

აჭარა საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, შავი ზღვის სანაპიროზე მდებარეობს და საქართველოს ისტორიულ - გეოგრაფიულ მხარეს წარმოადგენს. ისტორიულად, როგორც მდინარე ჭოროხის აუზის განუყოფელი ნაწილი, მესხეთის შემადგენლობაში შედიოდა და წყაროებში - აჭარის ქვეყანა, აჭარის ხევის სახელითაა მოხსენებული. მას ორ ძირითად ნაწილად ჰყოფდნენ: ზემო აჭარა (ცენტრი დიდაჭარა იყო, შემდეგ - ხიხანი, მოგვიანებით კი ხულო) და ქვემო აჭარა, რომლის ცენტრს ქედა წარმოადგენს. აჭარის ცენტრალურ ნაწილს შუახევი ეწოდება.

სახელწოდება აჭარა, როგორც ვიკიპედიაშია მითითებული, მე-7 საუკუნიდან გვხვდება და უკავშირდება გეოგრაფიულ სახელს - აჭი. შესაძლოა ორივე სახელწოდება „ჭანს“ უკავშირდება და ნიშნავს „ჭანს“ და „საჭანოს“. ლეონტი მროველის ცნობით, ძვ.წ. III საუკუნეში აჭარის ტერიტორია ქართლის სამეფოს ოძრხისის საერისთაოში შედიოდა. მე-8 საუკუნეში იგი ბაგრატიონთა სამფლობელოს - „ქართველთა სამეფოს“, ხოლო მე-11 საუკუნიდან საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს ნაწილია. მე-13 საუკუნიდან აჭარა სამცხე-საათაბაგოში შედიოდა.

აჭარის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი მთებს და ღრმა ხეობებს უჭირავს, ზღვისპირა ნაწილი კი ქობულეთისა და კახაბრის ვაკე-დაბლობებს. მესხეთის, შავშეთის და არსიანის ქედებს შორის განლაგებულია აჭარის ქვაბული.

აჭარის ტერიტორიის ფიზიკო-გეოგრაფიული თავისებურება მის ოროგრაფიულ დახშულობაში გამოიხატება. იგი შემოსაზღვრულია აჭარა-იმერეთის, არსიანისა და შავშეთის ქედთა თხემებით, ესაზღვრება კოლხეთის ოლქში შემავალ აჭარა-გურიის მთისწინა რაიონს და მცირე კავკასიონის ოლქში შემავალ აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო ფერდობისა და ახალციხის ქვაბულის რაიონებს. რეგიონი ხასიათდება ტიპობრივი საშუალომთიანი ეროზიული რელიეფით. მთავარი ოროგრაფიული ერთეულებია - აჭარა-იმერეთის და შავშეთის განედური ქედები და მათი ურთიერთდამაკავშირებელი მერიდიანული არსიანის ქედი.

აჭარის ჩრდილო მხარე ოროგრაფიულად ემთხვევა აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთის ფერდობების მონაკვეთს მთა ერგედან საყორნიამდე. ეს ფერდობები, აჭარის ტერიტორიის ფარგლებში, აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადების ხეობებითაა დანაწევრებული. სოფ. ერგედან სოფ. ქედამდე მდ. აჭარისწყალს მარჯვნიდან უერთდება მდინარეები: ბარცხანა, დოხოძისწყალი, ქალასყური. ქედას ზემოთ კი - ზვარისხევი, ვაჯანისისხევი, ასოსხევი და ყველაზე დიდი შენაკადი ჭვანა, რომელიც სათავეს იღებს მთა საყორნიას სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ტერიტორიის სამხრეთით შავშეთის ქედის ჩრდილო კალთა, პონტოსის ქედისა და კარჩხალის მასივია. შავშეთის ქედის მწვერვალებია: მაღლისისმთა (990 მ ზღვის დონიდან), ხოხნისმთა (1699 მ), კორდა, ხევა (2810 მ), საჩარხია (2698 მ), უსახელო (2584 მ), დემურყაფუ (2371 მ). აჭარის უმაღლეს მთასთან - ყინდილადთან შავშეთის ქედის თხემი უკავშირდება არსიანის ქედის წყალგამყოფ თხემს. შავშეთის ქედის ჩრდილო კალთებზე მდ. აჭარისწყლის მარცხენა შენაკადებია: ხოხსიასხევი, აყოვრეთი, ჩირუხისწყალი შენაკადით - ტბეთისწყალი [ლ. მარუაშვილი, 1964].

კარჩხალის მთიანი მასივის ჩრდილო-დასავლეთის ტოტი წარმოადგენს მდინარეების ჭოროხისა და მაჭახელასწყლის წყალგამყოფს. აჭარის ქვაბულს აღმოსავლეთით არსიანის ქედი ესაზღვრება, რომლის უმეტესი ნაწილი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარეობს.

გოდერძის უღელტეხილი (2025 მ), რომელზედაც ახალციხე-ბათუმის გზა გადის, არსიანის ქედს ორ მონაკვეთად ყოფს. უღელტეხილის სამხრეთით არსიანის თხემზე მდებარეობს უღელტეხილი აბანოსყელი (2315 მ), მთა თლილი (2541 მ), უღელტეხილი ტაშტახტი და მთა პრასანეული (2635 მ), უღელტეხილი ურემუკი (2155 მ), სახელმწიფო საზღვართან აჭარის უმაღლესი მთა - ყანლიდადი (3007 მ). გოდერძის უღელტეხილის ჩრდილოეთით არსიანის ქედის თხემის მწვერვალებია - ყაიაბაში (2432 მ), ჭანჭახი (2506 მ), ცივწყარო (2189 მ) და საყულაფერდი (2450 მ). მათ შორის მდებარე ტერიტორია ტყით არის დაფარული.

არსიანის ქედის დასავლეთ კალთებზე, ხულოს ზემოთ, მდ. აჭარისწყლის ზემო წელის ხეობაა მისი შენაკადებით: მდინარეების სხალთასა და ღორჯომის ხეობებით. მდ. ჭოროხის მარჯვენა შენაკადი მდ. აჭარისწყალი სათავეს არსიანის ქედის მთა ჭანჭახის სამხრეთ კალთებზე იღებს და სოფ. ბედლეთთან დასავლეთისკენ იხრება, ამ მიმართულებას სოფ. აბუკეთამდე ინარჩუნებს.

ზემოთ ჩამოთვლილ მდინარეთა ხეობებში, უღელტეხილებსა თუ მთებთან მდებარეობს ის ზვავემკრებები (161), საიდანაც ჩამოსულმა ზვავემმა, ცალკეულ წლებში, ადამიანთა მსხვერპლი და მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი მიაყენა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას.

მესხეთის ქედის სიგრძე შავი ზღვიდან მდ. მტკვრამდე 160 კმ-ს შეადგენს, ხოლო უდიდესი სიგანე - 50-60 კმ. ქედს შავი ზღვიდან მგლისსოფლის მთამდე, ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულება აქვს, შემდეგ მთა მეგვრიკამდე - განედური, შემდეგ კი - ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულება.

მესხეთის ქედის დასავლეთი ნაწილი წარმოადგენს წყალგამყოფს მდ. ჭოროხის, მისი მარჯვენა შენაკადების - მდ. აჭარისწყლისა და მდინარეების ჩაქვისწყლის, კინტრიშის, ნატანების, სუფსის აუზებს შორის. ქედის აღმოსავლეთი ნაწილი ერთმანეთისაგან გამოჰყოფს მდ. რიონისა და მდ. მტკვრის აუზებს. მესხეთის ქედის თხემური ნაწილი ასიმეტრიულია, მისი ჩრდილოეთი ფერდობები, სამხრეთთან შედარებით, ფართო, დანაწევრებული, კლდოვანი და ციცაბოა. ჩრდილოეთ მაღალ ფერდობებზე შემორჩენილია ძველი გამყინვარების კვალი კარების, ცირკების, ტროგების და მორენების სახით. ქედის მსხვილი ჩრდილოეთი განშტოებებია: მდ. სუფსისა და მდ. ხანისწყლის წყალგამყოფი, რომელიც მთა მეფისწყაროსთან მდებარეობს; მდ. ხანისწყლისა და ჩხერიმელას წყალგამყოფი, რომელიც ქედს გამოეყოფა მთა მეგვრიკთან; მდ. კინტრიშისა და ბუჟუის წყალგამყოფი, რომელიც ქედს მთა ხინოსთან გამოეყოფა.

ჩაქვისა და ქობულეთის ქედები, რომლებიც მდებარეობენ მესხეთის ქედის დასავლეთ ნაწილში, წარმოადგენენ წყალგამყოფებს მდ. აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადებსა და იმ მდინარეების სათავეებს შორის, რომლებიც შავ ზღვაში ჩაედინებიან (კინტრიში, ჩაქვისწყალი, ყოროლისწყალი). აღნიშნული ქედები ზღვის სანაპირომდე აღწევენ და მდ. აჭარისწყლის აუზს გამოჰყოფენ ზღვისპირა რაიონებისგან. მესხეთის ქედის სამხრეთი ფერდობები უფრო მოკლე და დამრეცია, ვიდრე ჩრდილოეთი ხოლო გამყინვარების კვალი არ შეიმჩნევა. მესხეთის ქედის ცენტრალურ ნაწილამდე დანაწევრების სიღრმე 1000-1500 მ-ია, დასავლეთით და აღმოსავლეთით კი მცირდება 200-500 მ-მდე.

შავშეთის ქედი იწყება მდ. აჭარისწყლისა და მდ. ჭოროხის შეერთების აღმოსავლეთით, აქვს განედური მიმართულება და გრძელდება არსიანის ქედამდე.

მესხეთის ქედის სამხრეთ ფერდობებსა და შავშეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებს შორის გადაჭიმულია მდ. აჭარისწყლის ხეობა, რომელიც გამოირჩევა ღრმა დანაწევრებით და მრავალი შენაკადით (აკავერთა, ნაღვარევისწყალი, ჩირუხისწყალი, ღორჯომი და სხვ.).

აჭარის მთიანი ქვაბული შემოსაზღვრულია აჭარა-იმერეთის, არსიანის და შავშეთის ქედებით. მას ესაზღვრება აჭარა-გურიის მთისწინა რაიონი, აჭარა-იმერეთის ქედის ჩრდილო ფერდობებისა და ახალციხის ქვაბულის რაიონები.

რეგიონი აგებულია პალეოგენური წყებებით. მისი უდიდესი ნაწილი მოიცავს აჭარისწყლის ხეობას სოფ. დანდალოს ზემოთ. ტერიტორია ხასიათდება საშუალომთიანი ეროზიული რელიეფით, რომლის აბსოლუტური სიმაღლე იცვლება 100-1000 მ-დან (ხეობათა ფსკერი) 2000-2700 მ-მდე. მთავარ ოროგრაფიულ ერთეულს წარმოადგენს აჭარა-იმერეთისა და შავშეთის განედური ქედები და მათი ურთიერთდამაკავშირებელი მერიდიანული არსიანის ქედი. მნიშვნელოვანია მდ. აჭარისწყლის ხეობა თავისი სამხრეთი შენაკადებით: მერისისწყალი, ჩირუხისწყალი, სხალთა; ჩრდილოეთი შენაკადებიდან მნიშვნელოვანია მდინარეები ჭვანი და ღორჯომი [ლ. მარუაშვილი, 1964].

აჭარის ქვაბულის ჩრდილო მხარე ემთხვევა აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთი ფერდობის მონაკვეთს და მოქცეულია ერგესა და საყორნიას მთებს შორის - სოფ. ტბეთიდან სოფ. ზედა ნაღვარევამდე.


აჭარა-იმერეთის ქედის სამხრეთი ფერდობები (აჭარის ფარგლებში), სოფ. ერგედან სოფ. ქედამდე, დანაწევრებულია მდ. აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადების ხეობებით (მდინარეები: ბარცხანა, დოხოძისწყალი, ქალასყური). სოფ. ქედას ზემოთ კი მდინარეების: ზვარისხევის, ვაჯანისხევის, ახოსხევის და ჭვანას ხეობებით.

მდ. აჭარისწყლისა და მდ. ქვაბლიანის წყალგამყოფის, არსიანის ქედის, აღმოსავლეთით მდებარეობს ახალციხის ქვაბულის დასავლეთი ნაწილი. ახალციხის ქვაბულის ცალკეული ფერდობების დახრილობა აღწევს 15-25⁰-ს.

აჭარის ტერიტორიაზე 1564 დიდი და პატარა მდინარეა, რომელთა სიგრძე 5 კმ-ზე მეტია. მდინარე ქვაბლიანისა და მისი შენაკადების გარდა ყველა მდინარე შავი ზღვის აუზს განეკუთვნება.

12. ჰიფსომეტრია.

აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის ტერიტორიაზე დაბლობს (<200 მ), რომელიც შედგება მდინარეთა ხეობებისა და ზღვისპირა ტერიტორიისაგან, უკავია 200 კმ, ანუ მთელი ტერიტორიის 3% (ნახ. 1.2.1. ცხრ. 1.2.1.). ეს სიმაღლითი ზონა ზოგიერთი მდინარეთა ხეობაში იმდენად ღრმად არის შეჭრილი, რომ მათი გარემომცველი ფერდობების სიმაღლე 1000-1500 მ-ს აღწევს.



ნახ. 12.1. აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის ჰიდრომეტრის რუკა
(ლ. ქალღანი, მ.სალუქვაძე)

ცხრილი 12.1. აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის და აჭარის ტერიტორიების განაწილება სიმაღლითი ზონების მიხედვით

სიმაღლითი ზონები, აბს. სიმაღლე, მ	მთიანი სისტემა		აჭარა	
	კმ ²	%	კმ ²	%
<200	200	3	320	11
200-500	1020	14	370	13
500-1000	1040	18	530	18
1000-1500	1780	25	640	22
1500-2000	1550	22	520	18
2000-2500	1050	15	400	14
>2500	240	3	120	4

მთისწინა ზონას (200-500 მ) უკავია საკვლევი ტერიტორიის დასავლეთი და ჩრდილოეთი პერიფერიული ნაწილი ამ ზონაზე მოდის მთიანი სისტემის მთელი ფართობის 14% (1020 კმ²). 500-1000 მ სიმაღლის ზონას საკვლევი ტერიტორიის მთელი ფართობის 18% (1240 კმ²) უკავია და მოიცავს ძირითადი ქედების დაბალმთიან ფერდობებს, ტერიტორიის სიღრმეში ღრმად შეჭრილ ხეობებს და მდ. მტკვრის ვიწრო ხეობის მარცხენა ნაწილს. დიდი ტერიტორია (მთელი ფართობის 25%, 1780 კმ²) უკავია 1000-1500 მ-ის სიმაღლეზე მდებარე ზონას, რომელიც, ძირითადად, მოიცავს მესხეთის და შავშეთის ქედების, აგრეთვე ახალციხის ქვაბულის ფერდობებს.

საშუალომთიან ზონას 1500-2000 მ. უკავია 1550 კმ² (22%) და მოიცავს როგორც ძირითადი ქედების ფერდობებს, ასევე მესხეთის ქედის დასავლეთი და აღმოსავლეთი მონაკვეთების თხემებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიას.

მაღალმთიან ზონას, 2000-2500 მ სიმაღლით, უკავია საკვლევი მთიანი სისტემის მთელი ფართობის 15% (1050 კმ²) და მოიცავს მესხეთის, შავშეთის და არსიანის ქედების თხემების მიმდებარე ფერდობებს. მოცემულ ზონას განსაკუთრებით დიდი ფართობი უჭირავს მესხეთის ქედზე, სადაც მისი სიგრძე 100-120 კმ²-ია, ხოლო სიგანე რამდენიმე ათეული კმ.

საკვლევი ტერიტორიის ძალიან მცირე ნაწილი (მთელი ფართობის 3%, 240 კმ²) მდებარეობს 2500 მ-ზე მაღლა. ეს არის მესხეთის ქედის ცალკეული მწვერვალების მიმდებარე ფერდობები და შავშეთის ქედის ცენტრალური მცირე ფართობის მქონე ნაწილი. დაბალმთიან ზონას (1000 მ-მდე) უკავია მთელი ფართობის 35%, საშუალომთიან ზონას (1000-2000 მ) – 47%, ხოლო მაღალმთიან ზონას (>2000 მ) -18%. ზოგადად საკვლევი მთიანი სისტემა საშუალომთიანია.

აჭარის ტერიტორიის ვერტიკალური განაწილება აჭარა-იმერეთის სისტემის ანალოგიურია, განსხვავება 200 მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორიების ფართობშია (მთიანი სისტემა – 3%; აჭარის ტერიტორია – 11%).

აჭარის ტერიტორიის მთელი ფართობის 42% მდებარეობს დაბალმთიან ზონაში, 40% - საშუალომთიან, ხოლო 18% - მაღალმთიან ზონაში.

13. ფერდობების დახრილობა.

ფერდობების დახრილობა წარმოადგენს რელიეფის ერთ-ერთ ძირითად რაოდენობრივ მახასიათებელს. მსხვილმასშტაბიანი რუკების დამუშავების საფუძველზე განვსაზღვრეთ ფერდობთა დახრილობის კუთხეები და აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის ტერიტორიისათვის შევადგინეთ ფერდობების დახრილობის რუკა (ნახ. 1.3.1).

ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „15⁰ მეტი დახრილობის მქონე ფერდობები, რომელთა სიმაღლე სჭარბობს 50-100 მ-ს რელიეფის ხასიათის მიხედვით განეკუთვნება ზეაქსიაში ტერიტორიას“ [Флянг Вальтер, 1960], 15-25⁰ დახრილობის ფერდობებზე დაიკვირვება სპორადული ზეაქსი, 25-45⁰ დახრილობის ფერდობები ხელსაყრელია ზეაქსის მასიური ჩამოსვლისათვის. რუკის თანახმად 15⁰-ზე ნაკლები დახრილობის ფერდობებს უკავია ტერიტორიის ფართობის 24% და, ძირითადად, მოიცავს მესხეთის ქედის დაბალმთიან ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილოეთის ფერდობებს, ასევე საშუალომთიან ფერდობებს მდინარეების ქვაბლიანის, ფოცხოვის და მტკვრის აუზებში [ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, 2003; ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, 2015; მ.სალუქვაძე, 2018]. ასეთი დახრილობის მქონე ფერდობები, ცალკეული მონაკვეთების სახით, გვხვდება მესხეთის, შავშეთისა და არსიანის ქედების დაბალმთიან, საშუალომთიან და მაღალმთიან ფერდობებზე.

ცხრილი 1.3.1. აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის და აჭარის ტერიტორიის განაწილება ფერდობების დახრილობის მიხედვით

ფერდობების დახრილობა	მთიანი სისტემა		აჭარის ტერიტორია	
	კმ ²	%	კმ ²	%
<15	1680	24	500	17
15 – 20	2750	39	1400	48
21 – 35	2420	34	950	33
>35	230	3	50	2

დიდი ტერიტორია (34%) უკავია 21-35⁰ დახრილობის მქონე ფერდობებს, რომელსაც განეკუთვნება, ძირითადად, მესხეთისა და შავშეთის ქედების ჩრდილოეთი ფერდობების თხემისწინა, თხემური საშუალომთიანი და მაღალმთიანი რაიონები. მნიშვნელოვანი ფართობები უკავიათ ასეთი დახრილობის ფერდობებს დაბალმთიან რაიონებში, მდ. აჭარისწყლის აუზსა და მესხეთის ქედის დასავლეთ ნაწილში.

ფერდობებს, რომელთა ზედაპირის დახრილობა აღემატება 35⁰-ს უკავია მცირე ტერიტორია (3%) და, ძირითადად, დამახასიათებელია მესხეთის ქედის ჩრდილოეთი ფერდობებისათვის, ხოლო მცირე მონაკვეთების სახით გვხვდება მდ. აჭარისწყლის და მტკვრის აუზებში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში 15⁰-ზე ნაკლები დახრილობით ხასიათდება მთელი ტერიტორიის 17%. ასეთი დახრილობა დამახასიათებელია, როგორც ზღვისპირა დაბალმთიანი ტერიტორიისათვის, ასევე აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე საშუალო და მაღალმთიანი, არც თუ ისე დიდი ფართობის მქონე, ტერიტორიისთვის.

განსაკუთრებით დიდი ტერიტორია (48%) უჭირავს ფერდობებს, რომელთა დახრილობა 15-20⁰ და მდებარეობენ მდინარეების: აჭარისწყლის, ჩაქვისწყლისა და კინტრიშის აუზების დაბალ და საშუალომთიან ზონებში; ტერიტორიას, რომლის ზედაპირის დახრილობა 21-35⁰-ს შეადგენს მთელი ფართობის 33%-ს და თანაბრად არის განაწილებული თითქმის ყველა სიმაღლით ზონაში; ციცაბო ფერდობები (>35⁰) უმნიშვნელო (2%) ტერიტორიაზე გვხვდება.

1.4. მცენარეული საფარი.

მცენარეულ საფარს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთიან რეგიონებში. მცენარეული საფარიდან მნიშვნელოვანია ტყის გავლენა ნიადაგზე, ჰიდროლოგიურ და ატმოსფერულ პროცესებზე. გაზაფხულზე ტყეში თოვლი, მიმდებარე მინდვრებისა და სავარგულეებისაგან განსხვავებით, უფრო გვიან დნება, რაც ხელს უწყობს გრუნტის წყლების წარმოქმნას. ტყე ხელს უწყობს წყლის ბალანსის რეგულირებას და ხელს უშლის ნიადაგის ეროზიას, აფერხებს მეწყერის, და ზვავის ჩამოსვლას. [მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, 2015; Л.Калдани, М.Салуквадзе, Г.Джинчарадзе, 2009]. ტყე კლიმატზედაც ახდენს გავლენას, რადგან ამცირებს მზის რადიაციას. ზაფხულში, დღისით, ტყეში ბევრად უფრო გრილა და ტემპერატურა 5-6⁰-ით უფრო დაბალია ვიდრე ღია ადგილებში. ღამით კი პირიქით, რადგან ხეების ვარჯი აფერხებს ნიადაგის ზედაპირის სწრაფ გაცივებას, ტემპერატურა 2-3⁰-ით მაღალია. ტყეში ჰაერის სინოტივე გაცილებით მაღალია უტყეო ადგილებთან შედარებით. ქარის სიჩქარეც 35-40%-ით არის შემცირებული. ტყე იცავს სასოფლო-სამეურნეო სავარგულეებს ბუნებრივი მოვლენებისაგან.

ტყე შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს. პირველი ტიპის ტყეს გააჩნია წყალდაცვითი, ნიადაგდაცვითი, სანიტარულ-ჰიგიენური, გამაჯანსაღებელი ფუნქცია. ასეთი ტიპის ტყის ექსპლუატაცია გაუმართლებელია. მეორე ჯგუფის ტყეს გარემოსდაცვითი ფუნქცია აქვს, ხოლო მესამე ტიპის ტყეს საექსპლუატაციო დანიშნულება გააჩნია.

აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის მცენარეული საფარი ხასიათდება ტყის ფორმაციების სახესხვაობით და ტიპოლოგიური შემადგენლობის სიმდიდრით და ახასიათებს ზონალური განაწილება (ნახ. 1.4.1). ზღვის დონიდან 200 მ-მდე ტყით დაფარულია მთიანი სისტემის და აჭარის ტერიტორიის 10% და 6% შესაბამისად, 200-დან 1000 მ-მდე კი 52% და 55%.

ტერიტორიის 60% ტყით არის დაფარული და გამოირჩევა მრავალფეროვნებით. აჭარის სატყეო სააგენტოს ინფორმაციით ტყის ფონდი შეადგენს 191604 ჰა-ს, მათ შორის სახელმწიფო ნაკრძალი - 13693 ჰა-ია, ეროვნული პარკი 27807 ჰა, მწვანე ზონის ტყეები - 6668 ჰა, სასამელო წყლის აუზის ზონის ტყეები - 1991 ჰა, დასახლებული პუნქტების მიმდებარე ტყის უბნები - 12421 ჰა, სუბალპური ტყეები - 7084 ჰა, წყლის ობიექტების ნაპირდამცავი ზოლის ირგვლივ - 5869 ჰა, ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყეები - 128069 ჰა-ზეა გადაჭიმული. ტყით დაფარული ფართობების უმეტესი ნაწილი (>60%-ზე) 1000-2000 მ-ის სიმაღლეზეა.

მცენარეული საფარი, ძირითადად, სიმაღლითი ზონების მიხედვით იცვლება. ტყიანი ტერიტორიის ზონალური განაწილება, როგორც აჭარა-იმერეთის, ასევე აჭარის ტერიტორიისთვის ცხრილის სახით არის წარმოდგენილი (ცხრ. 1.4.1).

ცხრილი 1.4.1. ტყიანი ტერიტორიის განაწილება სიმაღლითი ზონების მიხედვით

სიმაღლითი ზონები, მ	მთიანი სისტემა				აჭარის ტერიტორია			
	მთლიანი ტერიტორია		ტყიანი ფართობი		მთლიანი ტერიტორია		ტყიანი ფართობი	
	კმ ²	%	კმ ²	%	კმ ²	%	კმ ²	%
<200	200	3	20	10	320	11	20	6
200 – 1000	2260	32	1170	52	900	31	500	55
1000 – 2000	3330	47	2530	76	1160	40	920	79
>2000	1290	18	510	40	520	18	230	42

ცხრილში წარმოდგენილი სხვადასხვა ზონის მცენარეული საფარი, ადამიანის ანტროპოგენული მოქმედების შედეგად ძლიერ არის შეცვლილი. აქ ტყე მხოლოდ ციცაბო ფერდობებზეა შენარჩუნებული.

უდიდესი ტერიტორია ტყეს უკავია საშუალომთიან რაიონებში (1000-2000 მ), სადაც ის მოიცავს მთიანი სისტემის და აჭარის ტერიტორიის 76-79%-ს, ხოლო 2000 მ-ზე მაღლა 40-42%. აჭარის მაღალმთიან რაიონებში ტყით დაფარულია ტერიტორიის 79% და ტყის საფარი, ალპურ სარტყელამდე წარმოდგენილია სუბალპური მეჩხერი ტყით.

ტერიტორიაზე იცვლება ტყის ჯიშებიც, უდიდესი ფართობი (26%) უკავია შერეულ ტყეს; ფოთლოვანი ტყით დაფარულია ტერიტორიის 22%, ხოლო წიწვოვანით - 12%. შერეულ ტყეს უკავია დიდი ტერიტორია მდ. აჭარისწყლის აუზში, სადაც ის მესხეთის ქედის სამხრეთ კალთებზე ვრცელდება ალპურ მდელოებამდე, ხოლო შავშეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე - ზღვის დონიდან 1500-2000 მ-მდე. ტყეს მნიშვნელოვანი ფართობი უკავია მესხეთის ქედის ცენტრალური და აღმოსავლეთის ნაწილის ჩრდილოეთ საშუალომთიან ფერდობებზე (ნახ. 1.4.1).

ფოთლოვანი ტყე, ძირითადად, გავრცელებულია მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილოეთ ფერდობებზე. ქედის დასავლეთ ნაწილში - 2000-2200 მ-მდე, ცენტრალურ ნაწილში - 1500-2000 მ-მდე და აღმოსავლეთ ნაწილში - 1000-1500 მ-მდე. მდ. აჭარისწყლის აუზში ფოთლოვანი ტყე მხოლოდ 500-1000 მ-მდე გვხვდება.

ტერიტორიის დასავლეთი ნაწილის მცენარეულ საფარს ვერტიკალური ზონალობა ახასიათებს. 500 მ-მდე განვითარებულია ტროპიკული ტყის სარტყელი მარადმწვანე ქვეტყით. ტყე შედგება წაბლის, მუხის, ძელქვის, ნეკერჩხლის, კოპიტის, ხურმის და სხვა ჯიშებისაგან. ქვეტყეში გვხვდება პონტოს როდოდენდრონი, წყავი, ბზა და სხვა. წაბლის ტყე 500-600 მ-დან 1000-1100 მ-მდეა. წაბლთან ერთად ხარობს მუხა, რცხილა, ცაცხვი, თხმელა და სხვა ჯიშები. კარგად არის განვითარებული ქვეტყეც: წყავი, როდოდენდრონი, დაფნა, ბზა და სხვა.

წიწვოვანი ტყით დაფარულია, ძირითადად, მესხეთის ქედის აღმოსავლეთი ნაწილის სამხრეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთის საშუალომთიანი ფერდობები. არსიანის ქედის აღმოსავლეთი ფერდობები და შავშეთის ქედის ჩრდილოეთი ფერდობები.

წიფლის ტყის სარტყელი 1000-1100 მ-დან 1500-1600 მ-მდეა. მცენარეული საფარიდან - წიფელი, რცხილა, ცაცხვი, კოპიტი, ნეკერჩხალი, წაბლი, მუხა. ზოგჯერ წიწვოვანი ჯიშებიდან ნაძვი და სოჭიც გვხვდება.

ტყის საფარი, განსაკუთრებით მისი შემადგენლობა და სიხშირე დიდ გავლენას ახდენს თოვლის საფარის მახასიათებლებზე, განაწილებაზე და შესაბამისად ზვავების წარმოქმნასა და გავრცელებაზე. თუ უტყეო ციცაბო ფერდობებზე ზვავაქტიურია მთლიანი ფართობის 80%, წიწვოვანი ტყით დაფარულ ფერდობებზე ზვავაქტიურია მთლიანი ფართობის 4%, შერეული ტყით დაფარულ ფერდობებზე - 6%, ხოლო ფოთლოვანი ტყით დაფარულ ფერდობებზე - 8% [მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, 2015].

შიდა აჭარაში, აჭარის მთისწინეთთან შედარებით, კოლხეთის ფლორის რელიქტური ელემენტები ნაკლებად გვხვდება. ტყიანი სარტყელი 1200-1300 მ-ის სიმაღლეზე იყოფა ორ ქვესარტყელად. ქვედა ქვესარტყელში სჭარბობს ისეთი ფოთლოვანი ჯიშები, როგორცაა წიფელი, მუხა, ნეკერჩხალი, წაბლი, ასევე წიწვოვანიდან - ფიჭვი, ქვედა სარტყელის ზედა ნაწილში ნაძვის, სოჭის, წიფელას და არყის ხეებია.

აღპური მდელოები ვიწრო ზოლებად მიყვება აჭარა-იმერეთისა და შავშეთის ქედების თხემებს და უფრო ფართოდაა გაფრცვლებული არსიანის ქედზე გოდერძის უღელტეხილის სამხრეთით. დიდ სიმაღლეზე მდებარე ტბებთან და ჭაობებთან დაკავშირებულია წყლისა და ჭაობის მცენარეულობის მცირე კუნძულები, სადაც ხავსი და ცვრიანა ხარობს (სურ. 14.2).

მთიან რეგიონებში არსებული ტყის საფარის შენარჩუნება, ზვავსაშიში ფერდობების გატყვიანება და ბუნებრივ საზღვრებში ტყის საფარის აღდგენა ზვავების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას წარმოადგენს.



სურ. 14.1 შერეული ტყის საფარი აჭარის ტერიტორიაზე (mcvane.ge)



სურ. 14.2. აღპური მდელოები მთიანი აჭარის ტერიტორიაზე (mcvane.ge)

15. კ ლ ი მ ა ტ ი

მთიანი სისტემა ხასიათდება ნოტიო სუბტროპიკული კლიმატით და მხოლოდ მისი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი მდებარეობს გარდამავალ ზონაში - ნოტიო ზღვის კლიმატიდან ზომიერად ნოტიო სუბტროპიკულ კლიმატში [ე. ელიზბარაშვილი, 2017; მ. კორძახია, 1961; К.В. Акифьева, В.В. Дзюба, Н.Л. Кондакова и др., 1997].

რაიონის კლიმატური თავისებურება განპირობებულია ცირკულაციური პროცესებით, ტერიტორიის სამხრეთი მდებარეობით, შავი ზღვის აკვატორიის გავლენითა და რელიეფის თავისებურებით. კლიმატის ფორმირებაში დიდ როლს ასრულებს დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასები, რომლებიც შავ ზღვაზე გავლისას ხშირად დამატებით სინოტივეს იღებს. ადგილის რელიეფის თავისებურება, კერძოდ დასავლეთის ჰაერის მასებისადმი ქედების პერპენდი-

კულარული განლაგება, ხელს უწყობს არსებული წყლის ორთქლის კონდენსაციას და იწვევს უხვ ნალექს, ძირითადად, შავი ზღვისკენ მიმართული ქედების ფერდობებზე. მესხეთის ქედის დასავლეთი ნაწილი, რომელიც სანაპირო რაიონს გამოჰყოფს მდ. აჭარისწყლის აუზისაგან, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს კლიმატზე, კერძოდ, მდინარის აუზში ეს გამოისახება ატმოსფერული ნალექების შემცირებითა და ჰაერის ტემპერატურის დაწევით. მერიდიონალურად განლაგებული არსიანის (კლიმატგამყოფი) ქედის აღმოსავლეთით კლიმატი უფრო კონტინენტური ხდება და მცირდება ნალექების რაოდენობა, რადგან ჰაერის მასები, ქედის დასავლეთ ფერდობებზე, კარგავენ ძირითად სინოტივს. აღმოსავლეთით ჰაერის ტემპერატურაც მნიშვნელოვნად მცირდება.

1.5.1. ჰაერის ტემპერატურა.

აჭარის მთიანი სისტემა ხასიათდება რბილი კლიმატით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა მთელ ტერიტორიაზე დადებითია. განსაკუთრებით მაღალი ტემპერატურები გვხვდება დასავლეთ პერიფერიულ ნაწილზე. ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად ჰაერის წლიური საშუალო ტემპერატურა მცირდება 14,5⁰-დან (ბათუმი, 5 მ.ზღვის დონიდან) 2,4⁰-მდე (გოდერძის გადასასვლელი, 2025 მ.).

ჰაერის საშუალო ტემპერატურა წლის ცივ პერიოდში (XI-III) ასევე დიდ საზღვრებში იცვლება, 8,7⁰-დან (ბათუმი) – 4,9⁰-მდე (გოდერძის გადასასვლელი). ზღვის დონიდან 1000 მ-მდე ის დადებითია, ხოლო ზემოთ - უარყოფითი;

წლის ცივი პერიოდის ტემპერატურული გრადიენტი ყოველ 100 მ-ზე ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში 0,4⁰-ია, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში - 0,6⁰, შიდა რაიონებში - 0,6⁰. მთელ ტერიტორიაზე ყველაზე ცივი თვე იანვარია. საშუალო თვიური ტემპერატურა დადებითია საკვლევი ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში 1000-1300 მ-ის სიმაღლემდე და აღმოსავლეთ ნაწილში 500-700 მ-ის სიმაღლემდე. უმცირესი საშუალო თვიური ტემპერატურა აღინიშნება 2000 მ-ზე მაღლა მდებარე ტერიტორიაზე და არსიანის ქედის აღმოსავლეთით. სიმაღლის მიხედვით ტემპერატურული გრადიენტი იანვარში ყოველ 100 მ-ზე იცვლება 0,4⁰-დან 0,7⁰ - მდე და ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში არის 0,5⁰, ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში - 0,6⁰, შიდა რაიონში - 0,7 და სამხრეთ-აღმოსავლეთ რაიონში - 0,4⁰.

დიდ საზღვრებში იცვლება ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი. მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთ რაიონებში ტემპერატურა არ ეცემა -10⁰-ზე ქვემოთ. ყველაზე დაბალი ტემპერატურა (-25⁰, -32⁰) აღინიშნება მაღალმთიან - გოდერძის გადასასვლელის რაიონში.

უარყოფითი საშუალო დღე-ღამური ტემპერატურებიან დღეთა რიცხვი ზღვისპირა ზონაში (200 მ-მდე ზღვის დონიდან) არ აღემატება 5-10-ს; 200-1000 მ-ის საზღვრებში ის არის 10-60; 1000-2000 მ-ის საზღვრებში - 60-120 და 2000 მ-ს ზემოთ 120-180.

1.5.2. ატმოსფერული ნალექები.

აჭარის მთიანი სისტემის რელიეფის თავისებურება ართულებს ატმოსფერული ნალექების ტერიტორიული გავრცელების სურათს. ამასთან დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ნალექების რაოდენობა მცირდება. მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობებზე (მდ. ჩაქვისწყლისა და კინტრიშის აუზში) ნალექების რაოდენობა სიმაღლის მიხედვით იზრდება 2300 მმ-დან (ქობულეთი) 3900 მმ-მდე (ცისკარა). აქ ვერტიკალური გრადიენტი ყოველ 100 მ-ზე შეადგენს 120 მმ-ს. ნალექების წლიური რაოდენობა მთა მტირალას რაიონში 3900-4100 მმ-ია და იგი უდიდესია არა მარტო მთიან სისტემაში, არამედ საქართველოს ტერიტორიაზეც.

მესხეთის ქედის ჩრდილოეთი და ჩრდილო-დასავლეთი ფერდობების ცენტრალურ ნაწილში ნალექების წლიური რაოდენობა ადგილის სიმაღლის მატებისას მცირდება (2150 მმ-დან 1500 მმ-მდე) ზღ.დ. 500-700 მ-ის სიმაღლემდე, უფრო ზევით 1100-1300 მ-ზე მაღლა ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად ნალექების რაოდენობა იზრდება 1500 მმ-დან 1600 მმ-მდე.

აჭარის ტერიტორიის შიდა ნაწილში (მდ.აჭარისწყლის აუზი) ნალექების წლიური რაოდენობა 600-700 მ-ის სიმაღლემდე მცირდება 2240 მმ-დან 960 მმ-მდე, შემდეგ იზრდება და 2000-2100 მ-ის სიმაღლეზე 1620 მმ-ს შეადგენს. ვერტიკალური გრადიენტი 40 მმ/100 მ-ზე. ნალექების შემცირება 600-700 მ-მდე გამოწვეულია ოროგრაფიული ბარიერის მოქმედებით, რადგან ჩაქვის ქედი ხელს უშლის დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასების შემოჭრას.

არსიანის ქედი, მერიდიანული მდებარეობის გამო, აფერხებს დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასების შემოჭრას და ამიტომ კლიმატი უფრო კონტინენტურია. აქ ნალექების განაწილება, ძირითადად, ვერტიკალურ ზონალობას ემორჩილება. ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში 1500 მ-ის სიმაღლემდე ნალექების წლიური რაოდენობა არ აღემატება 600-700 მმ-ს. ნალექების რაოდენობა ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება დასავლეთ ნაწილში - 1600 მმ-ს შეადგენს (გოდერძის გადასასვლელი).

წლის ცივ პერიოდში მოსული ნალექები (XI-III) ცალკეული მდინარეთა აუზებისა და სიმაღლითი ზონების მიხედვით ხასიათდება იგივე კანონზომიერებით, როგორც ნალექების წლიური რაოდენობა. მესხეთის ქედის დასავლეთი ნაწილის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობებზე ზამთარში მოდის 1020 მმ-დან (ქობულეთი) 1800 მმ-მდე (ცისკარა) ნალექი, რაც წლიური ნალექების რაოდენობის 44-45%-ს შეადგენს. მესხეთის ქედის ცენტრალური და აღმოსავლეთი ნაწილის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილოეთ ფერდობებზე ზამთრის განმავლობაში მოდის 530-1000 მმ ნალექი (ნალექების წლიური რაოდენობის 44-52%); ტერიტორიის შიდა ნაწილში (მდ.აჭარისწყლის აუზი) - 640-1150 მმ-ი (45-51%); სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (არსიანის ქედის აღმოსავლეთით) ზამთარში მოსული ნალექების რაოდენობა მცირეა - 130-330 მმ-ია (29-31%).

ზამთრის პერიოდში საშუალო და მაღალმთიან რაიონებში, ძირითადად, მოდის მყარი ნალექი. 1000 მ-ის სიმაღლემდე მათი წილი ნალექების წლიური რაოდენობაში საშუალოდ 2-18%-ს შეადგენს, 1000-2000 მ-ის სიმაღლეზე იზრდება 18-20-დან 50%-მდე, ხოლო 2000 მ-ის ზემოთ შეადგენს 50-80%-ს. მყარი ნალექების ყველაზე დიდი პროცენტი მოდის იანვარზე. 1000 მ-ის ზემოთ იანვარში მოსული ნალექების 50% მყარი სახით მოდის, ხოლო 2000 მ-ზე მაღლა ოთხი თვის განმავლობაში (XI-III) ნალექები მოდის მხოლოდ მყარი სახით [მ.სალუქვაძე, ნ.ლომიძე, 2017; В.Ш. Цома, К.Л. Абдушлишвили, Л.А. Калдани, К.К. Уклеба, 1974].

განსახილველი ტერიტორიისათვის ზამთარში დამახასიათებელია სხვადასხვა გრადაციის მქონე ნალექების განმეორადობის დიდი ცვალებადობა. მაგალითად, გოდერძის გადასასვლელზე 30 მმ-ი ნალექების მოსვლის განმეორადობა 55%-ია, ხოლო 100 მმ-ზე მეტის განმეორადობა - 10%. ცისკარას რაიონში 100 მმ-ზე მეტი ნალექების განმეორადობა აღწევს 45%-ს, 300 მმ-ზე მეტის - 56%-ს. უფრო დაბალ რაიონებში (ქედა) 30 მმ-ზე ნაკლები ნალექების განმეორადობა შეადგენს 29%-ს, ხოლო 100 მმ-ზე მეტი ნალექების განმეორადობა - 34%-ს. ცალკეულ წლებში ერთი თვისას მოსული ნალექების რაოდენობა შეადგენს ნალექების თვიური რაოდენობის 150-250%-ს. ასე მაგალითად, 1950 წლის იანვარში, ხულოში, მოვიდა ნალექების თვიური რაოდენობის 235%, ქედაში - 243%. ასევე 1971 წლის თებერვალში - 220% ნალექი მოვიდა ხულოში.

1.5.3. თოვლის საფარი.


საკვლევ ტერიტორიაზე, მსგავსად ატმოსფერული ნალექებისა, თოვლის საფარი არათანაბარი განაწილებით ხასიათდება და მის ტერიტორიულ განაწილებას კარგად ახასიათებს თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლეები (ცხრ. 1.5.3.1) [Л.К. Папинашвили, 1974, Л.К. Папинашвили, 1977].

ცხრილი 1.5.3.1. თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლე აჭარის ტერიტორიაზე


თოვლის სიმაღლე, სმ	მაქსიმალური სიმაღლე		თოვლის სიმაღლე, სმ	საშუალო სიმაღლე		თოვლის სიმაღლე, სმ	მინიმალური სიმაღლე	
	კმ ²	%		კმ ²	%		კმ ²	%
>500	460	16	>300	370	13	>120	800	28
400-500	200	7	225-300	440	15	90-120	390	13
300-400	1030	35	150-225	700	24	60-90	400	14
200-300	730	25	75-150	1030	35	30-60	610	21
100-200	400	14	<75	360	12	<30	700	24
<100	80	3						

მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილოეთ ფერდობებზე, თითქმის ერთნაირ ოროგრაფიულ პირობებში, თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე შავ ზღვასთან დაშორებასთან ერთად მცირდება. მაგალითად, ზღვის დონიდან 1000 მ-ის სიმაღლეზე, მდინარეთა ჩაქვისწყლისა და კინტრიშის აუზებში (16-24 კმ-ზე შავი ზღვიდან) სიმაღლე 500-550 სმ-ია, ეს მონაცემები ეყრდნობა თოვლის მარშრუტული აგეგმვის მასალებს. თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის მცირე სიდიდე, შავი ზღვიდან დაშორების გარდა, დამოკიდებულია ოროგრაფიაზეც. მესხეთისა და არსიანის ქედები მნიშვნელოვნად ამცირებენ დასავლეთის ტენიანი ჰაერის მასების გავლენას.


თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე, აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული მეტეოსადგურების მონაცემების საფუძველზე, იცვლება 117 სმ-დან (ბათუმი, 5 მ.ზღვის დონიდან) 402 სმ-მდე (გოდერძის გადასასვლელი, 2025 მ ზღვის დონიდან), ვერტიკალური გრადიენტი 300-400 მ-მდე ყოველ 100 მ-ზე შეადგენს 50 სმ-ს, ზემოთ მცირდება და არ აღემატება 4 სმ-ს (ნახ. 1.5.3.1).



ნახ. 1.5.3.1. აჭარის ტერიტორიის თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის რუკა (დ.ქალღანი, მ.სალუქვაძე)



ნახ. 1.5.3.2. აჭარის ტერიტორიის თოვლის საფარის საშუალო სიმაღლის რუკა (ლ.ქალღანი, მ.სალუქვაძე)



ნახ. 1.5.3.3. აჭარის ტერიტორიის თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლის რუკა (ლ.ქაბლანი, მ.სალუქვაძე)

ანალოგიური კანონზომიერებანი დაიკვირვება თოვლის საფარის საშუალო და მინიმალურ სიმაღლეების ვერტიკალური განაწილებისას. ჩვენს მიერ შედგენილია აჭარის ტერიტორიისთვის თოვლის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლის რუკები (ნახ. 1.5.3.1-1.5.3.3).

ასე მაგალითად >300 სმ-ზე თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლით ხასიათდება აჭარის ტერიტორიის 58%, >150სმ-ზე თოვლის საფარის საშუალო სიმაღლით - 52%, ხოლო >60 სმ-ზე მინიმალური სიმაღლით ტერიტორიის - 55%. 100 სმ-ზე მაქსიმალური სიმაღლე ტერიტორიის 3%-თვისაა დამახასიათებელი, ხოლო 30 სმ-ზე ნაკლები მინიმალური სიმაღლე- 24%-თვის. არის ზამთრები, როცა აჭარის მთიანი რაიონები უხვთოვლიანობით გამოირჩევა (სურ. 1.5.3.1-1.5.3.3).



სურ. 1.5.3.1 - 1.5.3.2. უხვთოვლიანი ზამთარი ქედასა (256 მ) და ხულოში (923 მ)
(www.batumelebi.netgazeti.ge)



სურ. 1.5.3.3. ზამთარი გოდერძის უღელტეხილზე (2025 მ)
(www.batumelebi.netgazeti.ge)

აჭარის ტერიტორიაზე არსებული მეტეოროლოგიური სადგურების დაკვირვების მრავალწლიური მონაცემებით შესაძლებლობა მოგვეცა თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და ასევე ის ზამთრები გამოგვევლინა, როცა სიმაღლე 50, 100 და 200 სმ-ზე მეტია (ცხრ. 1.5.3.2). ცხრილის მე-3 გრაფაში მითითებულია დაკვირვების წლების რაოდენობა, მე-7, მე-9 და მე-11 გრაფაში მითითებული წლების გარდა, სხვა ზამთრებში, თოვლის საფარის სიმაღლე ნაკლები იყო 50 სმ-ზე, ან 200 სმ-ზე ნაკლები თოვლის სიმაღლე ტერიტორიაზე არ აღინიშნებოდა.

ცხრილი 1.5.3.2 თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლეები (>50, >100 და > 200 სმ)

№	მეტეოსადგური, სიმაღლე (მ)	დაკმ. წლები	მაქს. სმ	წელი	50-100	წელი	101-200	წელი	201-400	წელი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ბათუმი (5)	51	117	1985/86	100	1948/49	117	1985/86	-	
					95	1949/50	-		-	
					51	1953/54	-		-	
					56	1958/59	-		-	
					90	1971/72	-		-	
					90	1972/73	-		-	
					70	1976/77	-		-	
					89	1983/84	-		-	
					50	2001/02	-		-	
2	ქობულეთი (7)		107	1949/50	71	1985/86	107	1949/50	-	
3	მახინჯაური (15)	20	113	1949/50	75	1948/49	113	1949/50	-	75
					50	1953/54	-		-	50
					70	1958/59				70
4	ჩაქვი (30)	57	122	1983/84	58	1939/40	113	1949/50	-	
					73	1948/49	122	1983/84	-	
					68	1958/59	-		-	
					77	1971/72	-		-	
					70	1972/73	-		-	
					78	1976/77	-		-	
					95	1985/86	-		-	
					70	1992/93	-		-	
5	მწვანე კონცხი (94)	56	162	1982/83	55	1936/37	138	1949/50	-	
					76	1937/38	162	1982/83	-	
					50	1939/40	111	1984/85	-	
					56	1941/42	-		-	
					52	1945/46	-		-	
					73	1948/49	-		-	
					50	1953.54	-		-	
					99	1958/59	-		-	
					90	1970/71	-		-	
					87	1971/72	-		-	
					58	1974/75	-		-	
					86	1975/76	-		-	
					53	1985/86	-		-	
65	1990/91	-		-						

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
9	სულო (923)	79	318	1988/89	87	1935/36	104	1932/33	206	1931/32
					99	1938/39	136	1936/37	260	1949/50
					55	1942/43	136	1937/38	220	1970/71
					80	1944/45	105	1939/40	218	1974/75
					60	1945/46	120	1941/42	228	1987/88
					84	1947/48	153	1948/49	318	1988/89
					63	1951/52	178	1950/51	243	1991/92
					78	1956/57	100	1952/53	270	1992/93
					72	1959/60	175	1953/54	287	1996/97
					83	1960/61	153	1957/58	201	2004/05
					88	1961/62	179	1958/59	-	
					55	1965/66	156	1963/64	-	
					99	1966/67	129	1964/65	-	
					56	1968/69	139	1967/68	-	
					57	1969/70	189	1971/72	-	
					59	1977/78	169	1972/73	-	
					92	1979/80	181	1975/76	-	
					91	1980/81	135	1978/79	-	
					82	1983/84	154	1981/82	-	
					97	1985/86	175	1982/83	-	
					80	1986/87	185	1984/85	-	
					51	2000/01	158	1989/90	-	
					84	2001/02	155	1990/91	-	
					50	2003/04	139	1993/94	-	
					-		178	1994/95	-	
					-		119	1995/96	-	
-		103	1997/98	-						
-		133	1998/99	-						
-		169	1999/80	-						
-		120	2005/06	-						
-		174	2006/07	-						
-		115	2007/08	-						
10	გოდერძის გადასასვლელი (2025)	47	402	2000/01	-		136	1960/61	216	1961/62
					-		169	1962/63	205	1963/64
					-		192	1965/66	215	1964/65
					-		143	1966/67	292	1967/68
					-		157	1968/69	210	1969/70
					-		199	1975/76	241	1970/71
					-		110	1977/78	241	1971/72
					-		190	1978/79	285	1972/73
	გოდერძის გადასასვლელი				-		143	1980/81	208	1973/74
					-		182	1981/82	204	1974/75
					-		150	1984/85	237	1976/77
					-		167	1997/98	252	1979/80
					-		194	2001/02	281	1982/83
					-		-		203	1983/84
					-		-		213	1985/86
					-		-		227	1986/87
					-		-		211	1987/88
					-		-		322	1988/89
					-		-		336	1989/90
					-		-		255	1990/91
					-		-		266	1991/92
					-		-		402	2000/01
					-		-		207	2002/03
					-		-		318	2003/04
-		-		263	2004/05					

აჭარის ტერიტორიაზე არსებული ათი მეტეოსადგურის მონაცემების საფუძველზე 50-100 სმ თოვლის სიმაღლე, მრავალწლიური მონაცემების მიხედვით, 105-ჯერ დაფიქსირდა, 101-200 სმ - 97-ჯერ, 201-300 სმ - 41-ჯერ, 301-400 სმ - 3-ჯერ, და >400 სმ-ზე მხოლოდ ერთ შემთხვევაში, ისიც გოდერძის გადასასვლელზე (ცხრ. 1.5.3.3).

ცხრილები (1.5.3.2 და 1.5.3.3) ტერიტორიაზე არსებულ ათი მეტეოროლოგიური სადგურებიდან: ბათუმი, ქობულეთი, ჩაქვი, მწვანე კონცხი, ჩაქვისთავი თოვლის საფარზე და ნალექებზე 50-ზე მეტი წლის განმავლობაში არსებული მონაცემების საფუძველზე შედგენილი, ხოლო მს მახინჯაურის - 20 წლიანი, შუახევის - 38, ხულოს - 79 წლის, ხოლო გოდერძის გადასასვლელის 47 წლიანი მონაცემები. ამჟამად, სამწუხაროდ, ადრე არსებული 10 მეტეოროლოგიური სადგურიდან ბათუმში, ქობულეთში, ხულოსა და გოდერძის გადასასვლელზე სწარმოებს დაკვირვება.

ცხრილი 1.5.3.3. თოვლის სიმაღლის (50-400 სმ) განმეორადობა აჭარის ტერიტორიაზე

№	მეტეოროლოგიური სადგური	სიმაღლე ზღვის დონიდან, მ	განმეორადობა				
			50-100	101-200	201-300	301-400	>400
1	ბათუმი	5	9	1	-	-	-
2	ქობულეთი	7	1	1	-	-	-
3	მახინჯაური	15	3	1	-	-	-
4	ჩაქვი	30	8	2	-	-	-
5	მწვანე კონცხი	94	14	2	-	-	-
6	ქედა	256	19	14	4	-	-
7	ჩაქვისთავი	315	18	17	5	-	-
8	შუახევი	650	9	14	2	-	-
9	ხულო	923	24	32	9	1	-
10	გოდერძის გადასასვლელი	2025	-	13	21	2	1
ჯ ა მ ი			105	97	41	3	1

აჭარის მთიანი რაიონებისთვის თოვისას დამახასიათებელია თოვლის სიმაღლის ნამატის მრავალფეროვნება. მცირე ნამატიანი (10 სმ-ზე ნაკლები) თოვის საშუალო განმეორადობა იზრდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ ყველა თოვის 12%-დან 49%-მდე, ხოლო 30 სმ-ზე მეტი თოვლის სიმაღლის ნამატიანი თოვა პირიქით, დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ მცირდება (ცხრ. 1.5.3.4).

ცხრილი 1.5.3.4. ერთი თოვისას თოვლის სიმაღლის ნამატის საშუალო განმეორადობა, %

მეტეოროლოგიური სადგური	თოვლის სიმაღლის ნამატი, სმ-ში												
	<10	10-20	20-30	30-40	40-50	50-60	60-70	70-80	80-90	90-100	100-150	150-200	>200
ქედა	16	15	16	13	7	4	10	3	1	2	8	4	0
ხულო	25	19	15	12	8	4	7	3	2	1	4	1	0
ცისკარა	12	14	11	11	12	4	7	2	4	4	13	3	2
გოდერძის გადასასვლ.	49	19	9	10	3	2	1	2	1	1	2	1	0

თოვისას თოვლის სიმაღლის დიდი ნამატი (200 სმ-ზე მეტი) მცირე განმეორადობით (0-2%) დამახასიათებელია საკვლევი ტერიტორიის დიდი ნაწილისათვის. ცალკეულ უხვთოვლიან ზამთრებში რამოდენიმე თოვა დაიკვირვება თოვლის სიმაღლის დიდი ნამატი.

საკვლევი ტერიტორია არ გამოირჩევა ქარბუქიან დღეთა დიდი რაოდენობით. ქარბუქიან დღეთა საშუალო რიცხვი ზღვის დონიდან 1000 მ-ის სიმაღლემდე წლის განმავლობაში იცვლება 0,2-დან (ბათუმი) 4 დღემდე (ხულო), ხოლო ქარბუქის საშუალო ხანგრძლივობა 0,6-დან 33 საათამდე. უფრო მაღალ რაიონებში ქარბუქიან დღეთა რიცხვი იზრდება და მათი

რაოდენობა არის 16 (ცისკარა) და 52 (გოდერძის გადასასვლელი), ხოლო ქარბუქის ხანგრძლივობა შესაბამისად შეადგენს 176 - 595 საათს წელიწადში.

მთელ ტერიტორიაზე, ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად აღინიშნება თოვლის საფარიან დღეთა კანონზომიერი ზრდა. 100 მ-ზე დაბლა განლაგებულ ტერიტორიაზე თოვლის საფარიან დღეთა საშუალო რაოდენობა არის 5-20, 100მ-დან 500 მ-მდე – 20-50, 500 მ-დან 1000 მ-მდე – 50-80.

დიდი თავისებურებებით ხასიათდება მდგრადი თოვლის საფარი განაწილება, რადგან ასეთი დღეთა რიცხვი სიმაღლის მიხედვით რაიონის დასავლეთ ნაწილში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე აღმოსავლეთში (ცხრ. 15.3.5).

მდგრადი თოვლის საფარი 500-1000 მ-ის სიმაღლეზე წარმოიქმნება დეკემბერში, 1000-2000 მ-ის სიმაღლეზე ნოემბრის მეორე და მესამე დეკადაში, 2000 მ-ის ზემოთ ნოემბრის პირველ და მეორე დეკადაში. ცალკეულ წლებში მდგრადი თოვლის საფარი 1000-1500 მ-ის სიმაღლემდე წარმოიქმნება ნოემბერში, უფრო ზემოთ - ოქტომბერში, ზოგჯერ - სექტემბერშიც. მდგრადი თოვლის საფარი 500-1000 მ-ის სიმაღლეზე ქრება მარტში, 1000-2000 მ-ის სიმაღლეზე - აპრილში, 2000 მ-ს ზემოთ - მაისში. უხვთოვლიან ზამთარში მდგრადი თოვლის საფარი 500-1000 მ-ის სიმაღლეზე ქრება მარტში, 1000-2000 მ-ის სიმაღლეზე - აპრილში, 2000 მ-ის ზემოთ მაისში, ზოგჯერ კი ივნისში.

ცხრილი 15.3.5. მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რაოდენობა

მეტეოროლოგიური სადგური	სიმაღლე, მ	მაქსიმალური		საშუალო		მინიმალური	
		რ-ბა	%	რ-ბა	%	რ-ბა	%
ბათუმი	10	33	9	0	0	0	0
ჩაქვი	30	0	0	0	0	0	0
ქედა	256	96	26	34	9	0	0
ჩაქვისთავი	315	75	21	28	8	0	0
ხულო	923	130	36	57	16	0	0
ცისკარა	1210	183	50	164	45	144	39
გოდერძის გადასასვლელი	2025	220	60	195	53	172	47

საშუალო თოვლიან ზამთარში მდგრადი თოვლის საფარი ზღვის დონიდან 200-250 მ-ზე მაღლა მდებარე ტერიტორიისთვისაა დამახასიათებელი [მ.სალუქვაძე, ნ. ლომიძე, 2017; M.Salukvadze, N. Lomidze, 2015].

საშუალო თოვლიან ზამთარში მდგრადი თოვლის საფარი გვხვდება 250 მ-ზე მაღლა მდებარე ტერიტორიაზე. მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი დაბალმთიან რაიონებში წლიურ დღეთა რაოდენობის 8-9%-ია, საშუალომთიანში - 16%, მაღალმთიანში - 45-53%. უხვთოვლიან ზამთარში მდგრადი თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი დაბალმთიან რაიონებში 21-26%-ია, საშუალომთიანში - 36-50%, მაღალმთიანში - 60%. მცირეთოვლიან ზამთარში მდგრადი თოვლის საფარი 1200 მ-ზე მაღლა მდებარე ტერიტორიისთვისაა დამახასიათებელი და საშუალომთიანი რაიონებისათვის 39%-ს შეადგენს, ხოლო მაღალმთიან რაიონებში 47%-ს.

თავი II. ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იან წლებში ლადო ქაღდანის [ლ.ქაღდანი, 1999; ლ.ქაღდანი, 2000; ლ.ქაღდანი, 2001; Л.А. Калдани, 1977; Л.А. Калдани, 1979; Л.А. Калдани, 1979; Л.А. Калдани, 1983] მიერ დადგენილი იყო, რომ მთიანი რაიონების ზვავსაშიშროების ხარისხს განსაზღვრავს ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები: ზვავაქტიურობა ანუ ზვავსაშიშროების კოეფიციენტი (ზვავსაშიშროების ტერიტორია პროცენტებში), ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე (ზვავშემკრებების რაოდენობა 1 კმ²-ზე), ზვავების ჩამოსვლის სიხშირე (ერთი და იმავე ზვავის კერიდან ზვავების ჩამოსვლის რაოდენობა ერთ ზამთარში) და ზვავსაშიშროების პერიოდის ხანგრძლივობა (ზვავსაშიშროების დღეთა რაოდენობა ერთ ზამთარში). აქვე აღვნიშნავთ, რომ სწორედ ლ.ქაღდანის მიერ შემუშავებული რაოდენობრივი მახასიათებლები დაედო საფუძვლად მსოფლიო თოვლ-ყინულოვან ატლასში შემაჯავლ კავკასიის ზვავსაშიშროების რუკებს [К.Л. Абдушлишвили, Л.А. Калдани, 1997].

ჩამოთვლილი მახასიათებლებიდან ზვავსაშიშროების კოეფიციენტი და ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე იცვლება სივრცეში იმდენად, რამდენადაც ისინი დამოკიდებული არიან სივრცეში ცვალებად ზვავწარმოქმნელ ფაქტორებზე, ხოლო შედარებით უცვლელი არიან დროში (რელიეფი, ტყის საფარი). ზვავსაშიშროების ფერდობები და ღარტაფები არსებობენ მუდმივად, მაგრამ ფერდობზე და ღარტაფში ზვავის წარმოშობა დამოკიდებულია კლიმატურ ფაქტორებზე.

ზვავების ჩამოსვლის სიხშირესა და ზვავსაშიშროების პერიოდის ხანგრძლივობას განაპირობებს როგორც სივრცეში, ასევე დროში ცვალებადი კლიმატური ფაქტორები. ზვავსაშიშროების ხეშოთაღნიშნული რაოდენობრივი მახასიათებლების დროში ცვალებადობის გამოსავლენად აუცილებელია განისაზღვროს მათი მაქსიმალური, საშუალო, მინიმალური მნიშვნელობები და ასევე დადგინდეს მათი ცვალებადობა საკვლევი ტერიტორიაზე.

ამრიგად, ზვავსაშიშროების კოეფიციენტის ანუ ზვავაქტიურობის და ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირის დადგენა ხდება სივრცეში (ტერიტორიაზე), ხოლო ზვავების ჩამოსვლის სიხშირე და ზვავსაშიშროების პერიოდის ხანგრძლივობა - როგორც სივრცეში, ასევე დროშიც.

2.1. აჭარის ტერიტორიის ზვავაქტიურობა.

ზვავსაშიშროების რაიონების გამოსაყოფად და ამ რაიონებში ზვავსაშიშროების ხარისხის დასადგენად აუცილებელია ტერიტორიის ზვავაქტიურობის გამოვლენა, ამავე დროს ზვავსაშიშროების ზონების საზღვრების დადგენა.

ტერიტორიის ზვავაქტიურობის გამოვლენის მეთოდების განხილვამდე მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინის “ტერიტორიის ზვავაქტიურობის” განმარტება, რადგან ხშირად ეს ტერმინი გაიგებებოდა ტერმინ “ტერიტორიის ზვავსაშიშროება”-სთან. ტერიტორიის ზვავსაშიშროება გვიჩვენებს თუ ტერიტორიის რა ნაწილზე შეიძლება გავრცელდეს ზვავის მოქმედება; ხოლო ტერიტორიის ზვავაქტიურობა კი გვიჩვენებს ტერიტორიის რა ნაწილია აქტიური ზვავის წარმოქმნის თვალსაზრისით. ზვავსაშიშროება ტერიტორიამ შეიძლება მოიცვას როგორც ზვავაქტიური, ისე არაზვავაქტიური ტერიტორიაც, რადგან ზვავაქტიურ ტერიტორიაზე წარმოქმნილი ზვავი შეიძლება გავრცელდეს არაზვავაქტიურ ტერიტორიაზეც. ზოგადად ზვავშემკრები მთლიანად ზვავსაშიშროება, მაგრამ მისი სამი შემადგენელი ნაწილისგან - ზვავის კერა ყოველთვის ზვავაქტიურია, ზვავსადენი (ზვავის კალაპოტი), ძირითადად, ზვავაქტიურია, ხოლო ზვავის გამოზიდვის კონუსის ზედაპირი უმეტესად არაზვავაქტიურია, რადგან მისი ზედაპირის დახრილობა ხშირად 15⁰-ზე ნაკლებია და ამიტომ შეუძლებელია ზვავის წარმოქმნა [ლ.ქაღდანი, 2001].

ზვავაქტიური ტერიტორია შესაძლებელია არაზვავსაშიშროც კი იყოს იმ შემთხვევაში, როცა არსებობს დიდი დახრილობის მქონე უტყეო ფერდობები, მაგრამ ზვავების წარმოქმნისათვის საკმარისი თოვლის არ არსებობის გამო ზვავების წარმოქმნა არ ხდება. ამრიგად, ტერიტორიის ზვავსაშიშროება გვიჩვენებს თუ ტერიტორიის რა ნაწილზე შეიძლება გავრცელდეს ზვავი.

ტერიტორიის ზვავაქტიურობის გამოვლენით შეიძლება დადგინდეს თუ მთიანი სისტემის, მდინარეთა აუზის ან ცალკეული ფერდობის რა ნაწილზე შეიძლება წარმოქმნას ზვავი.

ზვავსაშიშროების დადგენის დროს ზვავაქტიური ტერიტორიების ცალკე გამოყოფა, ასევე მათი საშუალო და წერილმასშტაბიანი კარტირება შეუძლებელია, რადგან ცალკეულ ფერდობებზე და თვით ცალკეული ზვავშემკრებების ფარგლებშიც კი ხშირია ზვავაქტიური და არაზვავაქტიური მონაკვეთების მონაცვლეობა. ზვავსაშიშროების დადგენა, ძირითადად, ზვავწარმოქმნელი ფაქტორების ანალიზის საფუძველზე სწარმოებს, ხოლო ზვავაქტიური

ტერიტორიის სიდიდის გამოსახვა რუკებზე ხდება. სხვადასხვა ფართობის მქონე მონაკვეთებისათვის ტერიტორიის ზევაქტიურობის მრავალმა გამოთვლამ გვიჩვენა, რომ რეალური სურათი იმ შემთხვევაში მიიღება, თუ ფართობის ერთეული 1 კმ-ია.

ზევაების წარმოქმნაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტყის სისშირეს. წიწვოვანი ტყით დაფარულ ფერდობზე ზევაების წარმოქმნა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ხეების სისშირე 0,1-0,3-ზე ნაკლებია, ხოლო ფოთლოვანი ტყით დაფარულ ფერდობებზე - 0,3-0,5 სისშირის დროს. მრავალწლიანმა სავსე პირობებში ჩატარებულმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე, არ არსებობს ტყით დაფარული 1 ან 1 კმ²-ზე მეტი ფართობის მქონე ფერდობი კი, სადაც არ მდებარეობს უტყეო ან მეჩხერტყიანი მცირე ფართობის მონაკვეთები. ამის მიზეზი სხვადასხვა ბუნებრივი ფაქტორია, მაგალითად, მწირი ან კლდიანი ფერდობი, მეწყერი, ადამიანის ზემოქმედების შედეგი [მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, 2015; Л.А. Калдани, М.Е. Салуквадзе, Г. Джинчарадзе, 2009].

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარეობს:

1. ზოგადად, ხშირი წიწვოვანი ტყით დაფარულ ფერდობებზე, უმეტესად, ზევაების წარმოქმნა არ ხდება, მაგრამ მაინც არსებობს მონაკვეთები, სადაც შეიძლება წარმოიქმნას ზევა; ასეთი მონაკვეთების ჯამური ფართობი არ აღემატება მთელი ფართობის 0,04 ნაწილს, ანუ 4%-ს.
2. ფოთლოვანი ტყით დაფარული ფერდობი ორჯერ უფრო ზევასაშიშია და ზევაების წარმოქმნა შესაძლებელია ასეთი ფერდობების 0,08 ნაწილზე, ანუ 8%-ზე;
3. შერეული ტყისათვის კი ასეთი მონაკვეთების სიდიდე 0,06 ანუ 6%-ია.

ტერიტორიის ზევაქტიურობა გამოითვლება ფორმულით [ლ.ქალდანი, 2001]:

$$K = \frac{afb+bfl}{F} \cdot 100\% \quad (2.1.1)$$


სადაც K - ტერიტორიის ზევაქტიურობაა %-ში, f_b - უტყეო, <15⁰ დახრილობის ფერდობის ფართობი კმ², f_l - ტყიანი, >15 დახრილობის ფერდობის ფართობი კმ², F - იმ მონაკვეთის ფართობია, რომლისთვისაც განისაზღვრება ტერიტორიის ზევაქტიურობა a და b პარამეტრები: უტყეო ფერდობებისათვის a=0,8, წიწვოვანი ტყით დაფარული ფერდობებისათვის b=0,04, შერეული ტყით დაფარული - b=0,06; ფოთლოვანი ტყით დაფარული - b=0,08.

აჭარის მთიანი ნაწილისათვის, ანუ ტერიტორიას, სადაც ბუნებრივი პირობების გამო გამორიცხულია ზევაების წარმოქმნა უკავია მთელი ფართობის 16%. ნულოვანი ზევაქტიურობით ხასიათდება აჭარის ტერიტორიის დასავლეთით, ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ზღვისპირა და მთისწინა დაბალმთიანი ზოლი. ცალკეული არც თუ ისე დიდი ფართობის მქონე მონაკვეთების სახით ნულოვანი ზევაქტიურობის ტერიტორია გვხვდება როგორც საშუალომთიან (მდ. ქვაბლიანისა და მდ. ჩხერიმელას აუზები), ასევე მაღალმთიან (არსიანისა და შავშეთის ქედების თხემური ნაწილი) ზონებში.

აჭარის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი (მთელი ფართობის 60%) უკავია რაიონს, სადაც ტერიტორიის ზევაქტიურობა 20%-ზე ნაკლებია, ასეთი რაიონი მოიცავს მთიანი სისტემის თითქმის ყველა ტყით დაფარულ ფერდობს. ტერიტორიის მცირე ზევაქტიურობა განპირობებულია ტყის, განსაკუთრებით კი შერეული და წიწვოვანი ტყის საფარის არსებობით; ზოგადად არასწორი ექსპლუატაციის, ხანძრების გამო განადგურებული ტყის შემთხვევაში ტერიტორიის ზევაქტიურობა მნიშვნელოვნად გაიზრდება, რადგან ამ რაიონში, ძირითადად, ფერდობების დახრილობა აღემატება 15-20⁰-ს.

20-40%-იანი ზევაქტიურობა აღინიშნება იმ რაიონში, რომელიც მესხეთის ქედის საშუალომთიან და მაღალმთიან ფერდობებს მოიცავს; ცალკეული მონაკვეთების სახით გვხვდება შავშეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე, რაიონი, სადაც ტერიტორიის ზევაქტიურობა არის 40-60%, შეადგენს მაღალმთიანი აჭარის მთელი ფართობის 7%-ს, მოიცავს მესხეთის ქედის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდობებს, შავშეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებს, ასევე მდინარეების ქვაბლიანისა და აჭარისწყლის აუზების ცალკეულ ფერდობებს. ამ რაიონის მხოლოდ მცირედი ნაწილია ტყიანი,

ტერიტორიის დიდი ნაწილი სუბალპურ ზონაში მდებარეობს. საკვლევი ტერიტორიის 3%-ზე ტერიტორიის ზევაქტიურობა მეტია 60-ზე. ტერიტორიის ასეთი ზევაქტიურობა გვხვდება მესხეთის ქედის თხემურ ნაწილში და შავშეთის ქედის მაღალმთიან ჩრდილოეთ ფერდობებზე. რაიონი 2000 მ-ზე მაღლა მდებარეობს და მოიცავს სუბალპურ და ალპურ ზონებს. აჭარის ტერიტორიისათვის მსხვილმასშტაბიან რუკებზე, ყოველი კმ²-თვის 2.1.1 ფორმულით [ლ.ქალდანი, 2001] გამოვთვალეთ ტერიტორიის ზევაქტიურობა და შედეგნილი იქნა შესაბამისი რუკა (ნახ. 2.1.1).



ნახ. 2.1.1. აჭარის ტერიტორიის ზვავაქტიურობის რუკა (ლ.ქაღღანი, მ.საღუქვაძე)

ამრიგად, აჭარის ტერიტორიის 16% გამოირიცხულია ზვავების წარმოქმნა, ანუ ტერიტორიის ზვავაქტიურობა 0-ის ტოლია ხოლო დანარჩენ ფართობზე (84%) ტერიტორიის გარკვეული ნაწილია ზვავაქტიური და შესაძლებელია ზვავების ჩამოსვლა (ცხრ. 2.1).

ცხრილი 2.1.1 აჭარის ტერიტორიის დახასიათება ტერიტორიის ზვავაქტიურობის მიხედვით

ტერიტორიის ზვავაქტიურობა,%	ფართობი, კმ ²	% საერთო რ-დან
0	470	16
<20	1740	60
20-40	400	14
40-60	200	7
>60	90	3

2.2. ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე

ზვავშემკრები არის დედამიწის ზედაპირის ნაწილი, სადაც წარმოიქმნება, მოძრაობს და ჩერდება ზვავი. ზედაპირის ნაწილში იგულისხმება ფერდობი, ღარტაფი, ხევი, ხეობა ან მათი ნაწილი, ასევე ფერდობი და ღარტაფი, ფერდობი და ხევი, ფერდობი და ხეობის ძირი ან მათი ნაწილი და ა.შ. ზვავშემკრები სამი ნაწილისგან: ზვავის კერის, ზვავის კალაპოტის (ზვავსადენისა) და ზვავის გამოზიდვის კონუსისგან შედგება.

ზვავის კერა არის ზვავშემკრების ზედა ნაწილი, სადაც ხდება ზვავის წარმოქმნა და საიდანაც იწყება თოვლის მოძრაობა. კალაპოტი არის ზვავშემკრების შუა ნაწილი (ტერიტორია ზვავის კერასა და ზვავის გამოზიდვის კონუსს შორის), სადაც ხდება ზვავის კერაში დაგროვებული თოვლის გადაადგილება. ზვავის გამოზიდვის კონუსი არის ზვავშემკრების ქვედა ნაწილი, სადაც ხდება მოძრაობაში მოსული თოვლის გაჩერება და დაგროვება, ანუ ზვავის კერა არის დაგროვილი თოვლის განტვირთვის ზონა, ხოლო გამოზიდვის კონუსი - ზვავის თოვლის დაგროვების ზონა [მ.სალუქვაძე, 2018; Гляциологический словарь, 1984].

ზვავშემკრები შესაძლებელია იყოს როგორც მარტივი, ასევე რთული. ზვავშემკრები მარტივია, თუ მას ერთი ზვავის კერა, ზვავის კალაპოტი, ზვავის გამოზიდვის კონუსი აქვს და საერთო არაფერი აქვს სხვა ზვავშემკრებთან; ზვავშემკრები რთულია იმ შემთხვევაში, თუ რამდენიმე ზვავშემკრებს აქვს საერთო ზვავის კერა, სხვადასხვა კალაპოტი და გამოზიდვის კონუსი. ზვავშემკრებების მორფომეტრიული მახასიათებლებია: შეფარდებითი სიმაღლე (ზვავშემკრებების ზედა და ქვედა საზღვრების აბსოლუტურ სიმაღლეებს შორის სხვაობა); ზვავშემკრების სიგრძე (ზვავშემკრების ზედა და ქვედა საზღვრებს შორის მანძილი); ზვავშემკრების ზონის ფართობი; საშუალო დახრილობა;

ზვავშემკრების ყველა ეს პარამეტრი ჩვენს მიერ გამოთვლილია აჭარის ტერიტორიაზე იმ 161 ზვავისათვის, რომლებმაც ცალკეულ წლებში დიდი ზიანი მიაყენა საკვლევ რაიონს და ცხრილის სახით არის წარმოდგენილი დანართში (დანართის ცხრილი 1).

ზვავშემკრებები თავისი ფორმის მიხედვითაც შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს. ზოგადად პირველი ჯგუფის ზვავშემკრებს ეწოდებათ ფერდობის, მეორეს - ხევის, ხოლო მესამეს ფერდობ-ხევის.

ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე ზვავსაშიშროების ერთ-ერთი ძირითადი რაოდენობრივი მახასიათებელია და მასში იგულისხმება ზვავშემკრებების რაოდენობა ერთ გრძივ კილომეტრზე ან ფართობის ერთეულზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ ზვავშემკრებების რაოდენობის დადგენა ერთ გრძივ კილომეტრზე არ იძლევა საშუალებას დადგინდეს ზვავშემკრებების გავრცელების რეალური სურათი. ზვავშემკრებების სიხშირის თავისებურებათა გამოსავლენად მხედველობაშია მისაღები ზვავშემკრების ყველა მორფოლოგიური ტიპი, მიუხედავად ზვავების წარმოქმნის სიხშირისა [ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, 2001].

აჭარის მთიანი ნაწილის ზვავშემკრებების თავისებურებათა გამოსავლენად, საქართველოს თოვლის ზვავების კადასტრის შედგენის დროს [მ.სალუქვაძე, 2018], ტერიტორიაზე ჩატარებული საველე მასალები, საშუალო და მსხვილმასშტაბიანი რუკები, აეროფოტოგადაღების მასალები გამოვიყენეთ. დაბალმთიან უტყეო ან მხოლოდ ფოთლოვანი ტყით დაფარული რაიონებისათვის ზვავშემკრებების გავრცელების საზღვრების დადგენა მხოლოდ საველე კვლევის შედეგად არის შესაძლებელი. გარდა ამისა, რადგან ამ რაიონებში, ძირითადად, სპორადული (იშვიათი განმეორადობის) ზვავების ჩამოსვლა შეიმჩნევა, ამიტომ საზღვრის დადგენა მსხვილმასშტაბიანი რუკებისა და აეროფოტოგადაღების მასალების გარეშე შეუძლებელია. საშუალომთიან რაიონებში, სადაც სისტემატური ზვავები სჭარბობს, მათი ჩამოსვლის კვალი შენარჩუნებულია, გეობოტანიკური მახასიათებლებიც საშუალებას იძლევა ზუს-

ტად დადგინდეს ზვავშემკრებების გავრცელების საზღვრები და მათი სიხშირე. ტყის ზედა საზღვარში არსებული ტერიტორიისთვის ძლიერი დანაწევრებაა დამახასიათებელი, აქ ფართოდ არის გავრცელებული რელიეფის ეროზიული ფორმები. კარტოგრაფიული მასალის გამოყენება საველე პირობებში მოპოვებულ მასალასთან ერთად საშუალებას იძლევა, მაღალმთიან რაიონებში, დიდი სიზუსტით განვსაზღვროთ ზვავშემკრებების გავრცელების საზღვრები და მათი სიხშირეც.

წლების მანძილზე ჩატარებულმა კვლევამ საშუალება მოგვცა შეგვედგინა ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირის რუკა და დაგვედგინა ზვავშემკრებების რაოდენობა თითოეულ კმ²-ზე (ნახ. 2.2.1) [ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, 2003; ლ.ქალდანი, მ.სალუქვაძე, 2015].

აჭარის მთელი ფართობის 15%-ზე ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე (ზვავშემკრებების რაოდენობა 1 კმ²-ზე) ნულის ტოლია (ცხრ. 2.2.1). მოცემული რაიონი მოიცავს დაბალმთიან (ზღვის დონიდან 500 მ-ზე ნაკლები) 15⁰-ზე ნაკლები დახრილობის მქონე ტერიტორიას დასავლეთ, ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე მთისწინა ფერდობებს; ასეთივე დახრილობის მქონე საშუალომთიან (900-2000 მ) ფერდობებს მდ. ქვაბლიანის აუზის დასავლეთ ნაწილში და მაღალმთიან ფერდობებს (2000-2600 მ) შავშეთის ქედის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილში.

ცხრილი 2.2.1 აჭარის ტერიტორიის დახასიათება ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირის მიხედვით

ზვავშემკრებების რაოდენობა 1 კმ ²	ფართობი, კმ ²	% საერთო რ-დან
0	430	15
<5	1270	44
5-10	900	31
10-15	180	6
>15	120	4

განსაკუთრებით ფართო გავრცელებით (44%) ხასიათდება რაიონი, სადაც ზვავშემკრებების რაოდენობა 1კმ²-ზე 5-ზე ნაკლებია და მოიცავს დაბალმთიან, ასევე წიწვოვანი და შერეული ტყით დაფარული საშუალომთიან ზონას.

აღნიშნული რაიონი მდ. ჩაქვისწყლის, მდ. კინტრიშის და მდ. ნატანების აუზებში ზღვის დონიდან 200-1500 მ-ზე მდებარე ფერდობებზე, ასევე მდ. აჭარისწყლის აუზში - 1500-2000 მ-ზე მდებარე ფერდობებზეა; ასევე ეს რაიონი მოიცავს მესხეთის, არსიანის და შავშეთის ქედების თხემური ნაწილის, არც თუ ისე დიდი ფართობის მქონე, ფერდობებს. რაიონს, სადაც ზვავშემკრებების რაოდენობა 1 კმ²-ზე 5-10-ს შეადგენს უკავია აჭარის ტერიტორიის 31% და ძირითადად, მდ.აჭარისწყლის აუზის საშუალომთიან (1400-1500 მ-ზე მაღლა) ზონაშია. აღნიშნულ რაიონს უკავია დაბალმთიანი (500-1000 მ) ზონაც და ამ რაიონის დიდი ნაწილი, ძირითადად, შერეული და წიწვოვანი ტყითაა დაფარული.

საკვლევ ტერიტორიაზე შედარებით მცირე ფართობი (6%) უკავია რაიონს, სადაც ზვავშემკრებების რაოდენობა 1 კმ²-ზე შეადგენს 10-15-ს. რაიონი როგორც მესხეთის ქედის ჩრდილოეთისა და სამხრეთის, ზღვის დონიდან 1500–2100 მ. მდებარე ფერდობებზე, ასევე ვიწრო ზოლის სახით შავშეთის ქედის 1700–1900 მ. მდებარე ჩრდილოეთ ფერდობებზეა. რაიონის უმეტესი ნაწილი უტყეოა და მხოლოდ მისი ქვედა ნაწილი მენხერი ტყითაა დაფარული.

რაიონს, რომლისთვისაც დამახასიათებელია ზვავშემკრებების განსაკუთრებით დიდი სიხშირე (15-ზე მეტი 1 კმ²-ზე), უკავია ძალიან მცირე ტერიტორია (4%). რაიონი მდებარეობს 2000-2100 მ-ზე მაღლა, მისთვის დამახასიათებელია ძლიერი დანაწევრება და ციცაბო (23-25⁰ და ზოგან 35⁰-ზე მეტი დახრილობის) უტყეო ფერდობები.

2.3. ზვავების ჩამოსვლის სიხშირე.

ზვავების ჩამოსვლის სიხშირის თავისებურებების შესწავლამდე განვიხილავთ თუ რას წარმოადგენს ზვავი და რა იგულისხმება სახელწოდება “ზვავში”. მიუხედავად იმისა, რომ მონოგრაფიაში ცალკე გვაქვს წარმოდგენილი სპეციალური ტერმინების განმარტებები, მაინც საჭიროდ ჩავთვალეთ ტექსტში დეტალურად განვიხილოთ ესა თუ ის ტერმინი. ზვავი ბუნებრივი მოვლენაა და მისი განმარტება მოგვცა სულხან-საბა ორბელიანმა, მე-17 საუკუნეში შედგენილ ლექსიკონში [სულხან-საბა ორბელიანი, 1991]: “თუცა თოვლის სიმრავლე მთამ ვერ იტვირთა და ახალი თოვლი ჩამო(ი)ზვლა, იგი არს - შვავი; და თუცა გაზაფხულ თოვლი შეყინებული ჩამოიზვლა, მას უწოდებენ ზვავსა”. სულხან-საბა ორბელიანის ზემოთმოყვანილ განმარტებაში მოცემულია არა მარტო ზვავის არსი, არამედ გენეზისიც - ერთმანეთისაგან გამოყოფილია ახალმოსული და ძველი თოვლის ზვავი.

ზვავი არის ფერდობზე სიმძიმის ძალის გავლენით მოწყვეტილი გარკვეული სიჩქარისა და მოცულობის მქონე თოვლის მასა. ზვავშემკრები ფერდობის, ხევის ან ხეობის ნაწილია, რომელზეც წარმოიქმნება, მოძრაობს და ჩერდება ზვავი; ზვავშემკრები სივრცეა, გარკვეული ფართობის ტერიტორიაა და დროში უცვლელი, ხოლო ზვავი მოვლენაა - დროში ცვალებადი. ზვავშემკრებს აქვს "მუდმივი" საზღვრები და მორფომეტრიული მახასიათებლები (სიგრძე, სიგანე, ფართობი, ზედაპირის დახრილობა და სხვა). ერთ ზვავშემკრებში წარმოქმნილ მრავალი ზვავიდან ერთნაირი გავრცელების საზღვრებისა და დინამიკური მახასიათებლების მქონე ორ ზვავსაც კი ვერ შევხვდებით; ყველა ზვავს აქვს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გავრცელების საზღვარი, სიჩქარე, დარტყმის ძალა, კონუსის სიგრძე, სიგანე, სიმაღლე და მოცულობა, მოძრაი ზვავის სიმაღლე [მ.სალუქვაძე, 2018].

ჩამოსული ზვავის საზღვრის დასადგენად საკმარისია, ზვავის ჩამოსვლის შემდეგ, კვალის გაქრობამდე, ადგილზე მისვლა და მსხვილმასშტაბიან გეგმაზე ან რუკაზე მათი დატანა, ხოლო ზვავშემკრებების საზღვრების დასადგენად გარდა სავსე სამუშაოებისა აუცილებელია თეორიული კვლევა. მხოლოდ თეორიული და პრაქტიკული კვლევის შეჯერებით შეიძლება დადგინდეს ზვავშემკრების რეალური საზღვარი.

მთიან რაიონებში, სადაც ზვავების რეჟიმზე არსებული მასალები მწირია ან სისტემატური დაკვირვებები საერთოდ არ ხდება, ზვავების ჩამოსვლის სიხშირის დადგენა შესაძლებელია მისი თავისებურებების განმსაზღვრელი ფაქტორების, კერძოდ: ფერდობების დახრილობა, მყარი ნალექების რაოდენობა, თოვის ინტენსივობა და განმეორადობა, თოვლის სიმკვრივე და სხვა ფაქტორთა ანალიზის საშუალებით. ეს ფაქტორებია გათვალისწინებული ლ. ქაღდანის ზვავების ჩამოსვლის სიხშირის მეთოდის შემუშავებისას [ლ.ქაღდანი, მ.სალუქვაძე, 2003; ლ.ქაღდანი, მ.სალუქვაძე, 2015; J.A. Калдани, 1979].

ზამთრის განმავლობაში მოცემულ ფერდობსა და ზვავშემკრებში იმდენჯერ წარმოიქმნება ზვავი, რამდენჯერაც მოვა ზვავის წარმოქმნისთვის საჭირო სიმაღლის თოვლი ანუ კრიტიკულ მნიშვნელობაზე მეტი სიმაღლის თოვლი. აღნიშნულიდან ცხადია, რომ ერთ ზამთარში მოცემულ ფერდობსა და ზვავშემკრებში ზვავების ჩამოსვლის სიხშირე შეიძლება დაავადგინოთ ზვავის წარმოქმნისთვის საჭირო ახალმოსული თოვლის სიმაღლეთა ნამატის ჯამის შეფარდებით თოვლის კრიტიკულ სიმაღლესთან: (2.3.1. - 2.3.6).

$$r = \frac{\sum h_{ax}}{h_{kr}} \quad (2.3.1)$$

სადაც r - ზვავის ჩამოსვლის სიხშირეა. $\sum h_{ax}$ - ახალმოსული თოვლის სიმაღლეთა ნამატის ჯამია

$$\sum h_{ax} = k(h_{max} - \Delta h); \quad (2.3.2)$$

h_{max} - ზამთრის განმავლობაში ახალმოსული თოვლის სიმაღლეთა ნამატის ჯამია, Δh - ზამთარში თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლეა სმ-ში; k - კოეფიციენტი, რომლის ცვალებადობა Δh ცვლილებაზეა დამოკიდებული,

$$k = 2,55 e^{-0,06 \Delta h} \quad (2.3.3)$$

სადაც e ნატურალური ლოგარითმის ფუძე ($e = 2,72$)

$$\sum h_{ax} = 2,55 e^{-0,06 \Delta h} (h_{max} - \Delta h); \quad (2.3.4)$$

h_{kr} - თოვლის კრიტიკული სიმაღლე, სმ.

$$H_{kr} = 17200 \alpha^{-2} [(0,9 + \rho)^6 + (0,99 + \rho^2)^6] \quad (2.3.5)$$


სადაც α - ფერდობთა დახრილობაა, გრად., ρ - თოვლის სიმკვრივე, გ/სმ³

თუ 3.2 ფორმულაში ჩავსვამთ $\sum h_{ax}$ (3.3) და h_{kr} (3.6) მნიშვნელობას მივიღებთ:

$$r = \frac{2,55 e^{-0,06 \Delta h} (h_{max} - \Delta h)}{17200 \alpha^{-2} [(0,9 + \rho)^6 + (0,99 + \rho^2)^6]} \quad (2.3.6)$$

ამრიგად, ერთ ზამთარში ზვავების ჩამოსვლის სიხშირის დასადგენად აუცილებელია თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლის (h_{max}), ფერდობის დახრილობის (α) და თოვლის სიმკვრივის (ρ) ცოდნა. როგორც ფორმულიდან (2.3.6) ჩანს ზვავების ჩამოსვლის სიხშირის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია თოვლის სიმკვრივის და ფერდობის დახრილობის ცოდნა. აჭარისათვის დამახასიათებელია ნოტიო სუბტროპიკული კლიმატი, რის გამოც აქ ახალმოსული თოვლის სიმკვრივე მეტია კონტინენტური კლიმატის პირობებში არსებულ სიმკვრივესთან შედარებით. საკვლევი ტერტორიაზე ახალმოსული თოვლის სიმკვრივე მერყეობს 0,09 გრ/სმ³ - 0,15 გრ/სმ³ შორის, ხოლო საშუალოდ ახალმოსული თოვლის სიმკვრივედ მიღებულია 0,12 გრ/სმ³.

ზვავების ჩამოსვლის სიხშირის დასადგენად ერთ ზამთარში თოვლის კრიტიკული სიმაღლის ფორმულით (2.3.5) გამოითვლება მისი მნიშვნელობა სხვადასხვა დახრილობის (5^0 -იანი ინტერვალით) ფერდობებისათვის. მიღებულ მნიშვნელობას ჩავსვამთ ფორმულა (2.3.6)-ში Δh -ის ნაცვლად, ხოლო h_{max} -ის მნიშვნელობა პირველ თავში წარმოდგენილ რუკებზეა (თოვლის საფარის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური სიმაღლე, ნახ. 2.5.3.1 -2.5.3.3) წარმოდგენილი. სწორედ ამ მონაცემების საფუძველზე შევადგინეთ აჭარის ტერიტორიის ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური რუკები. (ნახ. 2.3.1 - 2.3.3.).



ნახ. 2.32. აჭარის ტერიტორიაზე ზვავების ჩამოსვლის საშუალო სიხშირის რუკა (ლ.ქალღანი, მ.სალუქვაძე)

მრავალწლიანი საველე სამუშაოების და კარტოგრაფიული მასალების ანალიზმა საშუალება მოგვცა დაგვედგინა აჭარაში ყველა ზევაშემკრების ადგილმდებარეობა და გამოგვეთვალა მათი რაოდენობა ტერიტორიის თითოეულ კვადრატულ კილომეტრზე.

ზევაების ჩამოსვლის სიხშირის ცვალებადობის დასადგენად დროში, (2.3.6) ფორმულით გამოვთვალეთ უხვთოვლიანი, საშუალოთოვლიანი და მცირეთოვლიანი ზამთრებისათვის ზევაების ჩამოსვლის სიხშირე, რამაც საშუალება მოგვცა დაგვედგინა მისი მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური მნიშვნელობა (ცხრ. 2.3.1).

ცხრილი 2.3.1. აჭარის ტერიტორიის დახასიათება ზევაების ჩამოსვლის სიხშირის მიხედვით

ჩამოსვლის რ-ბა	ზევაების ჩამოსვლის სიხშირე					
	მაქსიმალური		საშუალო		მინიმალური	
	კმ ²	%	კმ ²	%	კმ ²	%
0	530	18	900	31	1600	55
<5	860	30	1330	46	1220	42
6-10	630	22	490	17	80	3
11-15	460	16	150	5	-	-
>15	420	14	30	1	-	-

უხვთოვლიან ზამთრებში, აჭარის ტერიტორიის 18%-ზე ზევაების წარმოქმნა გამორიცხულია. რაიონს, სადაც ზევაების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე ერთ ზამთარში 5-ზე ნაკლებია, დიდი ტერიტორია (30%) უკავია და, ძირითადად, მდებარეობს ტერიტორიის დასავლეთ და აღმოსავლეთ ნაწილში, ასევე მესხეთის, შავშეთისა და არსიანის ქედების ზოგიერთ ფერდობებზე.

რაიონი, სადაც ზევაების ჩამოსვლის საშუალო სიხშირე შეადგენს 11-15 შემთხვევას ერთ ზამთარში მცირე ტერიტორია (5%) უკავია. (ცხრ. 2.3.1, ნახ. 2.3.2).

მცირეთოვლიან ზამთრებში ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე (55%) გამორიცხულია ზევაების წარმოქმნა (ცხრ. 2.3.1., ნახ. 2.3.3). მესხეთის ქედის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილის საშუალომთიან ფერდობებზე, არსიანის, შავშეთისა და მესხეთის ქედების აღმოსავლეთი ნაწილის მაღალმთიან ფერდობებზე, ზევაების ჩამოსვლის მინიმალური სიხშირე ერთ ზამთარში 5 შემთხვევაზე ნაკლებია.

რაიონს, სადაც ზევაების ჩამოსვლის სიხშირე ერთ ზამთარში შეადგენს 6-10 შემთხვევას, უკავია ძალიან მცირე ტერიტორია (3%) და მოიცავს მესხეთის ქედის დასავლეთი და ცენტრალური ნაწილის თხემების მიმდებარე უტყეო, ციცაბო ფერდობებს.

2.4. ზეავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა

ზეავსაშიში პერიოდად შეიძლება ჩაითვალოს ზამთრის ის მონაკვეთი, რომლის განმავლობაშიც ფერდობზე არსებული თოვლის სიმაღლე აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას, ამ დროს ხშირად ცვალებადი მეტეოროლოგიური პირობების გამო შესაძლებელია ფერდობებიდან სხვადასხვა გენეზისის ზევაების ჩამოსვლა, ხოლო ზეავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობად შეიძლება მივიჩნიოთ ზამთრის ის დღეები, როცა თოვლის სიმაღლე აღემატება კრიტიკულ მნიშვნელობას.

ზეავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია როგორც სივრცეში ცვალებად, მაგრამ დროში უცვლელ ფაქტორებზე (ადგილის აბსოლუტური სიმაღლე, ოროგრაფია, ფერდობების დახრილობა და სხვა), ასევე დროში ცვალებად ფაქტორებზეც (თოვლიან დღეთა რაოდენობა, თოვლის სიმკრევე და სხვა), ამრიგად, ზეავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა იცვლება როგორც სივრცეში, ასევე დროშიც.

ზეავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობის დროში ცვალებადობა დადგენილია საკვლევი ტერიტორიაზე განლაგებული ყველა მეტეოროლოგიური სადგურის 50 წლიანი მონაცემების საფუძველზე. ზეავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობის გამოთვლა სწარმოებდა ყველა ცალკეული ზამთრისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა დაგვედგინა მისი მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური მნიშვნელობები [ლ.ქაღდაძე, 1999; ლ.ქაღდაძე, მ.სალუქვაძე, 2003; ლ.ქაღდაძე, მ.სალუქვაძე, 2015].

ზეავსაშიში პერიოდის განსაზღვრის დროს აუცილებელია ფერდობის დახრილობის გათვალისწინება. გარდა ამისა, ზეავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა დამოკიდებულია თოვლის საფარის სიმაღლესა და მის ხანგრძლივობაზე, რომელიც წლიდან წლამდე დიდ საზღვრებში იცვლება.

ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობის დროში ცვალებადობა დადგენილია აჭარის ტერიტორიაზე განლაგებული ყველა მეტეოროლოგიური სადგურიდან (1946-2016 წწ.) მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე. აქვე აღვნიშნავთ, რომ სამწუხაროა, რომ 2000 წლიდან შემცირდა მეტეოსადგურების რიცხვი და გართულდა მეტეომასალების მოპოვებაც. ამის მიუხედავად, იმ მასალით, რომელიც დავამუშავეთ, შესაძლებელი გახდა ყველა ცალკეული ზამთრისათვის დაგვედგინა ამ პარამეტრის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური მნიშვნელობები.

მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილოეთი ფერდობების მდინარეთა (ჩაქვისწყალი, კინტრიში) აუზებში, როგორც უხვთოვლიან, ისე მცირეთოვლიან ზამთრებში, ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად თანაბრად იზრდება. ეს ბუნებრივია, რადგან ამ ტერიტორიას დასავლეთის ჰაერის მასები შეუფერხებლად აღწევენ. 25-30⁰-ზე მეტი დახრილობის მქონე ფერდობებზე ზვავსაშიში პერიოდისათვის დამახასიათებელია შედარებით სწრაფი ზრდა ზღვის დონიდან 500-600 მ-მდე, 25-30⁰-ზე ნაკლები დახრილობის მქონე ფერდობებზე ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური და ყველა სხვა ფერდობებზე საშუალო და მინიმალური ხანგრძლივობა 500-600 მ-მდე შედარებით ნელა იზრდება, ხოლო უფრო მაღლა - სწრაფად. მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთ და ჩრდილოეთ ფერდობებზე ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობის ზრდა ადგილის აბსოლუტური სიმაღლის ზრდასთან ერთად აღმოსავლეთი მიმართულებით მცირდება შავი ზღვიდან დაშორების ზრდის მიხედვით. ასე მაგალითად, ზღვის დონიდან 1000 მ-ზე, 20⁰-იან დახრილობის მქონე ფერდობებზე, ზვავსაშიში პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა მდ. ჩაქვისწყლის აუზში შეადგენს 60, მდ.კინტრიშის აუზში - 55-ს.

მდ. აჭარისწყლის აუზში ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობის ზრდა ადგილის აბსოლუტური სიმაღლის მატებასთან ერთად ზღვის დონიდან 400-500 მ-მდე მნიშვნელოვანია, შემდეგ 1000-1100 მ-მდე - უმნიშვნელო, ხოლო უფრო მაღლა კი ძალიან დიდი. ამ აუზში ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობის არათანაბარი ზრდა სიმაღლის მიხედვით, ძირითადად, განპირობებულია ტერიტორიის ოროგრაფიული თავისებურებებით.

ფერდობების დახრილობის რუკის, ჰიფსომეტრიის რუკისა და გრაფიკული დამოკიდებულებების საფუძველზე შედგენილია აჭარის ტერიტორიისათვის ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური, საშუალო და მინიმალური ხანგრძლივობის რუკები (ნახ. 2.4.1 - 2.4.3).


რუკებიდან (ნახ. 2.4.1 - 2.4.3) ნათლად ჩანს, რომ ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა დროში დიდ ფარგლებში იცვლება. ზამთრის თოვლიანობა გავლენას ახდენს ზვავების გავრცელების ტერიტორიის ფართობზე.

აჭარის ტერიტორიაზე ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა სხვადასხვა წლებში სხვადასხვაა. ასე მაგალითად, 150 დღეზე მეტი ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობით უხვთოვლიან ზამთრებში ხასიათდება საკვლევი ტერიტორიის 20%, საშუალოთოვლიან ზამთრებში - 5%, ხოლო მცირეთოვლიან ზამთრებში ზვავსაშიში პერიოდის ასეთი ხანგრძლივობა ტერიტორიაზე არ დაიკვირვება (ცხრ.2.4.1).


ცხრილი 2.4.1 აჭარის ტერიტორიის დახასიათება ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობის მიხედვით

დღეთა რ-ბა	ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა					
	მაქსიმალური		საშუალო		მინიმალური	
	კმ ²	%	კმ ²	%		%
0	530	18	750	26	1530	53
<50	510	18	910	31	990	34
50-100	680	23	750	26	340	12
100-150	610	21	340	12	40	1
>150	570	20	150	5	-	-


ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა დიდ ფარგლებში იცვლება სივრცეშიც. უხვთოვლიან ზამთრებში 150 დღეზე მეტი ხანგრძლივობით ხასიათდება ზღვის დონიდან 1500 მ-ზე მაღლა მდებარე მესხეთის ქედის აღმოსავლეთი და ცენტრალური ნაწილის და შავშეთის ქედის ფერდობები, ასევე საშუალომთიან ზონაში მდებარე მესხეთის ქედის დასავლეთის ნაწილის ფერდობები. 100-დან 150 დღემდე ხანგრძლივობა არსიანის ქედის მაღალმთიან ფერდობებზე საკვლევი რაიონის დასავლეთ ნაწილშია;



ნახ. 2.4.1. აჭარის ტერიტორიის ზგავსაშიშ პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობის რუკა (ლ.ქალღანი, მ.სალუქვაძე)



ნახ. 2.4.2 აჭარის ტერიტორიის ზვავსაშიშ პერიოდის საშუალო ხანგრძლივობის რუკა (ლ.ქაღლანი, მ.სალუქვაძე)



ნახ. 2.4.3. აჭარის ტერიტორიის ზვამსაშიში პერიოდის მინიმალური ხანგრძლივობის რუკა (ლ.ქალღანი, მ.სალუქვაძე)

50-დან 100 დღემდე ხანგრძლივობა, ძირითადათ, საშუალომთიან ზონაშია. ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა 50 დღეზე ნაკლები დამახასიათებელია დაბალმთიანი ზონისათვის, ხოლო საკვლევი ტერიტორიის აღმოსავლეთ ზონაში საშუალომთიანი ზონისათვის.

საშუალოთოვლიან ზამთრებში 150 დღეზე მეტი ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობით, ძირითადად, მესხეთისა და შავშეთის ქედების მიმდებარე ფერდობები, ასევე მესხეთის ქედის დასავლეთ ნაწილში მდებარე საშუალომთიანი ფერდობების მცირე ნაწილი. დიდი ტერიტორია უკავია რაიონს, სადაც ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა 50 დღეზე ნაკლებია. მცირეთოვლიან ზამთრებში 100-დან 150 დღემდე ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა დამახასიათებელია მცირე ტერიტორიებისათვის, კერძოდ მესხეთისა და შავშეთის ქედების ცალკეული ციცაბო მაღალმთიანი ფერდობებისათვის. 50-დან 100 დღემდე - მაღალმთიანი ფერდობები, ხოლო მესხეთისა და შავშეთის ქედების დასავლეთ ნაწილში - საშუალომთიანი ფერდობები. ტერიტორია, სადაც ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა 50 დღეზე ნაკლები, დასავლეთ ნაწილში მოიცავს დაბალმთიან და საშუალომთიან ზონას, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში - საშუალომთიან და მაღალმთიან ზონას.

თაზი III. აჭარის ტერიტორიის ღარაიონება ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით

ზვავსაშიშროების ხარისხის დადგენა დამოკიდებულია რელიეფის, კლიმატის და მცენარეული საფარის თავისებურებების ანალიზზე (რაც განხილულია I და II თავში), ასევე მნიშვნელოვან ზვავწარმომქმნელ მახასიათებელზე – თოვლის საფარის სიმაღლეზე.

მთიანი რაიონების ტერიტორიის ზვავსაშიშროების ხარისხს განსაზღვრავს ზვავსაშიშროების ძირითადი რაოდენობრივი მახასიათებლების თავისებურება.

აჭარის ტერიტორიის დარაიონება ზვავსაშიშროების ხარისხის მიხედვით მოვახდინეთ ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლების (ტერიტორიის ზვავაქტიურობა, ზვავშემკრების გავრცელების სიხშირე, ზვავების ჩამოსვლის სიხშირე, ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა) ცვალებადობის თავისებურებების დადგენის საფუძველზე. ამ რაოდენობრივი მახასიათებლებისათვის შედგენილი რუკები (ნახ. 2.1.1.; 2.2.1; 2.3.1-2.3.3; 2.4.1-2.4.3) საფუძველად დაედო აჭარის ტერიტორიის ზვავსაშიშროების ხარისხის დარაიონების რუკას (ნახ. 3.1.)

აჭარის ზვავსაშიში ტერიტორიაზე, რომლის ფართობი შეადგენს მთიანი სისტემის მთელი ფართობის 82%-ს, გამოყოფილია სხვადასხვა ხასიათის მქონე ოთხი: განსაკუთრებით ძლიერი, ძლიერი, საშუალო და სუსტი ზვავსაშიშროების რაიონები (ცხრ.3.1.)

ცხრილი 3.1. აჭარის ტერიტორიის ზვავსაშიში რაიონები

№	ზვავსაშიშროების მახასიათებლები	სუსტი	საშუალო	ძლიერი	განსაკუთრებით ძლიერი
1	ზვავაქტიურობა, %	<20	>20	>40	>60
2	ზვავშემკრების გავრცელების სიხშირე, 1კმ ²	<5	>5	>10	>15
3	ზვავების ჩამოსვლის სიხშირე, შემთხვევა	<5	>5	>10	>15
4	ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა, დღე	<50	>50	>100	>150

ზვავების ჩამოსვლის სიხშირე და ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა დროში ცვალებადი მახასიათებლებია, ამიტომ ზვავსაშიშროების ხარისხის დადგენას საფუძველად დაედო მათი მაქსიმალური მნიშვნელობები: ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე და ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა [ლ.ქაღდანი, მ.სალუქვაძე, 2015].

3.1. განსაკუთრებით ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონი


განსაკუთრებით ძლიერ ზვავსაშიშროების რაიონს მიეკუთვნება ტერიტორია, სადაც ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები აღემატება შემდეგ სიდიდეებს: ტერიტორიის ზვავაქტიურობა 60%-ს, ზვავშემკრების გავრცელების სიხშირე – 15 ზვავშემკრებს 1 კმ-ზე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე - 15 შემთხვევას ერთ ზამთარში, ხოლო ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა - 150 დღეს ერთ ზამთარში.

რაიონი მოიცავს აჭარის ტერიტორიის - 4%-ს და ძირითადად უკავია მესხეთის ქედის ცენტრალური ნაწილის ცალკეული ფერდობები ხინოს, თავინაურის, ზოტის მთის მიდამოებში, ასევე მცირე ტერიტორია შავშეთის ქედის ცენტრალური ნაწილის ჩრდილოეთ ფერდობებზე (ნახ. 3.1). რაიონი მოიცავს აჭარის მაღალმთიან (> 2000-2200 მ) ტერიტორიას, რომელთა ფერდობები ხასიათდებიან 25-30⁰-ზე მეტი დახრილობით და სადაც მცენარეული საფარი თითქმის არ გვხვდება.

უხვთოვლიან ზამთრებში ამ მაღალმთიანი რაიონის ცალკეულ ფერდობებზე თოვლის საფარის სიმაღლე აღწევს 500 სმ-ს, ტერიტორიის ზვავაქტიურობა იცვლება 3-დან 60%-მდე, ზვავშემკრების გავრცელების სიხშირე - 4-დან 44 ზვავშემკრებს 1 კმ²-ზე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე შეადგენს 14 - 30 შემთხვევას ერთ ზამთარში, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა - 20-150 დღეს ზამთრის განმავლობაში.

საშუალოთოვლიან ზამთარში თოვლის საფარის სიმაღლე 75-დან 225 სმ-მდე იცვლება, ზვავების ჩამოსვლის საშუალო სიხშირე ერთი ზამთრის განმავლობაში 6-დან 18 შემთხვევამდე, ხოლო ზვავსაშიში პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა ერთ ზამთარში 120-დან 180 დღემდე.

მცირეთოვლიან ზამთარში, როცა თოვლის საფარის სიმაღლე ახლოსაა მრავალწლიურ მინიმალურთან, თოვლის საფარის სიმაღლე რაიონში იცვლება 30-დან 120 სმ-მდე, ზვავების ჩამოსვლის მინიმალური სიხშირე 4-დან 6 შემთხვევამდე ზამთრის განმავლობაში, ხოლო ზვავსაშიში პერიოდის მინიმალური ხანგრძლივობა 40-დან 120 დღემდე.



ნახ. 3.1. აჭარის ტერიტორიის ზვევსაშიშროების რუკა (ლ.ქაღდანი, მ.სალუქვაძე)

3.2. ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონი

ძლიერი ზვავსაშიშროების რაიონში ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები აღემატებიან შემდეგ სიდიდეებს: ტერიტორიის ზვავაქტიურობა - 40%-ს, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე - 10 ზვავშემკრებს 1 კმ-ზე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე - 10 შემთხვევას ერთ ზამთარში, ზვავსაშიშროების პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა ერთ ზამთარში - 100 დღეს.

რაიონი მოიცავს როგორც აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის, ასევე აჭარის ტერიტორიის მთელი ფართობის 7-7%-ს შესაბამისად და უკავია, ძირითადად, მესხეთის ქედის მაღალმთიანი ფერდობები მთიანი მასივების: ხინო-თაგინაური-მგლის სოფლის, ზოტის მთა-მეფისწყარო-ლაბოროტი-დიდმაღალასა და წითელწყალა-შავი მთის რაიონებში, ასევე უმნიშვნელო ფართობი შავშეთის ქედის ჩრდილოეთ ფერდობებზე. რაიონი მოიცავს ცალკეულ საშუალომთიან ფერდობებს მდინარეების: ნატანებისა და სუფსის აუზებში. ფერდობების დახრილობა აღემატება 20-25⁰-ს. ტერიტორიის ზედაპირი, ძირითადად, უტყეოა, ალაგ-ალაგ დაფარულია იშვიათი სუბალპური ფოთლოვანი ტყით.

ამ რაიონის ტერიტორიაზე თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე იცვლება 280 სმ-დან 600 სმ-მდე, ცალკეულ ფერდობებზე ტერიტორიის ზვავაქტიურობა 60-70%-ია, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე - 15-17 ზვავშემკრები 1 კმ²-ზე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე - 13-23 შემთხვევაა ზამთრის განმავლობაში, ხოლო ზვავსაშიშროების პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა 100-170 დღეა ერთ ზამთარში.

საშუალოთოვლიან ზამთრებში თოვლის საფარის საშუალო სიმაღლე ძლიერ ზვავსაშიშროების რაიონში იცვლება 200-დან 340 სმ-მდე, ზვავების ჩამოსვლის საშუალო სიხშირე 3-დან 13 შემთხვევამდე ზამთრის განმავლობაში, ხოლო ზვავსაშიშროების პერიოდის საშუალო ხანგრძლივობა 40-დან 160 დღემდე ერთ ზამთარში.

მცირეთოვლიან ზამთრებში რაიონის საზღვრებში თოვლის საფარის მინიმალური სიმაღლე იცვლება 70-დან 140 სმ-მდე, ზვავების ჩამოსვლის მინიმალური სიხშირე 2-დან 7 შემთხვევამდე ზამთრის განმავლობაში, ზვავსაშიშროების პერიოდის მინიმალური ხანგრძლივობა 30-დან 110 დღემდე ერთ ზამთარში.

3.3. საშუალო ზვავსაშიშროების რაიონი

საშუალო ზვავსაშიშროების რაიონში ზვავსაშიშროების ერთი რაოდენობრივი მახასიათებელი მაინც აღემატება შემდეგ სიდიდეს: ტერიტორიის ზვავაქტიურობა 20%-ს, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე - 5 ზვავშემკრებს 1 კმ²-ზე ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე - 5 შემთხვევას ზამთრის განმავლობაში, ხოლო ზვავსაშიშროების პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა 50 დღეს ერთ ზამთარში.

საკვლევი მთიანი სისტემის დასავლეთ ნაწილში (მდინარეების ჩაქვისწყლის, კინტრიშის, ნატანებისა და სუფსის სათავეების ნაწილში) ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე აღემატება 10-12 შემთხვევას ზამთრის განმავლობაში, ხოლო ზვავსაშიშროების პერიოდის ხანგრძლივობა 100-110 დღეს, ტერიტორიის ზვავაქტიურობა კი ნაკლებია 20-25%-ზე, ხოლო ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე მეტია 5-6 ზვავშემკრებზე 1 კმ²-ზე.

მთიანი სისტემის აღმოსავლეთ ნაწილში (მდ.ხანისწყლისა და მტკვრის აუზების ნაწილი) ტერიტორიის ზვავაქტიურობა მეტია 40-45%-ზე, ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე - 8-10-ია 1 კმ²-ზე, მაგრამ ზვავსაშიშროების პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა არ აღემატება 50 დღეს, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე 50 დღეს, ზვავის ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე 5-6 შემთხვევას. ზვავსაშიშროების რაოდენობრივ მახასიათებლებს შორის სხვაობა განპირობებულია ბუნებრივი პირობებით, კერძოდ მთიანი სისტემის დასავლეთი ნაწილი ხასიათდება დიდი თოვლიანობით, რის გამოც ზვავების ჩამოსვლის სიხშირე და ზვავსაშიშროების პერიოდის ხანგრძლივობა დიდი მნიშვნელობით ხასიათდება, მაგრამ ტერიტორიის ზვავაქტიურობა და ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე აქ დიდი არ არის, რადგან ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ტყით არის დაფარული. მთიანი სისტემის აღმოსავლეთ ნაწილში ტერიტორიის ზვავაქტიურობა და ზვავშემკრებების გავრცელების სიხშირე დიდია, რაც განპირობებულია ფერდობების ძლიერი დანაწევრებით, ხოლო ზვავების ჩამოსვლის სიხშირის და ზვავსაშიშროების პერიოდის ხანგრძლივობის სიმცირის მიზეზი ტერიტორიის მცირეთოვლიანობაა.

საშუალო ზვავსაშიშროების რაიონს უკავია მთლიანი ტერიტორიის ნახევარზე მეტი (აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის 51%, ხოლო აჭარის ტერიტორიის 53%).

საშუალოთოვლიან ზამთრებში თოვლის საფარის სიმაღლე საშუალო ზვავსაშიშროების რაიონში იცვლება 70-დან 320 სმ-მდე; ზვავების ჩამოსვლის საშუალო სიხშირე 1-დან 11 შემთხვევამდე ზამთრის განმავლობაში, ხოლო ზვავსაშიში პერიოდის ხანგრძლივობა ერთ ზამთარში - 25-დან 125 დღემდე.

მცირეთოვლიან ზამთრებში თოვლის საფარის სიმაღლე იცვლება 20-დან 130 სმ-მდე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე 5-6 შემთხვევაზე ნაკლებია, ხოლო ზვავსაშიში პერიოდის მინიმალური ხანგრძლივობა 70 დღეზე ნაკლებია ერთ ზამთარში. საშუალო ზვავსაშიშროების მქონე რაიონის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი მცირეთოვლიან ზამთარში არაზვავსაშიშია.

3.4. სუსტი ზვავსაშიშროების რაიონი

სუსტი ზვავსაშიშროების რაიონში ზვავსაშიშროების რაოდენობრივი მახასიათებლები ნაკლებია შემდეგ სიდიდეებზე: ტერიტორიის ზვავაქტიურობა - 20%-ზე, ზვავშემკრებების გაერცვლების სიხშირე - ზვავშემკრებზე 1 კმ-ზე ფართობზე, ზვავების ჩამოსვლის მაქსიმალური სიხშირე - 5 შემთხვევაზე ზამთრის განმავლობაში, ზვავსაშიში პერიოდის მაქსიმალური ხანგრძლივობა - 50 დღეზე ერთ ზამთარში.

რაიონი მოიცავს აჭარა-იმერეთის მთიანი სისტემის მთლიანი ფართობის 21%, ხოლო აჭარის ტერიტორიისათვის - 18%-ს. რაიონს უკავია დაბალმთიანი ფერდობები (<400-500 მ) მთიანი სისტემის დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში, ასევე საშუალომთიანი ფერდობები მთიანი სისტემის აღმოსავლეთ ნაწილში, ხოლო ცალკეული მცირე ფართობის მქონე მონაკვეთები მდ. აჭარისწყლისა და ხანისწყლის აუზებში. აქ ფერდობების დახრილობა 15-17⁰-ზე მეტია. ტერიტორიის ძირითადი ნაწილი ათვისებულია და ამიტომ მოკლებულია ტყის ბუნებრივ საფარს. ტერიტორიის ცალკეულ მონაკვეთებზე გვხვდება ფოთლოვანი (მთიანი სისტემის დასავლეთ და ჩრდილოეთ ნაწილში), შერეული და წიწვოვანი ტყეები (მთიანი სისტემის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში).

საშუალოთოვლიან და მცირეთოვლიან ზამთრებში აღნიშნული რაიონი არაზვავსაშიშია.

3.5. არაზვავსაშიში რაიონი

არაზვავსაშიშია რაიონი, სადაც ბუნებრივი პირობები (რელიეფი, ფერდობების დახრილობა და თოვლის სიმაღლე) არახელსაყრელია ზვავების წარმოქმნისათვის, მას უკავია აჭარის ტერიტორიის მთლიანი ფართობის 18%-ი.

**თაზი IV. ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების
დინამიკური მახასიათებლები**

აჭარის მთიან რაიონებში მოსახლეობისათვის საშიში ზვავშემკრებების გავრცელების საზღვრების დადგენა, ზვავსაშიში დასახლებული პუნქტების და სხვადასხვა ობიექტის გამოვლენა შესაძლებელი გახდა წლების მანძილზე საველე სამუშაოების დროს მოპოვებული მასალების საფუძველზე. ექსპედიციების დროს ზვავშემკრებების გავრცელების საზღვრების დადგენას ვიზუალური დაკვირვებით ვახდენდით, რადგან სახეზე იყო ზვავების ჩამოსვლის კვალი (ზვავის კონუსი, განადგურებული ტყე, დანგრეული ნაგებობები, დაზიანებული შენობები და სხვა). გარდა ამისა დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვას, ასევე გეობოტანიკურ და გეომორფოლოგიურ ნიშნებს.

ზვავშემკრებების საზღვრების დადგენაში გეობოტანიკურ ნიშნებს დიდი მნიშვნელობა აქვს. აჭარაში მოსახლეობისათვის საშიში ზვავშემკრებების უმეტესი ნაწილი ტყის ზედა, ბუნებრივი საზღვრის ზემოთ მდებარეობს და ამიტომ გეობოტანიკური ნიშნებით საკმაოდ ზუსტად შეიძლება ზვავსაშიშროების საზღვრების დადგენა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება გეომორფოლოგიურ ნიშნებსაც; უხვთოვლიან ზამთრებში აჭარის მთელ ტერიტორიაზე მოდის ზვავების წარმოქმნისათვის საკმარისი თოვლი და ამიტომ ზვავების წარმოქმნას განაპირობებს გეომორფოლოგიური პირობებიც, განსაკუთრებით კი რელიეფის თავისებურება (ჰიფსომეტრია, ფერდობების დახრილობა, ზედაპირის ჰორიზონტალური და ვერტიკალური დანაწევრება და სხვა). გეობოტანიკური და გეომორფოლოგიური ნიშნების თავისებურებათა ანალიზმა ვიზუალურ დაკვირვებებსა და მოსახლეობის გამოკითხვასთან ერთად, საშუალება მოგვცა გამოგვევლინა მოსახლეობისათვის საშიში ზვავშემკრებები. დავადგინეთ ზვავშემკრებების მორფომეტრიული მახასიათებლები (ზვავშემკრების სიგრძე, დასაწყისისა და დასასრულის აბსოლუტური სიმაღლე, ცალკეული მონაკვეთების აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლე, სიგრძე, დახრის კუთხე, ზვავის კერის ფართობი) და გამოვთვალოთ ზვავების დინამიკური მაჩვენებლები (სიჩქარე, დარტყმის ძალა, ზვავის კონუსის მოცულობა, მოძრავი ზვავის თოვლის სიმაღლე).

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავებული იქნა ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების რეკომენდაციები [ც.ბასილაშვილი, მ.სალუქვაძე, ვ. ცომია, გ.ხერხეულიძე, 2012; თ.ცინცაძე, ბ.ბერიტაშვილი, ნ.კაპანაძე, მ.სალუქვაძე, 2013; ლ.ქაღდანი, მ.სალუქვაძე, 2015; მ.სალუქვაძე, 2018].

ქვემოთ მოყვანილია ზვავშემკრებების ცალკეული მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლების დასადგენად არსებული ის ფორმულები, რომლებიც პრაქტიკული მიზნების განსახორციელებლად ძალზე კარგ შედეგს იძლევა [Указания по расчету снеговальной нагрузки при проектировании. 1973].

ზვავის მოძრაობის სიჩქარის განსასაზღვრად გამოიყენება შემდეგი ფორმულები: (4.1-4.3).

$$v = \sqrt{\frac{as}{2}}, \quad a = 9,8(\sin \alpha - f \cos \alpha), \quad (4.1)$$

$$v = \sqrt{\frac{a(s_0 + s)}{2} + \left(\frac{s_0}{s_0 + s}\right)^3 \left(v_0^2 \cos^2 \Delta\alpha - \frac{as_0}{2}\right)}, \quad (4.2)$$

$$v = \sqrt{2gz}, \quad z = h - \frac{H - I}{L}, \quad (4.3)$$

სადაც v – ზვავის სიჩქარეა გზის მოცემულ წერტილში, მ/წმ; α – ფერდობის დახრის კუთხეა, გრადუსებში; s – ფერდობის სიგრძე, მ-ში; s_0 – ზვავის გზის წინა მონაკვეთების სიგრძეთა ჯამი; v_0 – ზვავის სიჩქარეა განვლილი გზის მონაკვეთის ბოლოს; $\Delta\alpha$ – წინა და მოცემული გზის მონაკვეთების დახრის კუთხეებს შორის სხვაობა, გრად; g – სიმძიმის ძალის აჩქარება, მ/წმ²; H – ზვავის მოწყვეტისა და გაჩერების ადგილებს შორის სიმაღლითი სხვაობა, მ-ში; h – იგივე, ზვავის მოძრაობის გრძივი პროფილის იმ წერტილზე, სადაც

განისაზღვრება $v_{\text{ფ}}$; L- ზევის მოძრაობის გზის ჰორიზონტალური პროექციის სიგრძე, მოწყვეტის ადგილიდან, ზევის გამოტანის წინა ნაპირამდე, მ.; l - იგივე იმ წერტილამდე, სადაც განისაზღვრება $v_{\text{ფ}}$. ზევის დარტყმის ძალა უძრავ წინააღმდეგობაზე განისაზღვრება ფორმულით (5.4):

$$p = \frac{\gamma_{\text{ფ}} \sin^2 \beta}{q}, \quad (4.4)$$

სადაც: p – ზევის ზემოქმედება წინააღმდეგობაზე, ტ/მ²; $\gamma_{\text{ფ}}$ - 0,45 ტ/მ²; β – კუთხე ზევის მოძრაობის მიმართულებასა და ნაგებობის ზედაპირს შორის, გრად.

ზევის მოცულობა განისაზღვრება ფორმულით (4.5)

$$W=0,4F \cdot h, \quad (4.5)$$

სადაც: W –ზევის მოცულობა, მ³; F –ზევამემკრების ფართობი, მ²; h –ზევამემკრებში თოვლის საფარის სიმაღლე, მ.

თოვლის საფარის კრიტიკული სიმაღლე გამოითვლება (4.6) ფორმულით:

$$h_{\text{კრ}} = 17200 \alpha^{-2} [(0,9 + \rho)^6 + (0,99 + \rho^2)^6] \quad (4.6)$$

სადაც: $h_{\text{კრ}}$ - თოვლის საფარის კრიტიკული სიმაღლეა სმ-ში, ანუ ის სიმაღლე, რომელიც საკმარისია ზევის წარმოქმნისათვის; α – ფერდობის დახრის კუთხე, გრად. ρ - თოვლის სიმკვრივე, გ/სმ³.

თაზო V. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო-მლაშის მონაკვეთის, ზვანსაშიშროება

ზვანსაშიშროებით ხასიათდება ბათუმი ახალციხეს გზის ნაწილი, კერძოდ ხულო-მლაშის მონაკვეთი, რომელიც მოიცავს 900-2025 მ-ის სიმაღლის არსიანის ქედის დასავლეთ და აღმოსავლეთ ფერდობებს გოდერძის უღელტეხილის (2025 მ) ჩათვლით. გზის სიგრძე 56 კმ-ია. გზა 980 მ-დე ეშვება დასავლეთ საქართველოში, ხოლო 1185 მ-მდე აღმოსავლეთით ადიგენის რაიონში (ნახ. 5.1). საავტომობილო გზის ნაწილი მოქცეულია მდ. ქვაბლიანის მარცხენა შენაკადის ძირისუხ ხეობაში, ხილო დასავლეთი ნაწილი – მდ. აჭარისწყლის ხეობაში, სადაც ხულომდე მჭიდროდ დასახლებული პუნქტები: დანისპარაული (1550 მ), შუასოფელი (1250 მ) და პაქსაძეები (950 მ) მდებარეობს. მდინარეების ღრმა ხეობები მთიან მხარეშია, ჩრდილოეთით აჭარა-იმერეთის, სამხრეთით შავშეთის და მერიდიანალური მიმართულების არსიანის ქედებით არის შემოფარგლული.

კონკრეტული მონაკვეთის მეტეოროლოგიური პირობების დასახასიათებლად მეტეოროლოგიური სადგურების: გოდერძის უღელტეხილის (2025 მ), ადიგენის (1185 მ), ახალციხის (982 მ), ხულოს (923 მ), შუახევის (650 მ), ქედის (256 მ), მახუნცეთის (138 მ) და ბათუმის (10 მ) მრავალწლიური მონაცემები გამოვიყენეთ. თოვლის საფარის სიმაღლის დასახასიათებლად მნიშვნელოვანი იყო ორი მარშრუტის: მლაშე-გოდერძის უღელტეხილი და ცხმორისი-გოდერძის უღელტეხილი თოვლის საფარის მარშრუტული აგეგმვის დროს გაზომილი სიღედეგები.

5.1. ატმოსფერული ცირკულაცია ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო-მლაშის მონაკვეთზე

ხულო-მლაშის საავტომობილო გზის გასწვრივ გაბატონებულია დასავლეთის ნოტიო და აღმოსავლეთის მშრალი ჰაერის მასები. დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასებთან, ზამთარში, ხშირად არის დაკავშირებული ნალექების უხვი რაოდენობა. დასავლეთის ნოტიო ჰაერის მასები, მერიდიონალურად მდებარე არსიანის ქედის გადალახვისას, აღწევენ გზის აღმოსავლეთ რაიონებს, სადაც სჭარბობს აღმოსავლეთის მშრალი ჰაერის მასები, რომლებიც არსიანის ქედის გადალახვისას ვრცელდება გზის დასავლეთ რაიონებში და იწვევს ნალექების რაოდენობის შემცირებას და მცირეთოვლიანობას. გზის ამ მონაკვეთისთვის დამახასიათებელია ხმელთაშუა ზღვის ნალექებით მდიდარი ციკლონების შემოჭრა, ციმბირისა და აზოვის ანტიციკლონების შემოჭრა, ზამთრობით სჭარბობს ხმელთაშუა ზღვის ციკლონები, ციმბირისა და ადგილობრივი ანტიციკლონები.

5.2. ქარი.

ქარის საშუალო სიჩქარე დიდ ფარგლებში მერყეობს. ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად, საუღელტეხილო მონაკვეთზე ქარის სიჩქარე იზრდება (ცხრ 5.2.1). საუღელტეხილო გზის დიდი მონაკვეთი ქარის 3 მ/წმ სიჩქარის ზონაშია, რასაც ტყის საფარი განაპირობებს. ძლიერი ქარი გოდერძის უღელტეხილის მისადგომებთან და თვით უღელტეხილზეა, აქ ქარის სიჩქარე 12 მ/წმ, ხშირია 30-35 მ/წმ, ხოლო ზოგჯერ 40-50 მ/წმ. გოდერძის უღელტეხილზე, ადიგენსა და ახალციხეში დასავლეთის ქარებია გაბატონებული. გზის დასავლეთ მონაკვეთზე, თებერვალში, მარტსა და აპრილში ჩრდილოეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ქარებია.

ცხრილი 5.2.1. ქარის საშუალო და წლიური სიჩქარე

მეტეოსადგური	H,მ	თვე												
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	წლ.
ბათუმი	10	7	6	5	4	4	3	3	3	3	5	6	7	5
ქედა	256	1	1	1	2	2	2	1	1	1	1	1	1	1
ხულო	923	3	3	3	3	3	2	2	2	2	2	3	3	3
ახალციხე	982	1	2	2	2	2	2	2	2	2	1	1	1	2
ადიგენი	1185	2	2	2	3	2	2	2	2	2	2	2	2	2

5.3. ჰაერის ტემპერატურა.

საუღელტეხილო გზის დასავლეთი ნაწილი თბილ ზონაშია. საშუალო ტემპერატურა 900-1000 მ-ის სიმაღლეზე მს. ხულოს მონაცემებით 10,4⁰-ია, გზის აღმოსავლეთი ნაწილი კი შედარებით ცივ ზონაშია და იმავე სიმაღლეზე – მინუს 9⁰-ია. გოდერძის უღელტეხილზე საშუალო წლიური ტემპერატურა იცვლება 2,8⁰-დან 10-11⁰-მდე (ცხრ. 5.3.1)

გრადიენტი საავტომობილო გზის დასავლეთ ნაწილში ყოველ 100 მ-ზე 0,7⁰-ია, ხოლო გზის აღმოსავლეთ ნაწილში 0,6⁰. მაღალი ტემპერატურა ივლისსა და აგვისტოშია, საშუალო თვიური ტემპერატურა იცვლება 12⁰-დან (გოდერძის უღელტეხილი) 19⁰-მდე (ხულო, ადიგენი).

საავტომობილო გზის აღმოსავლეთ ნაწილში ეს თვეები 1-2⁰-ით უფრო თბილია დასავლეთ ნაწილთან შედარებით.

ყველაზე დაბალი ტემპერატურა იანვარშია, ხოლო საშუალო ტემპერატურა გოლდერძის უღელტეხილზე -7,9⁰-ია, უფრო დაბლა 900-1500 მ-ის სიმაღლეზე 0,9 და -3,8⁰ დასავლეთით და აღმოსავლეთით შესაბამისად.

ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი (ცხრ.5.3.2) და აბსოლუტური მინიმუმი (ცხრ. 5.3.3) დიდი რყევადობით ხასიათდება.

ცხრილი 5.3.1. ჰაერის საშუალო თვიური და წლიური ტემპერატურა საუღელტეხილო გზის გასწვრივ

მეტეოსადგური	H,მ	თ ვ ე												წლ.
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ბათუმი	10	6,5	6,8	8,6	11,7	15,8	19,5	22,1	22,6	19,8	16,5	12,4	8,9	14,3
მანუნცეთი	138	3,2	4,8	7,9	12,0	16,4	19,4	21,9	22,3	19,0	14,8	10,2	5,8	13,1
ქედა	256	3,1	4,0	7,4	12,1	16,1	19,1	21,3	21,5	18,4	14,2	9,8	5,3	12,7
ხულო	923	0,9	1,7	4,6	9,4	14,2	16,5	18,6	19,4	16,2	12,3	7,8	3,6	10,4
ახალციხე	982	-3,8	-1,5	3,2	9,0	14,0	17,2	20,4	20,5	16,3	10,4	4,1	-1,2	9,0
ადიგენი	1185	-4,1	-2,6	1,8	7,6	12,5	15,8	18,7	19,0	15,0	9,8	3,9	-1,2	8,0
გოლდერძის უღ.	2025	-7,9	-7,3	-4,0	0,8	6,7	9,2	12,0	11,0	8,6	4,5	0	-5,1	2,3

ცხრილი 5.3.2. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი

მეტეოსადგური	H,მ	თ ვ ე												წლ.
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ბათუმი	10	25	28	32	39	39	40	40	40	37	33	30	28	40
ქედა	256	11	16	31	36	38	42	42	41	40	33	27	23	42
ხულო	923	17	21	24	31	35	39	39	38	38	32	27	25	39
ახალციხე	982	15	18	27	30	34	37	38	39	36	33	26	17	39
ადიგენი	1185	13	15	24	28	31	34	36	36	35	31	24	15	36

ცხრილი 5.3.3. ჰაერის ტემპერატურის აბსოლუტური მინიმუმი

მეტეოსადგური	H,მ	თ ვ ე												წლ.
		I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
ბათუმი	10	-9	-8	-7	-2	2	9	13	13	7	2	-6	-7	-9
ქედა	256	-15	-15	-11	-4	1	6	10	9	3	0	-11	-12	-15
ხულო	923	-18	-18	-13	-9	-2	4	7	7	0	-3	-12	-13	-18
ახალციხე	982	-32	-23	-20	-13	-6	2	2	2	-5	-11	-22	-26	-32
ადიგენი	1185	-31	-21	-20	-13	-5	1	2	1	-6	-10	-22	-25	-31

5.4. ატმოსფერული ნალექები.

საუღელტეხილო გზის დასავლეთ ნაწილში ნალექების რაოდენობა 1100-1600, ხოლო აღმოსავლეთ ნაწილში 500-1600 მმ-ია. ეს რაოდენობა ნაკლებია შავი ზღვის სანაპირო ზოლის ნალექიანობაზე, რაც ოროგრაფიული ფაქტორით, კერძოდ კი ქობულეთის ქედის გავლენით არის განპირობებული. 600-700 მ-ის სიმაღლეზე ქობულეთის ქედის გავლენა მცირდება.

ნალექები სიმაღლის ზრდასთან ერთად იზრდება 1177 მმ-დან (მს ხულო) 1623 მმ-მდე (გოლდერძის უღ.). აღმოსავლეთით კი მშრალი კლიმატის გავლენით მცირდება 508-538 მმ-მდე (ცხრ.5.4.1).

ცხრილი 5.4.1 საშუალო თვიური და წლიური ნალექების რაოდენობა

მეტეოსადგური	თ ვ ე													წლ.	
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII			
ბათუმი	248	202	159	114	86	152	175	346	322	291	284	253	1146	1386	2532
ქედა	168	154	122	72	70	79	90	95	156	207	190	155	789	789	1588
შუახევი	103	77	73	55	65	54	54	51	76	118	122	100	475	483	958
ხულო	127	96	89	66	80	66	66	62	93	147	150	123	585	592	1177
ახალციხე	26	26	31	46	65	77	48	44	36	42	37	30	150	358	508
ადიგენი	36	34	30	39	69	78	54	43	39	40	39	37	176	362	538
გოლდერძის უღ.	175	131	123	93	109	110	91	96	128	202	206	169	804	819	1623

5.5. თოვლის საფარი.

თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი სიმაღლის მიხედვით იზრდება და 1000-1200 მ-ზე 45-80 დღეს შეადგენს (ცხრ. 5.5.1). გზის დასავლეთ ნაწილში თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი 15-20-ით მეტია აღმოსავლეთ ნაწილთან შედარებით, გოდერძის უღელტეხილზე თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი 191-ია.

ცხრილი 5.5.1. თოვლის საფარის დადგომის და გაქრობის თარიღები

მეტეოსადგური	H, მ	თოვლის საფარიან დღეთა რიცხვი	თოვლის საფარი		
			დადგომის თარიღი	საშუალო თარიღი	გაქრობის თარიღი
ქედა	256	45	14.XII		
ხულო	923	86	14.XI	30.XII	18.III
ახალციხე	982	63	4.XII	24.XII	3.III
ადიგენი	1186	69	25.XI	24.XII	7.III
გოდერძის უღელტეხილი	2025	191	6.X	15.XI	13.V

გოდერძის უღელტეხილზე, ძლიერი ქარების გამო, თოვლის საფარის სიმაღლე არ შეესაბამება ადგილისთვის დამახასიათებელ თოვლის საფარის სიმაღლეებს. გზის აღმოსავლეთით თოვლის საფარის სიმაღლე ნაკლებია დასავლეთ ნაწილთან შედარებით. სიმაღლის მატებასთან ერთად ორივე, როგორც დასავლეთ, ასევე აღმოსავლეთ ნაწილში თოვლის საფარის სიმაღლე თითქმის ერთნაირია, ხოლო გოდერძის უღელტეხილის მისადგომებთან პირიქით, აღმოსავლეთ ნაწილში სიმაღლე მეტია დასავლეთთან შედარებით. ამის მიზეზი ხშირად ქარბუქია, რომლის დროსაც დასავლეთი ფერდობებიდან თოვლის გადატანა ხდება აღმოსავლეთ ფერდობებზე.

საავტომობილო გზის გასწვრივ თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა წარმოდგენილია ცხრილში. (ცხრ. 5.5.2).


ცხრილიდან (ცხრ. 5.5.2.) ჩანს, რომ საკვლევ უბანზე არსებული მეტეოროლოგიური სადგურების მონაცემების საფუძველზე 50-100 სმ და 101-200 სმ თოვლის სიმაღლე მრავალწლიური მონაცემების მიხედვით 76- ჯერ დაფიქსირდა, 201-300 სმ – 35- ჯერ, 301-400 სმ – 3 ჯერ და მხოლოდ გოდერძის უღელტეხილზე ერთ შემთხვევაში, 2000-01 წელს იყო თოვლის სიმაღლე 402 სმ.

ცხრილი 5.5.2 თოვლის საფარის მაქსიმალური სიმაღლე და განმეორადობა







მეტეოსადგური	H, მ	თოვლის მაქს. სიმაღლე, სმ	წელი	განმეორადობა, სმ				
				50-100	101-200	201-300	301-400	400
ქედა	256	268	1984/85	19	14	4	-	-
შუახევი	650	215	1970/71	9	14	1	-	-
ხულო	923	318	1988/89	24	32	9	1	
ახალციხე	982	89	1987/88	4	-	-	-	-
ადიგენი	1186	187	1987/88	20	3	-	-	-
გოდერძის უღ.	2025	402	2000/01	-	13	21	2	1


5.6. თოვლის ზვავები ბათუმი ახალციხის გზის, ხულო-მლაშეს მონაკვეთზე

ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-მლაშეს მონაკვეთზე 32 ზვავი ჩამოდის (ნახ. 5.6.1). ზვავები, თავისი მოცულობით, დიდი არ არის. გზაზე გამოსული ზვავების საერთო სიგრძე 28,5 კმ-ს შეადგენს, აქედან გზის დასავლეთ ნაწილზე 22 კმ, აღმოსავლეთ ნაწილში 6,5 კმ-ია ზვავებით დაფარული. ცალკეული ზვავის მოწყვეტის მაქსიმალური სიმაღლე არ აღემატება 1725 მ-ს გზის დასავლეთ ნაწილში (ზვავი № 22) და 2025 მ-ს გზის აღმოსავლეთ ნაწილში (ზვავი № 23). ეს ის ზვავებია, რომლებიც გოდერძის უღელტეხილთან ახლოს მდებარეობენ.



პირობითი ნიშნები

-  - გზა
-  - მდინარე
-  - დასახლებული პუნქტი
-  - მწვერვალი
-  - უღელტეხილი
-  - ზეგავი



ნახ. 5.6.1. თოვლის ზგაგები ბათუმი-ახალციხის გზის ხულო-მლაშეს მონაკვეთზე (დ.ქაღდანის, მ.სალუქვაძე)

32 ზვავიდან დასავლეთით და აღმოსავლეთით ზვავების მოწყვეტის სიმაღლე დაბლა ეშვება 1040 მ-მდე (ზვავი № 16). ყველაზე დიდი სიგრძით გამოირჩევა ზვავი № 4 (2130 მ.). საშუალო სიგრძის ზვავები, ძირითადად, გზის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობენ.

ყოველ ზვავს აქვს კარგად გამოკვეთილი ზვავშემკრები. ზვავშემკრების 75 % ფართობი ნაკლებია 0,5 ჰა-ზე. ყველაზე დიდი ზვავშემკრების (№ 6) ფართობი 6 ჰა-ია. სავსე სამუშაოების ჩატარების დროს ამ ზვავის მიერ გამოტანილი ნაზვავი თოვლი 81,8 ათასი მ-ია, რაც მთელი მოცულობის დაახლოებით 40%-ია. ასევე დიდი მოცულობით გამოირჩევა ზვავი № 14, რომლის მოცულობა - 24100 მ. საკვლევი გზის მონაკვეთზე სჭარბობს პატარა მოცულობის თოვლის ზვავები. მაგალითად 2000 მ მოცულობის ზვავები შეადგენს საერთო რაოდენობის 51-52%-ს, 5000 მ-ზე ნაკლები კი 75%-ს. ასეთი ზვავები, ძირითადად, აღმოსავლეთ ნაწილში გვხვდება.

ზვავები გზაზე დიდი სიჩქარით გამოდის, საშუალო სიჩქარე 15-20 მ/წმ-ში, მათ შორის არის ზვავები, რომელთა სიჩქარე აღემატება 20-30 მ/წმ, მაგალითად ზვავი № 3 – (37 მ/წმ), № 4 – (41 მ/წმ), № 5 (27 მ/წმ), № 6 – (33 მ/წმ), №№ 10-11 – (26 მ/წმ), № 12 – (27 მ/წმ), № 14 – (26 მ/წმ), № 17 – (26 მ/წმ მეტი). ეს ზვავები გზის საუღელტეხილო მონაკვეთის დასავლეთ ნაწილში მდებარეობენ.

ზემოთაღნიშნულ ზვავებს დიდი დარტყმის ძალა გააჩნიათ. ზვავების საშუალო დარტყმის ძალა 15-22 ტ/მ-ზე, მაგრამ არის, დიდი დარტყმის ძალით, გამორჩეული ზვავები, მაგალითად ზვავი № 7, რომლის დარტყმის ძალა 50 ტ/მ, ზვავი № 3 – 63 ტ/მ, ზვავი № 4 – 77 ტ/მ.

ამრიგად, აღნიშნული ზვავები დიდი სიგრძითა და მოცულობით არ გამოირჩევიან, თუმცა დიდი სიჩქარე და დარტყმის ძალა აქვთ. ამიტომ ზვავის გამოსვლის ადგილებზე გადაადგილება ფრთხილად უნდა მოხდეს. 32 ზვავშემკრების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებლები დანართის ცხრილშია მოცემული (დანართის ცხრილი № 2).

შემდეგ თავში და ასევე დანართში ცხრილების სახით წარმოვადგენთ საავტომობილო გზაზე ზვავშემკრების მორფომეტრიულ და ზვავების დინამიკურ მახასიათებლებს.

**თაზი VI. ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები
აჭარის ტერიტორიაზე**

აჭარის ტერიტორიაზე დადგენილი იქნა მოსახლეობისათვის განსაკუთრებით საშიში 161 ზვავშემკრები, რომელთაგან ცალკეულ წლებში ჩამოსულმა ზვავებმა გამოიწვია ადამიანის მსხვერპლი ნგრევა, დაზიანება, გამოვლენილია პოტენციურად ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები, სადაც უხვთოვლიანი ზამთრის პირობებში მოსალოდნელია როგორც სპორადული (იშვიათი განმეორადობის ზვავები), ისე სისტემატური ზვავების ჩამოსვლა. [მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ. ჯინჭარაძე, 2012; მ.სალუქვაძე, ნ.კობახიძე, გ. ჯინჭარაძე, 2013]. ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის ხულო-მლაშეს მონაკვეთზე 32 ზვავის ჩამოსვლა არის მოსალოდნელი, რომელთაგან რამდენიმე ზვავის სიჩქარეს და დარტყმის ძალას დიდი ზიანის მოტანა შეუძლია.

დანართის ცხრილში (დანართის ცხრილი № 1, № 2) წარმოდგენილია ყველა იმ ზვავშემკრების დახასიათება, რომელთა თავისებურების დადგენა აუცილებელია ზვავსაშიში დასახლებული პუნქტებისა თუ სხვადასხვა ობიექტის გამოსავლენად და ეფექტური ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესამუშავებლად. აღნიშნული მასალა ყველა დაინტერესებულ სპეციალისტს საშუალებას მისცემს, მსხვილმასშტაბიანი რუკებისა და გეგმების გამოყენებით, ადგილზე დაადგინოს თითოეული ზვავშემკრების გავრცელების საზღვრები და ის დასახლებული პუნქტი და სხვადასხვა დანიშნულების ობიექტი (გზა, მაღალი ძაბვის ანძა და სხვა), რომელიც ზვავსაშიშ ზონაში მდებარეობს.

ზვავშემკრების მორფომეტრიულ და ზვავების დინამიკური მახასიათებლების ცხრილის (იხ. დანართი, ცხრილი № 1, 2) პირველ ნაწილში (გრაფა 2-9) მოცემულია მონაცემები ზვავშემკრებისა და მისი ცალკეული მონაკვეთების აბსოლუტური და შეფარდებითი სიმაღლის შესახებ, ჰორიზონტალურ და ფაქტიურ სიგრძეზე, ზედაპირის დახრილობაზე, ზვავის კერის ფართობზე. ცხრილის პირველ ნაწილში მოყვანილი მონაცემები აუცილებელია ცხრილის მეორე ნაწილში მოყვანილ მონაცემების გამოსათვლელად, კერძოდ (გრაფა 10-15) მოყვანილია ციფრობრივი მონაცემები ზვავშემკრების ცალკეულ მონაკვეთზე ზვავის სიჩქარისა და დარტყმის ძალის სიდიდეებზე, ზვავის კონუსის მოცულობაზე, მოძრავი ზვავის თოვლის სიმაღლეზე, ზვავის სიგრძეზე, ზვავის გაჩერების ადგილის აბსოლუტურ სიმაღლეზე, რომელიც ცხრილში მუქი დახრილი შრიფტითაა ასახული მაგ. **3, 16 1330, 495**; ყოველი ზვავშემკრების დახასიათების ბოლო გრაფაში მითითებულია ადგილი, სადაც გაჩერდება ზვავი. მაგ. **გაიფლის შენობასთან, გადაკვეთს მდინარეს და ჩერდება მოპირდაპირე ფერდობზე გზასთან**. გარდა ამ ციფრობრივი მონაცემებისა მოცემულია თვითოეული ზვავშემკრების ნომერი, მდებარეობა (მდინარის ხეობა, იმ მთის ან მწვერვალის სიმაღლე, სადაც იწყება ზვავშემკრები. მითითებულია დასახლებული პუნქტი, სადაც ზვავმა შესაძლებელია გამოიწვიოს ზარალი. აქვე ყურადღება უნდა მივაქციოთ ზვავშემკრების თითოეული წერტილის ნომრებს, მაგ. პირველ გრაფაში ნომერაცია დახრილი შრიფტით **5,6,7** მიუთითებს ზვავის იმ მონაკვეთზე, სადაც ხდება ზვავის უშუალო შეხება გზასთან, მდინარის ხეობასთან, შენობებთან ან მოპირდაპირე ფერდობთან. მესამე გრაფაში რიცხვის წინ მიწის ნიშანი, მაგ. **-40**, მიუთითებს, რომ ზვავმა გზა ან მდინარე გადაკვეთა და გაჩერდა მოპირდაპირე მხარეს.

საკვლევი ტერიტორიის ზვავშემკრების დასაწყისის აბსოლუტური სიმაღლე იცვლება 450 მ-დან 2464 მ-მდე (დანართის ცხრ.1, 2). ზღვის დონიდან 1000 მ-ზე დაბლა მდებარე ტერიტორიაზე იწყება აჭარის დასახლებული პუნქტების 37 (საერთო რაოდენობის 23%), და ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის, ხულო-მლაშეს მონაკვეთის 2 (6%) ზვავშემკრები; 1001 მ-დან 1500 მ-მდე მდებარე ტერიტორიაზე - 61 (38%) და 11 (34%) შესაბამისად; 1501 მ-დან 2000 მ-მდე მდებარე ტერიტორიაზე - 60 (38%) და 18 (57%) ზვავშემკრებია ხოლო 2000 მ-ზე მაღლა მდებარე ტერიტორიაზე 3 (1%) და 1 (3%) ზვავშემკრები (ცხრ. 6.1).

ცხრილი 6.1. ზვავშემკრების განაწილება მათი დასაწყისის აბსოლუტური სიმაღლის მიხედვით

№	სიმაღლე,მ	დასახლებული პუნქტები		საავტომობილო გზა	
		რაოდენობა	% საერთო რ-დან	რაოდენობა	% საერთო რ-დან
1	<1000	37	23	2	6
2	1001 – 1500	61	38	11	34
3	1501 – 2000	60	38	18	57
4	2001 – 2500	3	1	1	3
5	2501 – 3000	-	-	-	-
6	>3000	-	-	-	-
		161	100	32	100

ზვავშემკრებების უმეტესობა არ გამოირჩევა დიდი სიგრძით. ყველაზე მოკლე ზვავშემკრები 230 მ-ია, ხოლო ყველაზე გრძელი - 3995 მ-ი. მცირე სიგრძეებით (<1000 მ) ხასიათდება 60 (37%) და 21 (65%) შესაბამისად (ცხრ. 6.2).

ცხრილი 6.2. ზვავშემკრებების განაწილება ზვავშემკრების სიგრძის მიხედვით

№	ზვავშემკრების სიგრძე,მ	ზვავშემკრებები			
		დასახლებული პუნქტები		საავტომობილო გზა	
		რაოდენობა	% საერთო რ-დან	რაოდენობა	% საერთო რ-დან
1	<1000	60	37	21	66
2	1001 – 1500	51	32	6	19
3	1501 – 2000	20	12	4	12
4	2001 – 2500	17	10	1	3
5	2501 – 3000	8	5	-	-
6	>3000	6	4	-	-

ზვავშემკრებების უმეტესი ნაწილი (მათი საერთო რაოდენობის 75%) იწყება საშუალომთიან ზონაში, მნიშვნელოვანი ნაწილი (23 %) - დაბალმთიან ზონაში, ხოლო მხოლოდ მცირე ნაწილი (2 %) - მაღალმთიან ზონაში.

ტერიტორიაზე ფართოდ არის გავრცელებული ზვავშემკრებები, რომელთა ზვავის კერები ხასიათდება მცირე ფართობით (ცხრ. 6.3). ზვავშემკრების კერის ფართობი იცვლება 0,05 ჰა-დან 30 ჰა-მდე. განსაკუთრებით დიდი ზვავის კერის ფართობი აქვთ აჭარის დასახლებული პუნქტების № 6 (20 ჰა), № 7 (22 ჰა), № 8 (25 ჰა) და № 9 (30 ჰა) ზვავშემკრებებს.

ცხრილი 6.3. ზვავშემკრებების განაწილება ზვავის კერის ფართობის მიხედვით

№	ზვავშემკრების ფართობი, ჰა	ზვავშემკრებები			
		დასახლებული პუნქტები		საავტომობილო გზა	
		რაოდენობა	% საერთო რ-დან	რაოდენობა	% საერთო რ-დან
1	< 0,3	51	32	21	66
2	0,31 – 0,5	59	37	3	9
3	0,51 – 1,0	24	14	5	16
4	1,1 – 2,0	10	6	2	6
5	>2,0	17	11	1	3

სხვადასხვა ზვავის მაქსიმალური სიჩქარე მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ზვავები მაქსიმალურ სიჩქარეს აღწევს ზვავშემკრების სხვადასხვა მონაკვეთზე, რაც ზვავშემკრების მიკრორელიეფით არის განპირობებული. ზვავების უმეტესი ნაწილის მაქსიმალური სიჩქარე დიდი არ არის და ნაკლებია 25 მ/წმ-ზე, თუმცა არის ზვავები, რომელთაც 40 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარე ახასიათებთ (11%) (ცხრ. 6.4).

ცხრილი 6.4. ზვავების განაწილება მაქსიმალური სიჩქარის მიხედვით

№	ზვავის სიჩქარე, მ/წმ	დასახლებული პუნქტები			
		დასახლებული პუნქტები		საავტომობილო გზა	
		რაოდენობა	% საერთო რ-დან	რაოდენობა	% საერთო რ-დან
1	< 25,0	46	29	20	63
2	25,1 – 30,0	42	32	8	25
3	30,1 – 35,0	27	16	2	6
4	35,1 – 40,0	30	12	2	6
5	>40	17	11	-	-

ზვავების მოძრაობის სიჩქარის შესაბამისად სხვადასხვაა ზვავების მაქსიმალური დარტყმის ძალაც (ცხრ. 6.5). ზვავების უმეტესობის მაქსიმალური დარტყმის ძალა როგორც დასახლებულ პუნქტებში, ისე საავტომობილო გზის გასწვრივ 30 ტ/მ და 30-40 ტ/მ აღწევს, მხოლოდ 11 ზვავისთვის არის დამახასიათებელი დიდი დარტყმის ძალა (>80 ტ/მ).

ცხრილი 6.5. ზვავების განაწილება მაქსიმალური დარტყმის ძალის მიხედვით

№	ზვავის დარტყმის ძალა, ტ/მ	დასახლებული პუნქტები		საავტომობილო გზა	
		რაოდენობა	% საერთო რ-დან	რაოდენობა	% საერთო რ-დან
1	<30	53	33	20	62
2	30,1 – 40	35	22	5	16
3	40,1 – 50	26	15	5	16
4	50,1 – 60	18	11	-	-
5	60,1 – 80	19	12	2	5
	>80	11	7	-	-

აჭარის ტერიტორიაზე მოძრავი ზვავის თოვლის სიმაღლე, ძირითადად, იცვლება 10 მ-დან 22 მ-მდე (ცხრ. 6.6). 14 მ-ზე ნაკლები და 14-16 მ მოძრავი ზვავის თოვლის სიმაღლე შესაბამისად დასახლებული პუნქტების ზვავების 32% და 25%- თვის არის დამახასიათებელი, ხოლო 20-22 მ სიმაღლით 161 ზვავიდან გამოირჩევა 29 ზვავი (18%), რაც შეეხება საავტომობილო გზის მონაკვეთს 32 მოძრავი ზვავის თოვლის სიმაღლე 9-12 მ-ს აღწევს.

ცხრილი 6.6. ზვავების განაწილება მოძრავი ზვავის თოვლის სიმაღლის მიხედვით

№	მოძრავი ზვავის თოვლის სიმაღლე, მ	დასახლებული პუნქტები		საავტომობილო გზა	
		რაოდენობა	% საერთო რ-დან	რაოდენობა	% საერთო რ-დან
1	<14	52	32	32	100
2	14,1 – 16,0	40	25	-	-
3	16,1 – 18,0	22	13	-	-
4	18,1 – 20,0	19	12	-	-
5	20,1 – 22,0	29	18	-	-

ყველაზე პატარა ზვავის კონუსის მოცულობა ხულოს რაიონის სოფ. გორგაძეებში, მდ. ღორჯომის მარჯვენა ფერდობიდან ჩამოსულ ზვავს გააჩნია და შეადგენს 1500 მ-ს (ზვავშემკრები № 103), ყველაზე დიდი ზვავის (ზვავშემკრები № 9), რომელიც ქობულეთის რაიონის მდ.კინტრიშის მარცხენა ფერდობზე მდებარეობს, კონუსის მოცულობა 80800 მ-ია. ზვავების საერთო რაოდენობის 29% - თვის დამახასიათებელია 5000 მ-ზე ნაკლები მოცულობა, ხოლო 33 %-თვის - 5000- დან 10000 მ. ჩამოსული ზვავების 6%-ის კონუსის მოცულობა 100000 მ (ცხრ.6.7).


საავტომობილო გზაზე ჩამოსული 32 ზვავიდან 23 ზვავის კონუსის მოცულობა დიდი არ არის, თუმც არის ზვავი № 6, რომლის მოცულობა 82000 მ გვაქვს დაფიქსირებული. ზვავის გამოზიდვის კონუსის საერთო სიგრძე 8,6 კმ-ია. ყველაზე დიდი გამოზიდვის კონუსით გამოირჩევა ზვავი №№ 1, 2 და 6, რომელთა საერთო სიგრძე 500-600 მ-ია. ზვავის გამოზიდვის კონუსის სიმაღლე 9-11 მ-ია, გზის სავალ ნაწილზე 4-5 მ.

ცხრილი 6.7. ზვავების განაწილება ზვავის კონუსის მოცულობის მიხედვით

№	კონუსის მოცულობა, ათასი მ	დასახლებული პუნქტები		საავტომობილო გზა	
		რაოდენობა	% საერთო რ-დან	რაოდენობა	% საერთო რ-დან
1	<5,0	46	29	23	73
2	5,1 – 10,0	54	33	3	9
3	10,1 – 20,0	32	19	4	12
4	20,1 – 50,0	13	8	1	3
5	50,1 – 100,0	8	5	1	3
6	>100	9	6	-	-

წლების განმავლობაში, (1924-2017 წწ.) ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების მიხედვით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაიდუბა 61 ადამიანი (ცხრ. 6.8, 6.9), მათ შორის ქობულეთის რაიონში - 3, ხელვაჩაურის რაიონში -1, ქედის რაიონში - 10, შუახევის რაიონში - 16, ხულოს რაიონში - 31, მაგ. ხულოს რაიონის სოფ. ღურტაში 1971 წლის თებერვალში ჩამოსულმა ზვავმა 22 ადამიანი იმსხვერპლა.

ჩვენს მიერ შედგენილ სქემაზე (ნახ. 6.1) გამოყოფილია ზვავშაშიში ტერიტორია. ამ ტერიტორიაზე მდებარე საავტომობილო გზების, მაღალი ძაბვის ანძების, სხვადასხვა დანიშნულების ობიექტის თუ დასახლებული პუნქტის გარკვეული ნაწილი ზვავშემკრებების გავრცელების ზონაში მდებარეობს და ამდენად ზვავსაშიშია.



ნახ. 6.1. ზეგანაში დასახლებული პუნქტები აჭარის ტერიტორიაზე
(ღ. ქალღანი, მ. სალუქვაძე)

ზვავების ჩამოსვლა ყოველწლიურად მნიშვნელოვან ზარალს აყენებს ეკონომიკას, უხვ-თოვლიან ზამთარში კი ხელს უშლის ტრანსპორტის გადაადგილებას. მაგალითად, 2013 წლის 10-12 დეკემბერს ზვავებისა და დიდი თოვლის გამო ქედის ცენტრიდან შუახევის ცენტრამდე დაზიანდა, ზვავსაშიშ ფერდობებზე განლაგებული, 5 მაღალი ძაბვის ანბა. ხუთი დღის განმავლობაში აჭარის მოსახლეობას უშუქობის გამო დიდი ზიანი მიაღდა. 2014 წლის 10-14 იანვარს ხულოს ცენტრში თოვლის სიმაღლემ 2 მ-ს, ხოლო სოფლებში - 3 მ-ს მიაღწია, ქედაში - 1,5 მ-ს, ქედის რაიონის სოფლებში - 2 მ-მდე აღწევდა. ზვავები ჩამოვიდა ხულოსა და ქედის რაიონში, სოფ. მაჭახელაში გზაზე ჩამოსული ზვავის გამო ერთი ადამიანი დაიღუპა.

2015 წლის 12 ნოემბერს გოდერძის უღელტეხილზე უხვთოვლობის გამო გზა ჩაიკეტა და 30 ადამიანის გამოყვანა მაშველების დახმარებით გახდა შესაძლებელი, ხოლო იმავე წლის 3 დეკემბერს 60 სმ-ის სიმაღლის თოვლის გამო, დაზიანდა ელექტროგადამცემი ხაზები და 15 სოფელი დარჩა უშუქოდ. 2016 წლის 11 დეკემბერს ხულოს რაიონის სოფ. ვაშლოვანში დიდ-თოვლობის გამო სახლის სახურავი ჩაინგრა. გოდერძის უღელტეხილის მიმართულებით ზვავმა 40 წით-ით შეფერხდა მოძრაობა. ამავე წლის 12 დეკემბერს ზვავი ორ ადგილას ჩამოწვა. ხულოს რაიონის სოფ. ბოძაურში ზვავში ორი ახალგაზრდა აღმოჩნდა, რომლებიც ზვავებისაგან გზის გაწმენდას ელოდებოდნენ, საბედნიეროდ მათი ამოყვანა ზვავიდან დროულად მოხდა. 14 დეკემბერს ქედის რაიონის სოფ. კოკოტაურში, ვანიძეების უბანში 20 ოჯახი მოექცა თოვლის ტყვეობაში, ზვავი მეორედაც ჩამოვიდა და სოფლები: გეგელიძეები, დოხოძეები, ჯალაბაშვილები 6 უბანზე გადაკეტა ზვავმა.

თოვლის უხვი საფარი კიდევ ერთ პრობლემას უქმნის აჭარის მაღალმთიან სოფლებს. 2017 წლის 1 თებერვალს ხელვაჩაურის რაიონის ფერიის დასახლებაში თოვლის სიძიმის გამო სახლის სახურავი ჩაინგრა და ერთი ადამიანი დაიღუპა, ამავე რაიონის სოფ. განთიადში სახლის სახურავის ნგრევის გამო 5 ადამიანი, მათ შორის ფეხმძიმე ქალი დაშავდა, ხოლო ერთი გარდაიცვალა. თოვლის სიძიმის გამო 5 სახლის სახურავი ჩაინგრა ქობულეთის რაიონის სოფ. მუხაესტატესა და დაგვაში.

სქემაზე დატანილია, ხოლო ცხრილში (ცხრ. 6.8) დასახლებული პუნქტების ნუსხაა აჭარის რაიონების და მდინარეთა ხეობების მიხედვით, ზვავების რაოდენობა მითითებულია ყოველი დასახლებული პუნქტისთვის, ზვავებისგან მიყენებული მატერიალური ზარალიც ცხრილის სახით არის წარმოდგენილი (ცხრ, 6.9)

აჭარის მოსახლეობისათვის განსაკუთრებით საშიში 161 ზვავშემკრებიდან ქობულეთის რაიონის 4 დასახლებულ პუნქტს მდინარეების კინტრიშის და ჩაქვისთავის აუზში მდებარე 17 ზვავი ემუქრება, ხელვაჩაურის რაიონში ორი მდინარის - მაჭახელასწყლის და სკურდიდის აუზში 4 დასახლებულ პუნქტს 8 ზვავი ემუქრება, ქედის რაიონის 16 დასახლებულ პუნქტს 30 ზვავი ემუქრება და ეს ზვავები მდინარეების: აჭარისწყლის, კალასკურის, ახახუნდერეს, აკავერთას და ლონდარის აუზში მდებარეობს. შუახევის რაიონის 22 დასახლებულ პუნქტს მდინარეების: ჭვანისწყლის, ნაღვარევისწყლის, ვანისწყლის, აჭარისწყლის, ჭირუხისწყლის და ტბეთის აუზებში მდებარე 42 ზვავის ჩამოსვლა არის დაფიქსირებული, ხულოს რაიონის 46 დასახლებულ პუნქტში 64 ზვავია (მდ. აჭარისწყლის, დიაკონიძის, ღორჯომის, ნაფლატისწყლის, სხალთას, კალოტას აუზები).

ცხრილი 6.8. ზვავსაშიში და პოტენციურად ზვავსაშიში დასახლებული პუნქტები და ზვავების რაოდენობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

№	დასახლებული პუნქტი	მდინარე	ზვავის რაოდენობა	ზვავის ჩამოსვლის შედეგი	
				მსხვერპლი, (წელი)	ნგრევა, ზიანი (წელი)
ქობულეთის რაიონი					
1	მესხიქედი	კინტრიში	1		1957;1985
2	ზემო ხინო	—”—	4		1985
3	ზედა ბოსელი	—”—	4	3 – (1957)	1957
4	ჩაქვისთავი	ჩაქვისთავი	8		1957;1971
ხელვაჩაურის რაიონი					
5	ჩიქუნეთი	მაჭახელისწყალი	2		1958
6	ქოქოლეტი	—”—	3		
7	მაჭახელისპირი	—”—	1	1 – (2016)	2016
8	სკურდიდი	სკურდიდი	2		1971;1985

ქედის რაიონი					
9	პირველი მაისი	აჭარისწყალი	4		1988
10	აგარა	კალასკური	2		1975
11	წონიარისი	ახახუნდერე	1	1 – (1988)	1971; 1988
12	გეგელიძეები	აჭარისწყალი	2	3 – (1989)	1989; 2016
13	ბალაძეები	—”—	2		
14	მოსიაშვილები	—”—	1		
15	დანდალო	—”—	2		
16	ხარაულა	—”—	2		
17	კოკოტაური	—”—	2		
18	ცხმორისი	—”—	2		
19	აბუქეთა	—”—	1	5 – (1989)	1971; 1989
20	გუნდაური	—”—	1		1971
21	მერისი	აკავერთა	2	1 – (1997)	1997; 2014
22	ნამონასტრევი	—”—	3		1971
23	ჭალათი	ღონდარი	2		1971; 1975
24	სისალიძეები	—”—	1		
შუახევის რაიონი					
25	ტაკიძეები	ჭვანისწყალი	3	2 – (1924)	1924; 1988
26	ცხმელისი	ნაღვარევისწყალი	1		1971
27	ხაბელაშვილები	ტომაშეთი	1	1 – (1989)	1989
28	ინწკირვეთი	—”—	1		
29	ვანი	ვანისწყალი	2	1 - (1964)	1964; 1975
30	ბარათაული	—”—	6	1 - (1964)	1964; 1971
31	ჭალა	—”—	2		1971; 1975
32	ნიგაზეული	აჭარისწყალი	2		—”—
33	მახალაკიძეები	ჩირუხისწყალი	3		1988
34	კობალთა	—”—	1		
35	დარჩიძეები	—”—	3		
36	ტომაშეთი	—”—	1		
37	შუბანი	—”—	1		
38	ოლადაური	—”—	4	1 - (1971)	1971; 1975
39	მაწყვალთა	—”—	1		—”—
40	ლომანაური	—”—	1	1 - (1975)	1975; 2006
41	ღღვანი	—”—	1	1 - (1975)	1975
42	ქიძინიძეები	—”—	1	4 - (1971); 2 - (1975)	1971; 1975
43	ჯაბანაძეები	—”—	1		1988
44	ტბეთი	ტბეთი	2		1971; 1975
45	გოგაძეები	—”—	2	2 - (1975)	—”—
46	წაბლანა	—”—	2		1989; 2006
ხულოს რაიონი					
47	ვაშლოვანი	აჭარისწყალი	2		1975; 1988
48	ქედლები	—”—	1		1959; 1988
49	უჩხო	დიაკონიძე	2		1959; 1975
50	კურცხალი	—”—	1		1959; 2014
51	გუდასახო	—”—	1		
52	დიაკონიძეები	აჭარისწყალი	1		1988
53	დიდი აჭარა	ღორჯომი	1		1971; 1988
54	გორგაძეები	—”—	1		
55	ირემაძეები	—”—	3		1975; 1988
56	ლაბაიძეები	—”—	1		—”—
57	ბოლაური	ნაფლატისწყალი	1		1971; 1975
58	აგარა	ნარვანდი	2	3 - (1975)	1975; 1988

59	ნამონასტევი	—”—	1		
60	გელაძეები	აჭარისწყალი	1		1975; 1988
61	პაქსაძეები	—”—	1		
62	კორტოხი	—”—	1		1988
63	ბედლეთი	—”—	2		1971; 1975
64	რიყეთი	—”—	1		1971; 1988
65	დანისპარაული	—”—	2		1975
66	შუა სოფელი	—”—	3		1971; 1975
67	ბოძაური	—”—	1		1988
68	დიაკონისი	—”—	1		1971; 1975
69	მანიაკეთი	—”—	1		—”—
70	ღორჯომელიძეები	—”—	1		1971
71	ღურტა	—”—	2	22 - (1971)	1971; 1989
72	იაკობიძეები	—”—	1		1975
73	ელელიძეები	—”—	1		1971; 1988
74	თაგო	—”—	2		—”—
75	ძმაგულა	—”—	1		1971; 1975
76	ჭერი	—”—	3		1971; 1988
77	ფახსა	—”—	2		—”—
78	წაბლანა	—”—	3		—”—
79	კვატია	—”—	2		1971; 1975
80	ჩაქვთა	დიდი წყალი	1		1975; 1988
81	ბაკო	სხალთა	2		1971; 1975
82	ახალშენი	—”—	1		
83	თხილვანა	—”—	1		1971; 1988
84	სკვანა	—”—	1		1975
85	ხიხადირი	—”—	2		1971; 1975
86	ვერნები	—”—	1		1971
87	მახალაკაური	—”—	1		1975
88	წიფნარი	—”—	1	3 - (1971)	1971; 1975
89	სოღგამანი	—”—	1		1971
90	ყინჩაური	—”—	2	3 - (1975)	1975; 1988
91	კალოთა	კალოთა	1		1971
92	ხულო	აჭარისწყალი	1		1971
აჭარა		მდინარე - 22	161	61	

ცხრილი 6.9. აჭარის ტერიტორიაზე (1924 – 2014) წყ. ზეგების მიერ გამოწვეული მსხვერპლი და მოყენებული მატერიალური ზარალი რაიონების მიხედვით

№	რაიონი	რაოდენობა			ნგრევა		დაზიანებ		ღობემ	განადგურდა			
		დასახლებული პუნქტი	ზგავი	მსხვერპლი	სახლი	ობიექტი	სახლი	ობიექტი		საქონე-უბი		ტყე, ჰა	სეხილი, ძირი, ჰა
										მსხვილ ფეხა	წვრილფეხა		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14
1	ქობულეთი	4	17	3	9	13	3	2	495	94	23	1,0	1,0
2	ხელვაჩაური	4	8	1	-	1	4	-	95	-	-	-	32
3	ქედა	16	30	10	3	1	19	7	475	5	-	-	30/0,8
4	შუახევი	22	42	16	23	13	19	6	535	92	66	8,9	3,3
5	ხულო	46	64	31	38	14	28	8	1225	126	64	3,1	3,0
ჯამი		92	161	61	73	42	73	23	2825	317	153	13	62/8

**თაზიVII. ზვავსაშიშროების შერბილების რეკომენდაციები
აჭარის მთიანი რაიონებისათვის**


აჭარის ტერიტორიაზე ზვავსაშიშროების შესარბილებლად დიდი მნიშვნელობა ენიჭება კლიმატის ელემენტებზე, განსაკუთრებით კი ზამთრის პერიოდში თოვლის საფარსა და მის ინტენსივობაზე დაკვირვებას, ამიტომ მიზანშეწონილია სამი, ხოლო აუცილებელია ორი თოვლ-საზვავე სადგურის ფუნქციონირება. ამ სადგურებიდან ერთი აჭარის ტერიტორიის დასავლეთით, ხოლო მეორე - აღმოსავლეთი ნაწილის მაღალმთიან ან საშუალომთიან ზონაში უნდა მდებარეობდეს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს სპეციალისტებით, სათანადო პირობებითა და აღჭურვილობით.

ზვავსაშიშროების შერბილება შესაძლებელია ზვავსაწინააღმდეგო პასიური და აქტიური ღონისძიებების გატარებით. ზვავის კერაში ჩასატარებელი აქტიური ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებებიდან, მაგალითად ზვავის გამოწვევა აფეთქების გზით ან თოვლის სტაბილიზაცია ადგილზე, საინჟინრო ნაგებობის აშენება, ფერდობების დატერასება და სხვა აჭარის ტერიტორიაზე მიზანშეწონილი არ არის, რადგან ზვავის კერაში აფეთქება, საინჟინრო ნაგებობის აშენება, ფერდობის დატერასება გამოიწვევს ფერდობების დეფორმაციას, ზედაპირის მცენარეული საფარისაგან გაშიშვლებას, რაც კიდევ უფრო გააქტიურებს მეწყერსაშიშროებას და ხელს შეუწყობს ახალი ზვავის კერების წარმოქმნას.

აჭარა განსაკუთრებით უხვთოვლიან რაიონს წარმოადგენს, ხასიათდება ნალექების სიუხვით; ციცაბო, მცენარეული საფარისაგან თავისუფალი ფერდობი ჭარბ ნალექებთან ერთად კიდევ უფრო გააქტიურებს ისედაც არსებულ ეროზიულ პროცესებს და გამოიწვევს როგორც ზვავის კერის ფართობის გადიდებას, ასევე ხელს შეუწყობს ახალი ზვავის კერების წარმოქმნას.

აჭარაში ზვავსაშიში ტერიტორიის სიდიდე დამოკიდებულია ტყის საფარის არსებობაზე. რესპუბლიკის 18% აბსოლუტურად არაზვავსაშიშია, ხოლო დანარჩენ 82%-ზე ცალკეული ფერდობებია ზვავსაშიში და მათი ჯამური ფართობი 500 კმ²-ს შეადგენს. აჭარის ტერიტორიის 15⁰-ზე ნაკლები დახრილობის ფერდობები მთლიანად არის ათვისებული და გამოირჩევა მოსახლეობის სიმჭიდროვითაც. ხდება ახალ-ახალი ტერიტორიების ათვისება. ხშირად ზვავაქტიურ ფერდობებზე ტყე იჩეხება, რაც ახალი ზვავის კერის გაჩენას უწყობს ხელს. მოსახლეობას საფრთხეს უქმნის არა მარტო არსებული ზვავშემკრებები, არამედ, სამწუხაროდ, ახლად წარმოქმნილი ზვავშემკრებებიც.

აჭარის ტერიტორიაზე, ზვავსადენში ანუ ზვავის ტრანზიტული მოძრაობის ზონაში, შესაძლებელია ზვავებისაგან დაცვის კომპლექსური ღონისძიებების გატარება (ნახ.7.1).




ნახ. 7.1. ზვავებისაგან დაცვის კომპლექსური სისტემა: 1. ზვავის მიმართულების შემცველი დამბა; 2. ზვავის შემაფერხებელი ბორცვები და ზვავშემაკავებელი დამბა; 3. ზვავსაწინააღმდეგო გალერეა; 4. თოვლშემაკავებელი ნაგებობა.

აჭარაში ზვავსაშიში ტერიტორიის ფართობის გაზრდის შესაფერხებლად აუცილებელია არსებული ტყის საფარის მოვლა-პატრონობა და დასახლებული პუნქტების მიმდებარე 15⁰-ზე

მეტი დახრილობის მქონე ფერდობებზე ტყის გაჩეხვის აკრძალვა. აჭარის მთიანი რაიონის მოსახლეობისთვის განსაკუთრებით საშიში ზვავშემკრების უდიდესი ნაწილის გატყიანება შესაძლებელია შედარებით მცირე ხარჯებით. ზვავის კერაში შერეული და წიწვოვანი ტყის საფარის აღდგენა აუცილებელია, რაც დასახლებული პუნქტებისა და სხვადასხვა ობიექტების უმეტეს ნაწილს დაიცავს ზვავებისგან.

ცალკეული ნაგებობის, მაღალი ძაბვის ბოძის დასაცავად შეიძლება ზვავისმჭრელის გამოყენება (ნახ. 7.2).



ნახ.7.2. მაღალი ძაბვის ანძის დასაცავი ზვავისმჭრელი

აჭარის ტერიტორიაზე ზვავსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარების ერთ-ერთ თვალსაჩინო მაგალითს მოვიყვანო. ზვავის ამცილებელი ნაგებობა თოვლის ზვავის მიმართულების შესაცვლელადაა გამიზნული და შესაძლებელია რკინა-ბეტონისაგან ან სხვა მასალისაგან აგებული დამბის, კედლის, ქვაყრილის ან მიწაყრილის გამოყენება. ზვავის მიმართულების შეცვლა ხელოვნური ზვავსადენის გაყვანითაც არის შესაძლებელი. სოფ. ღურტაში (ხულოს რაიონი) 1971 წლის 11 თებერვალს ჩამოსულმა ზვავმა დიდი მსხვერპლი და ნგრევა გამოიწვია. ეს ზვავი ზღვის დონიდან 1650 მ-ზე იწყებოდა. გზაზე 1300-1400 მ-ის სიმაღლეზე დამრეცი (15⁰) უტყეო მინდორი (სათიბი) მდებარეობდა, სადაც ზვავი იშლებოდა და სოფ. ღურტაში 190-200 მ-ის სიგანით იჭრებოდა. ზვავის გაჩერების ადგილი მდ. აჭარისწყლის ნაპირი იყო 830-850 მ-ის სიმაღლეზე (სურ.7.3).



სურ. 7.3 სოფელი ღურტა, 2011 წლის 11 თებერვალს ჰელიმადარდოს ფერდობიდან ჩამოსული ზვავის გამო 22 ადამიანის დაიღუპა, 11 სახლი დაინგრა. (მ.სალუქვაძე)

სოფლის მოსახლეობის მოთხოვნით, განსაკუთრებით კი სოფლის მკვიდრის პროფესორ ნოე ხოზრევანიძის თხოვნის საფუძველზე ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ (კ.აბდუშელიძე, ლ.ქაღდაძე, მ.სალუქვაძე, ზ.ქურდლოვანიძე), ადგილობრივი მიკრორელიეფის, ზეგაშემკრებების მორფომეტრიული და ზეგების დინამიკური მახასიათებლების დადგენით 1984 შემუშავდა სოფლის დაცვის ზეგსაწინააღმდეგო ღონისძიება. დამრეც ფერდობზე, სადაც ხდებოდა ზეგის გაშლა, აშენდა ზეგის მიმართულების შემცველი ორი დამბა. პირველი დამბის დანიშნულება, რომლის სიმაღლე 7 მ, ხოლო სიგრძე 50-55 მ იყო, ზეგის სიჩქარის და დარტყმის ძალის შემცირება და ნაწილობრივ, მიმართულების შეცვლა იყო, ხოლო მეორე დამბის (სიმაღლე 10 მ, სიგრძე 190-200 მ) დანიშნულება უშუალოდ ზეგის მიმართულების შეცვლას წარმოადგენდა. ამ მეორე დამბის გასწვრივ ხელოვნური ზეგსადენის გაიყვანა გახდა შესაძლებელი, გარდა ამ ღონისძიებისა, გაეთვალისწინეთ, რომ ჰერიმადარდოს ფერდობზე, სადაც ეს სოფელია გაშენებული, აუცილებელი იყო უტყეო მონაკვეთების წიწვოვანი ჯიშის ხეებით გატყიანება და არსებული ტყის გაჩეხვის აკრძალვა. ამ ღონისძიების გატარების შემდეგ სოფლისათვის ზეგს ზარალი არ მიუყენებია.

სოფელ ღურტას ორი ზეგაშემკრებიდან №127-128 ზეგე ეშქრება და მათი მორფომეტრიული და ზეგების დინამიკური მახასიათებლები წარმოდგენილია დანართის ცხრილში (ცხრ.1), სხვადასხვა საინჟინრო ნაგებობების, ან ჩვენს შემთხვევაში, ზეგის მიმართულების დამბის ასაგებად საჭირო გახდა უფრო დეტალური შესწავლა (ცხრ. 7.1).

ცხრილი 7.1. სოფ. ღურტას ზეგაშემკრებების მორფომეტრიული და ზეგების დინამიკური მახასიათებლები

№	სიმაღლე, მ	სიმაღლე, მეტრ.მ	სიგრძე, მეტრ.მ	სიგრძე, ფაქტ.მ	ჰორიზონ.ჯამური	ფაქტ. ჯამური	ფართ. ჰა	ახრ.კუთხედრად	სიჩქარე, მ/წმ	დარტყ. ძალა, ტ/წმ	სიგრძე, მ	გან. აბს. სიმაღ. მ	შენიშვნა
№1 ჰელიმადარდოს ზეგაშემკრები, მდ. აჭარისწყლის მარცხენა ფერდობი													
1	1650												ზედა საზღვარი
2	1550	100	300	320	300	320	18	3	10	5			
3	1390	160	450	480	750	800	19		18	15			I ჯებირის დგილი
4	1375	15	38	40	778	840	21		19	16			ქვედა საზღვარი
5	1350	25	47	55	825	895	28		23	24			
6	1340	10	23	25	848	920	23		24	26			
7	1310	30	137	140	985	1060	12		17	13			
8	1300	10	23	25	1008	1985	23		18	15			
9	1100	200	270	340	1278	1425	36		44	89			მდ. ჯვარისღელე
10	975	125	350	370	1628	1795	19		36	59			სოფ. ღურტას გზა
11	900	75	500	510	2128	2305	8		9	4			
12	875	25	70	75	2198	2380	20		15	10			
13	850	25	90	95	2288	2475	15		15	10			მდ. აჭარისწყლი
14	850	0	50	50	2338	2525	0		0	0	2500	850	მდ. აჭარისწყლი
№2 ჰელიმადარდოს ზეგაშემკრები, მდ. აჭარისწყლის მარცხენა ფერდობი, სოფ. ღურტას განშტოება													
1	1650												ზეგაშემკრების ზედა საზღვარი
2	1550	100	300	320	300	320	18	3	10	5			
3	1390	160	450	480	750	800	19		18	15			I ჯებირის ადგილი
4	1375	15	38	40	778	840	21		19	16			ქვედა საზღვარი
5	1345	30	55	65	843	905	28		24	26			
6	1330	15	43	45	886	950	19		23	24			II ჯებირის ადგილი
7	1305	25	90	95	976	1045	15		21	20			ტყის ზედა საზღვარი
8	1260	45	65	80	1041	1125	35		29	39			ქვედა საზღვარი
9	1220	40	65	75	1106	1200	31		33	50			
10	1190	30	53	60	1159	1260	29		35	56			

11	1150	40	80	90	1239	1350	26		36	59			ორი ხევის შესართავი
12	1125	25	48	55	1282	1405	27		37	63			სათიბის დასაწყისი
13	1080	45	105	110	1392	1515	23		37	63			ზედა გზა
14	1000	80	300	310	1692	1825	15		29	31			შუა გზა
15	900	100	600	610	2192	2435	9		0	0	1225	910	ქვედა გზა
№3.მდ. აჭარისწყლის მარცხენა ფერდობი, სოფ. ღურტა													
1	1575												ზედა საზღვარი
2	1500	75	200	215	200	215	21	1,2	11	5			
3	1360	140	430	460	630	675	18		15	10			
4	1345	15	35	40	665	715	23		17	13			ტყის ქვედა საზღვარი
5	1325	20	25	30	690	745	38		22	22			
6	1320	5	10	15	700	760	27		22	22			
7	1315	5	18	20	718	780	15		21	20			
8	1300	15	33	35	751	815	24		22	22			
9	1270	30	50	60	801	675	31		26	31			ტყის ზედა საზღვარი
10	1255	15	20	25	821	900	37		28	36			
11	1205	50	88	100	909	1000	29		31	44			
12	1190	15	30	35	939	1035	26		31	44			
13	1150	40	60	70	999	1105	33		34	53			ზვავშემკრები
14	1125	25	48	55	1047	1160	27		35	56			სათიბის დასაწყისი
15	1080	45	105	110	1152	1270	23		35	56			ზედა გზა
16	1000	80	300	310	1452	1580	15		27	33			შუა გზა
17	900	100	600	610	2052	2190	3		0	0	2100	920	ქვედა გზა
№4.აფთახის ზვავშემკრები, მდ. აჭარისწყლის მარცხენა ფერდობი, სოფ. ღურტა													
1	1260												ზედა საზღვარი
2	1220	40	53	65	53	65	37	0,4	11	6			
3	1205	15	38	40	91	105	21		9	4			
4	1170	35	53	65	144	170	33		16	12			
4	1170	35	53	65	144	170	33		16	12			
5	1090	80	112	135	256	305	35		23	24			
6	1077	13	40	45	296	350	18		19	16			ზედა გზა
7	1000	77	280	290	576	640	15		11	5			შუა გზა
8	900	100	600	610	1176	1250	9		0	0	950	950	ქვედა გზა

ზვავშემკრებების მორფომეტრიული და ზვავების დინამიკური მახასიათებელი გამოვლევალთ მდ. აჭარისწყლის მარცხენა ფერდობზე, სოფ. ღურტას ჰელიმადარდოს ზვავშემკრების - 14 (№1), სოფ. ღურტას განშტოების - 15 (№2) და 17 (№3) და აფთახის ზვავშემკრების 8 (№4) მონაკვეთისათვის (ცხვ.7.1).

მაღალმთიან აჭარაში, ბოლო წლებში, ორი სამთო-სათხილამურო კურორტი გომარდული (2012 წ.) და გოდერძი (2015 წ.) გაიხსნა.

კურორტი გომარდული, ბათუმი-ახალციხის ტრასაზე, ბათუმიდან 90 კმ-ის დაშორებით აჭარისწყლისა და ჭვანისწყლის (ნაღვარევისწყლის მარცხენა შენაკადი) წყალგამყოფის ჩრდილოეთ კალთაზე მდებარეობს. გამოირჩევა ლამაზი ბუნებით, 18 კმ-ის დაშორებით ღომას მთიდან, რომელიც 1800-2000 მ-ის სიმაღლეზეა, კარჩხალისა და მესხეთის ქედების ლამაზი ხედები იშლება, ხოლო მოწმენდილ ამინდში კარგად ჩანს ბათუმი და შავი ზღვა. სათხილამურო ტრასის სიგრძე 300 მ-ია, ხოლო საბაგირო გზის სიგრძე 250 მ. (სურ. 7.4).

ბათუმიდან 109 კმ-ში, 2025 მ-ის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, მეორე სამთო-სათხილამურო კურორტი გოდერძი მდებარეობს, რომელიც 2015 წლის დეკემბერში გაიხსნა. კურორტი გამოირჩევა ლამაზი ბუნებითა და პეიზაჟებით, სუფთა ჰაერით და კარგად აღჭურვილი სათხილამურო ტრასებით. ამჟამად სათხილამურო ტრასის სიგრძე 8 კმ-ია, მაგრამ დაგეგმილია ტრასის სიგრძის 32 კმ-მდე გაზრდა. საბაგირო გზის ყველაზე მაღალი ადგილი 2350 მ-ზეა. კურორტის მიდამოებშია სამკურნალო მინერალური წყლები, მსოფლიოში უნიკალური „გოდერძის ნამარხი ტყე“ და მწვანე ტბა. გოდერძის უღელტეხილის

მიდამოებში და მაღალმთიანი აჭარის დასახლებულ პუნქტებში გადაადგილება, გზის გაწმენდის გარეშე, შეუძლებელია (სურ. 7.4-7.7).



სურ.7.4. ზამთრის კურორტი გომარდული (მაღალმთიანი აჭარა)
(www.batumelebi.netgazeti.ge)



სურ. 7.5. ზამთარი გოდერძის უღელტეხილზე
(www.Adjara.gov.ge)



სურ.7.6 - გზის გაწმენდა ხულოში
(www.Metronom.ge)



სურ.7.7. ხულო-გოდერძის გზაზე მეორეჯერ ჩამოწოლილი ზეგავი და სამაშველო სამუშაოები
(www.Metronom.ge)

გოდერძის უღელტეხილი ხულოს მუნიციპალიტეტში არსიანის ქედზე, მდინარე ქვაბლიანის მარჯვენა შენაკადის მდ. ძინძეს სათავეში 2025 მ-ის სიმაღლეზე მდებარეობს. უღელტეხილის კალთები ციცაბო და დანაწევრებულია, დაფარულია სუბალპური მდელოებით. უღელტეხილზე გადის ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზა.

ბათუმი-ახალციხეს საავტომობილო გზის ხულო-მლაშეს გზის საუღელტეხილო მონაკვეთი დიდი თოვლიანობით ხასიათდება. თოვლდაგროვება გამოწვეულია თოვით, ქარბუქით და გზაზე გამოტანილი ზვავის კონუსებით. თოვლდაგროვების ყოველი 5 სმ-ით მატება იწვევს ტრანსპორტის გადაადგილების დროის შემცირებას, რომლის გამოთვლა შესაძლებელია ა.კ.დიუნინის ემპირიული ფორმულით [Гляциологический словарь, 1984].

$$V = Ke^{-0,1h} - 0,4 h, \quad (7.1)$$

